



კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მერი ვაშაყმაძე

**ნატოსა და ევროკავშირის ურთიერთობა ევროპული
უსაფრთხოების ტრანსფორმაციის გეოპოლიტიკური
პროცესების ასპექტში**

საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო
უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო
ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ლევან ნიკოლეიშვილი

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორანტი, ასისტენტი

თბილისი 2020

ანოტაცია

ნატოსა და ევროკავშირის ურთიერთობა 21-ე საუკუნის სტრატეგიული სტაბილურობის პირობებში ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს. ორგანიზაციებმა ინდივიდუალურად განსაზღვრეს თავიანთი როლი საერთაშორისო უსაფრთხოების ცვალებად კონტექსტში, დაადგინეს საკუთარი ტრანსფორმაციის პარამეტრები და ევროპის უსაფრთხოების სისტემის განვითარების ვექტორები. მიუხედავად ამისა, ორივე ორგანიზაცია ერთმანეთს ნაწილობრივ კონკურენტუნარიანად მიიჩნევს და ცდილობენ აქტიური როლი შეასრულონ ევროპის საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში.

ნატოსა და ევროკავშირის შორის არსებული სირთულეების მიუხედავად, მათი ურთიერთქმედება ვითარდება, როგორც ოფიციალურ დონეზე, ასევე არაფორმალური დიალოგის სახით, რომელიც გადაწყვეტილების მიღების მექანიზმის განუყოფელი ნაწილია.

დღეს, ისინი ერთობლივად ცდილობენ კოორდინაცია გაუწიონ ძალისხმევას ორგანიზაციებს შორის არსებული კონკურენციის თავიდან ასაცილებლად.

ნაშრომში ძირითადად განხილულია მათ შორის ურთიერთქმედების გავლენა ევროპის უსაფრთხოების სისტემის განვითარებაზე, ამასთანავე, ორგანიზაციებს შორის ურთიერთობების ფორმირების ახალი მექანიზმები და ის ხელისშემშლელი ფაქტორები, რომლებიც აფერხებენ ნატოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობების დინამიურ განვითარებას.

Annotation

Relationship between NATO and the European Union in the aspect of the geopolitical process of the European security transformation

In the context of the strategic stability of the 21st century, the relationship between NATO and the European Union is one of the main driving forces. Organizations have solely defined their role in the changing situation of international security, setting their transformation parameters and vectors of development of the European security system. Nevertheless, both organizations see each other as partially competitive and try to play an active role in Europe's international security system.

Despite the difficulties between NATO and the European Union, their interaction is developing both at the official level and in the form of informal dialogue, which is an integral part of the decision-making mechanism.

Today, they are working together and coordinating efforts to avoid competition between organizations.

The following paper mainly discusses the impact of the interaction between them on the development of the European security system, as well as the new mechanisms for establishing relations between organizations and the impediments that hinder the dynamic development of relations between NATO and the European Union.

Meri Vashakmadze

სარჩევი

ანოტაცია	2
Annotation	3
შესავალი	5
თავი I. თანამშრომლობის ჩამოყალიბების პროცესი ევროკავშირსა და ნატოს შორის.....	13
1.1. ევროკავშირისა და ნატოს ურთიერთობების ფორმალიზების პირველი მცდელობები.....	13
1.2. ევროპული უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ინსტიტუციონალური სტრუქტურის მახასიათებლები	17
1.3 პოლიტიკური დიალოგი და ურთიერთქმედება ევროკავშირისა და ნატოს სამხედრო–პოლიტიკური ორგანოების დონეზე.....	25
თავი II. ნატო-ევროკავშირის სამხედრო თანამშრომლობის პრობლემები და მათი დაძლევის გზები	31
2.1. ევროპული უსაფრთხოებისა და თავდაცვის სისტემის ფინანსური უზრუნველყოფის მახასიათებლების თანაფარდობა ნატოს ფინანსირების სისტემასთან	31
2.2. ევროკავშირის სამხედრო პოტენციალი: შეზღუდვები სტრატეგიული მიზნების რეალიზებაში.....	39
2.3. ნატოს რეაგირების ძალების ურთიერთდამოკიდებულება ევროკავშირის ოპერატიულ–ტაქტიკურ ჯგუფებთან	46
თავი III. ევროკავშირსა და ნატოს შორის პრაქტიკული თანამშრომლობის ზოგიერთი ასპექტი.....	57
3.1. ევროკავშირისა და ნატოს ურთიერთქმედება ჰუმანიტარული კრიზისის დასაძლევად დასავლეთ სუდანის პროვინცია დარფურში.....	58
3.2. ევროკავშირისა და ნატოს ანტიკრიზისული მოქმედებები.....	63
დასკვნა.....	72
გამოყენებული ლიტერატურა.....	80

შესავალი

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო) და ევროპული კავშირი წარმოადგენს საერთაშორისო უსაფრთხოების მნიშვნელოვან ელემენტებსა და ევროატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების საბაზისო ინსტიტუტებს. პრაქტიკულად, დასაწყისიდანვე ორივე ორგანიზაცია აღმოჩნდა ევროპული უსაფრთხოების სისტემის ტრანსფორმაციის პროცესის ცენტრში, რომელიც დაიწყო ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის დაშლით და გულისხმობდა ევროპული კონტინენტის უსაფრთხოების სფეროში ელემენტების, ურთიერთქმედებების ძირითადი მექანიზმებისა და სტრუქტურის ხარისხიან ცვლილებას. მეტიც, გარემომცველი სამყაროს ცვლილებაზე ნატოსა და ევროკავშირის რეაქცია, მეტწილად, განსაზღვრავდა მთელი სისტემის შემდგომ ტრანსფორმაციას.

პოსტბიპოლარულ პერიოდში ევროკავშირისა და ნატოს ურთიერთობების განვითარებაში შეიძლება გამოიყოს სამი ძირითადი ეტაპი. ამასთან, სამივე ეტაპზე ორგანიზაციების ურთიერთობების განვითარების მასტრუქტურირებელი ძირითადი ფაქტორი გახდა ევროკავშირის მიერ უსაფრთხოებისა და თავდაცვის ევროპული პოლიტიკის ფორმირება და განვითარება. სწორედ ამან გამოიწვია ძირეული ცვლილებები, როგორც ევროკავშირში, ასევე, ნატოში და საბოლოო ჯამში კი მათ შორის ფორმალური ურთიერთობების დამყარება.

პირველი ეტაპის დახასიათება შეიძლება, როგორც ურთიერთობების ნატოცენტრული მოდელისა, რასაც განსაზღვრავდა, კერძოდ, დასავლეთევროპულ კავშირსა და ნატოს შორის პირველი შეთანხმებები, 1994–1996 წლების ე.წ. ბერლინი–ბრიუსელის ხელშეკრულება.

მეორე ეტაპზე, 1999- 2003 წლებში – ფორმირება დაიწყო ურთიერთობათა ახალმა მოდელმა, რომლის აგება მოხდა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში ევროპელი მოკავშირეების პოლიტიკური ავტონომიურობის პრინციპზე დაყრდნობით. ნატოსა და ევროკავშირის ხელმძღვანელობას შორის 2002–2003

წლებში ხელმოწერილი შეთანხმებები დეკლარაციულ დონეზე აფიქსირებენ ამ პროცესს, იყენებენ რა ტერმინ „სტრატეგიულ პარტნიორობას“, რაც დღეისათვის ოფიციალურად ახასიათებს ორ ორგანიზაციას შორის ურთიერთობებს.

მესამე ეტაპზე, 2003 წლიდან დაწყებული დღემდე, ორივე ორგანიზაცია ცდილობს დეკლარაციულად გაცხადებული „სტრატეგიული პარტნიორობის“ პრაქტიკულ რეალიზებას.

თემის აქტუალობა: ნატო და ევროკავშირი საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტები და უსაფრთხოების ძირითადი ინსტიტუტებია ევროატლანტიკურ რეგიონში. ევროკავშირისა და ნატოს ურთიერთქმედება მთლიანობაში ქმნის ახალ ინსტიტუციონალურ სტრუქტურებს, თანამშრომლობისა და გადაწყვეტილების მიღების ახალ ფორმებს, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ევროპაში ინტეგრაციის პროცესებსა და ტრანსატლანტიკური კავშირების ბუნებაზე. დღეს, როდესაც რუსეთის ურთიერთობები ნატოსა და ევროკავშირთან, სხვადასხვა გარემოებების გამო, გარდამავალ ეტაპზეა, როდესაც სახელმწიფოებო ბაზის, ინსტიტუტებისა და თანამშრომლობის მექანიზმების გათვალისწინებით, მხარეები კვლავ დგანან არჩევანის წინაშე სამომავლო თანამშრომლობისთვის, ნატოსა და ევროკავშირის ურთიერთობების შესწავლა მეტად აქტუალურია, განსაკუთრებით შემდგომი პოლიტიკის შემუშავებისთვის.

საკვლევი თემის მიზნებია :

- ევროკავშირისა და ნატოს ურთიერთობების ყოვლისმომცველი ანალიზი
- მათი ხასიათისა და თანამედროვე შინაარსის შეფასება
- ორგანიზაციებს შორის ურთიერთქმედების გავლენის შესწავლა ევროპის უსაფრთხოების სისტემის განვითარებაზე

საკვლევი თემის ამოცანებია :

- ევროკავშირ-ნატოს ურთიერთობების განვითარების ძირითადი ეტაპების დადგენა, ოფიციალურად გამოცხადებული ურთიერთობების ხასიათისა და დონის გასაანალიზებლად
- ევროკავშირ-ნატოს ურთიერთობების ზეგავლენის წარმოჩენა ევროპული უსაფრთხოების კონტექსტში
- ნატოსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა როლის დადგენა ორგანიზაციებს შორის ურთიერთობების განვითარებაში

საკვლევი კითხვები:

1. როგორია ნატოსა და ევროკავშირის თავსებადობა ევროპული უსაფრთხოების სისტემაში
2. რამდენად იქნება შესაძლებელი მათ შორის მოვალეობების განაწილება თუ მათი მუდმივი კონკურენცია კიდევ უფრო მწვავე ფორმებს მიიღებს?
3. რა განსხვავებაა ევროპულ და ევროატლანტიკურ უსაფრთხოების სისტემებს შორის ; ნატოსა და ევროკავშირის ურთიერთობები რა გავლენას ახდენს მათ იდენტიფიკაციაზე
4. როგორია ნატო-ევროკავშირის სამომავლო პერსპექტივები არსებული რეალობიდან გამომდინარე

ჰიპოთეზა: ორგანიზაციებს შორის დღეს არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, დღეს არც ნატო და არც ევროკავშირი სრულად არ იყენებს უწყებათაშორისი თანამშრომლობის პოტენციალს, რაც არ უწყობს ხელს ერთიანი ევროპული უსაფრთხოების სისტემის გაძლიერებას. პირიქით, ის ემსახურება მის ფრაგმენტაციას და ხდება წინააღმდეგობათა წარმოქმნის დამატებითი ფაქტორი.

თუმცა საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, რაც წევრი ქვეყნების უსაფრთხოების გარანტს ეხება, უნდა ვივარაუდოთ ჩრდილოატლანტიკური ალიანსისა და ევროკავშირის ურთიერთობების გაუმჯობესების ტენდენცია.

კვლევის საგანი და ობიექტი: კვლევის საგანია -ნატოსა და ევროკავშირის ურთიერთობა, ხოლო ობიექტი- ნატოსა და ევროკავშირის შორის ის ურთიერთობები და მნიშვნელოვანი ასპექტები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათ იდენტიფიკაციაზე.

თემის დამუშავების დროს გამოყენებული მეთოდოლოგია:

- „ძალთა ბალანსის“ თეორია - რომელიც, ერთ–ერთი უძველესი და უმთავრესი კონცეფციაა საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში. იგი მჭიდროდ უკავშირდება პოლიტიკურ რეალიზმს და გამომდინარეობს საერთაშორისო სისტემის ანარქიული სტრუქტურიდან. ამ კონცეფციის მიხედვით, იმის გამო, რომ საერთაშორისო სისტემა ანარქიულია, თითოეული სახელმწიფოს ძირითადი ამოცანაა ბრძოლა თვითგადარჩენისა და თვითდამკვიდრებისათვის.
- „ბიპოლარული ბალანსი“-ს თეორია - რომელიც ცივი ომის პერიოდში წარმოიშვა. უოლცის აზრით, ბიპოლარული სისტემა არის უფრო სტაბილური, მშვიდობიანი და უსაფრთხო, ვიდრე მულტიპოლარული, რადგან „მხოლოდ ორი ძლიერი სახელმწიფოს არსებობისას მოსალოდნელია, რომ ორივე იმოქმედებს სისტემის შესანარჩუნებლად ,“ ვინაიდან და რადგანაც სისტემის შენარჩუნებით ისინი ასევე ინარჩუნებენ საკუთარ სტატუსს.
- „ურთიერთდამოკიდებულების თეორია“ - რომელიც ეხება საერთაშორისო ურთიერთობების და საერთაშორისო უსაფრთხოების კვლევებს. აღნიშნული თეორიის თანახმად თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკური და

ეკონომიკური ურთიერთობები ბევრად უფრო რთული და მრავალფეროვანი პროცესია, ვიდრე ამას პოლიტიკური რეალიზმის კონცეფცია გვიხატავს.

- „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია -რომელიც უკავშირდება საერთაშორისო უსაფრთხოების ცნობილი ამერიკელი მკვლევარის რიჩარდ კოენის სახელს. რიჩარდ კოენი გვთავაზობს უსაფრთხოების ისეთ მოდელს, რომელიც იდეალიზირებული ქვაკუთხედიდან პრაქტიკულად აღსრულებადი ხდება.

კვლევის მეთოდები:

- არსებული თეორიული მასალის განხილვა, ანალიზი და დასკვნების გამოტანა
- ნაშრომის დამუშავებისას გამოყენებული მეთოდოლოგია ძირითადად დაეფუძნება ემპირიული კვლევის საფუძვლებს

თვისობრივი კვლევის მეთოდები :

- მონაცემთა ანალიზი
- ისტორიულ-აღწერილობითი

რაოდენობრივი კვლევის მეთოდები :

- პოლიტიკის კვლევის ანალიზი
- კონტენტ ანალიზი

თემის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა: ნაშრომს აქვს აკადემიური ინტერესის მრავალი მახასიათებელი, რომელიც დააკმაყოფილებს სამაგისტრო თემის მოთხოვნებს. ამასთან, ჩვენ მიერ შესრულებული სამაგისტრო ნაშრომი გამოადგებათ, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციით

დაინტერესებულ პირებს, პოლიტოლოგიის, ისტორიისა და საერთაშორისო ურთიერთობების თეორეტიკოსებსა და პრაქტიკოსებს.

კვლევის მოსალოდნელი შედეგების განხილვა: ჩვენ მიერ შექმნილ ნაშრომში ყურადღებას გავამახვილებთ ნატოსა და ევროკავშირის ურთიერთობაზე ევროპული სისტემის უსაფრთხოების ტრანსფორმაციის პროცესში, ამასთანავე განვიხილავთ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების ფორმირების ახალ მექანიზმებს, რომლებიც ურთიერთობის ხანგრძლივი გამოცდილების გათვალისწინებით, ბოლო ათწლეულის განმავლობაში აქტიურად ავითარებენ მას უსაფრთხოების ინსტიტუტების ფორმატში და რომლებიც ადაპტირებენ ცვალებად საერთაშორისო გარემოზე.

ძირითადი ლიტერატურული წყაროების მიმოხილვა: ნაშრომში გამოყენებულია სხვადასხვა ავტორების მიერ დაწერილი წიგნები, სტატიები, მემუარები, რომლებიც უშუალოდ განიხილავენ ნატოსა და ევროკავშირის ურთიერთობებს ევროპული უსაფრთხოების კონტექსტში.

- ნ. ჩიტაძე. „ნატო ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიო მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი“ - მარშალის ცენტრის კურსდამთავრებულთა კავშირი, საქართველო-საერთაშორისო და უსაფრთხოების საკითხების კვლევის ცენტრი, თბილისი 2008

ავტორი ნაშრომში ყურადღებას ამახვილებს ნატოს როლზე მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში. ის ხაზს უსვამს ნატოს გეოპოლიტიკურ პრიორიტეტებს და წარმოაჩენს მის დამოკიდებულებას სხვადასხვა გლობალურ საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

ავტორმა გამოკვეთა ნატოს როლის მნიშვნელობა , როგორც გარანტი-მშვიდობისა და სტაბილურობის საკითხებში.

- **Cooper R.-The Breaking of Nations.Order and Chaos in the 21 st Century-Atlantic. -2004**

რობერტ კუპერი აღნიშნულ წიგნში „ერების დაშლა“ აღწერს მსოფლიოს ფორმის რადიკალურ ახალ ინტერპრეტაციას. მისი აზრით, მტერთან ურთიერთობისას, ცივილიზებულმა ქვეყნებმა უნდა გამოიყენონ ადრეული ეპოქის მკაცრი მეთოდები- ძალა, წინასწარი შეტევა, მოტყუება. სწორედ ამ საშუალებებით ფიქრობს ავტორი მშვიდობიანი თანაცხოვრების დაცვას მთელ ცივილიზებულ სამყაროში.

- **K.Donfried- Report to Congress.European Security: The Debate in NATO and the European Union.25.04.2000**

აღნიშნული მოხსენება აკონკრეტებს ნატოსა და ევროკავშირის ურთიერთობების ძირითად ასპექტებს, მათი უწყებათაშორისი თანამშრომლობის პოტენციალს. ყურადღება გამახვილებულია მათ საერთო ინტერესებზე, ერთიანი ევროპული უსაფრთხოების გაძლიერების თვალსაზრისით.

ამ მოხსენებამ განსაზღვრა ის გარე ფაქტორები, რომლებიც დიდ გავლენას ახდენენ ორგანიზაციების ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე.

- **Cornish P., Edwards G - Beyond the EU and NATO Dichotomy:the beginnings of a European Strategic Culture.//International Affairs.2001.-N3**

ამოსავალ წერტილად აღებულია ახალი ინსტიტუციონალური სტრუქტურები , რომელსაც ქმნის ევროკავშირისა და ნატოს ურთიერთქმედება. ასევე განხილულია ევროპაში ინტეგრაციის პროცესები და მათი ზეგავლენა ტრანსატლანტიკური კავშირების ბუნებაზე.

ძირითადად მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია ევროპული სტრატეგიის კულტურის ჩამოყალიბებაზე, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სახელმწიფოების შემდგომ განვითარებაზე.

- **Kissinger H.A.,Summers L.H - Renewing the Atlantic Partnership.Report of an Independent Task Force Sponsored by Council on Foreign Relations.Council on Foreign Relations.-2004.**

წიგნის ავტორები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ შეერთებულმა შტატებმა და ევროპამ უნდა ისარგებლონ თავიანთი თავსებადი ინტერესებითა და დამატებითი შესაძლებლობებით, რათა დაიცვან და გააფართოონ ის ფასეულობები და პრინციპები, რომლებიც აგრძელებენ ატლანტიკური საზოგადოების განსაზღვრას. წიგნში ასევე საუბარია, ნატოს ახალი გეოპოლიტიკური რეალობების ადაპტირებაზე, გლობალური ეკონომიკის ლიბერალიზაციასა და გაფართოებაზე.

თავი პირველი. თანამშრომლობის ჩამოყალიბების პროცესი ევროკავშირსა და ნატოს შორის

ნატოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის ჩამოყალიბებას ხანგრძლივი ისტორია აქვს. პოლიტიკური დიალოგი და ურთიერთქმედება სამხედრო-პოლიტიკური ორგანოების დონეზე ორგანიზაციებმა დაიწყო 90-იანი წლების დასაწყისიდან . ამ დროის პერიოდში თავად ორგანიზაციებმა ნაწილობრივ განავითარეს თავიანთი მიზნები მსგავსი მიმართულებებით.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი, სანამ კოლექტიური თავდაცვის ტრადიციულ ამოცანას შეასრულებდა, ახდენდა ახალი ფუნქციების შექმნას კრიზისული რეაგირებისთვის და საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისთვის.

ამავდროულად, ევროკავშირმა, საერთო ევროპული საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში, შეიმუშავა კრიზისის რეაგირების ფუნქციები და არ გამორიცხავდა მომავალში საერთო თავდაცვის პოლიტიკის შემუშავებას საერთაშორისო ორგანიზაციებთან მომავალი ურთიერთობების პერსპექტივით.

1.1. ევროკავშირისა და ნატოს ურთიერთობების ფორმალიზების პირველი მცდელობები

ნატოსა და ევროკავშირის ურთიერთობათა მასტრუქტურიზებელი პირველი გადაწყვეტილება მიიღეს კოსოვოს გამძაფრებული კამპანიის დროს, 1999 წლის 24 აპრილს, ნატოს ვაშინგტონის სამიტზე, სადაც მიმდინარეობდა ორგანიზაციისათვის ფუძემდებლური, ვაშინგტონის ხელშეკრულების ხელმოწერის ორმოცდაათი წლისთავის აღსანიშნავი ზეიმი. ჯერ კიდევ

შეხვედრის წინა დღით ევროპელი მოკავშირეების ძირითადი პოზიციების გამოხატვა მოხდა თავდაცვის კომიტეტის მიერ 1999 წლის 15 მარტს წარდგენილ, დასავლეთ ევროპული კავშირის საპარლამენტო ასამბლეის მოხსენებაში „ნატოს სამიტი და მისი შედეგები ევროპისთვის“.¹ მოკავშირეები ცდილობდნენ მიეღწიათ აშშ–სგან, კრიზისული რეაგირების სფეროში ევროპის მიერ დამოუკიდებლად მოქმედების უნარის ფლობის ოფიციალურ აღიარებას. ამისთვის ნავარაუდები იყო ევროპული პოტენციალის განვითარება, როგორც ალიანსის შიგნით, ასევე, მის ფარგლებს გარეთ.

ვაშინგტონის სამიტის შემაჯამებელ კომუნიკეში, ამჯერად უკვე მთლიანად ნატომ და არა მხოლოდ მისმა ცალკეულმა წევრებმა (როგორც ამას ადგილი ჰქონდა სან–მალომი) აღიარა, რომ „ევროკავშირს ... შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილებები და სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობა იმ შემთხვევებში, რომლებშიც ალიანსი სრულად არ არის ჩართული“² ანუ, ნატომ ფორმალურად პირველად აღიარა ევროკავშირის დამოუკიდებლად მოქმედების უფლება, თუმცა ხაზი გაესვა ორ ორგანიზაციას შორის გამჭვირვალობასა და ურთიერთკონსულტაციებზე დაფუძნებული თანამშრომლობის დამყარების აუცილებლობას.

ამგვარად, წარმოიქმნებოდა ნატოსა და ევროკავშირის ურთიერთქმედებათა სიბრტყე, რომელიც გულისხმობდა ორგანიზაციების მიერ ამა თუ იმ ქმედებების განხორციელებას ერთმანეთთან კონსულტაციის შედეგად. ეს იმას ნიშნავდა, რომ ევროკავშირის ფარგლებში ამა თუ იმ მოქმედებების დაგეგმვის დროს ევროპელი მოკავშირეები ვალდებულნი იყვნენ კონსულტაციები გაეკლოთ აშშ–თან. კომპრომისის სახით ვაშინგტონის სამიტის კომუნიკეში ასახული იყო ბერლინი–ბრიუსელის შეთანხმებების ძირითადი პრინციპები

¹ The NATO Summit and its implications for Europe. Report submitted on behalf of the Defence Committee. Assembly of the WEU. 15.03.1999.P.15.
<https://www.cvce.eu/en/unit-content/-/unit/72d9869d-ff72-493e-a0e3-bedb3e671faa/c5dd1c9b-5568-4810-a19d-37e55dfa60d8> (ბოლო ნახვა- 03.06.2020)

² Washington Summit Communiqué, Issued by the Heads of State and Government participating in the meeting of the North Atlantic Council in Washington, D.C. 24.04.1999. Para 9 a. P.2.
https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_19552.htm? (ბოლო ნახვა- 25.05.2020)

ალიანსის პოტენციალის გამოყენების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, იმის გათვალისწინებით, რომ საუბარი იყო არა ნატოსა და დასავლეთევროპული კავშირის, არამედ ნატოსა და ევროკავშირის ურთიერთობებზე.

სახასიათოა, რომ ტერმინი – „ევროპული იდენტურობა უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში“, დოკუმენტში არ გამოიყენება. მასში საუბარია მხოლოდ „1994 წლის ბრიუსელის დეკლარაციისა და 1996 წელს ბერლინში აღიარებული პრინციპების“ საფუძველზე ნატოს „ევროპული საყრდენის“ განვითარების შესახებ. ამასთან, ალიანსის ევროპულ განვითარებასა და უსაფრთხოებისა და თავდაცვის ევროპულ პოლიტიკას შორის კავშირი არ გაივლება, ანუ, ფაქტიურად აღიარებულია, რომ ევროპული ქვეყნების სამხედრო პოტენციალის გაძლიერების პროცესი ხორციელდებოდა პარალელურად, ორი ორგანიზაციის ფარგლებში. თუმცა შეკითხვა – რომელ ინსტიტუტს ეკუთვნის გადაწყვეტილებების მიღების უფლება, უპასუხოდ რჩებოდა. შეთანხმებული ფორმულა „სადაც ალიანსი სრულად არ იქნება ჩართული“ ირიბად გულისხმობდა ნატოს მიერ კრიზისებთან მიმართებაში ამა თუ იმ პოზიციის მიღების პირველობისა და მხოლოდ ამის შემდეგ სცენაზე ევროკავშირის გამოსვლის ფაქტს.

ზოგადად, სამიტის შედეგები შეიძლება განხილულიყო, როგორც „ნატოცენტრული მოდელის“ გამყარება. პრაქტიკაში დეკლარაციის ამგვარი განმარტებისადმი მოკავშირეები ინარჩუნებდნენ „არდათანხმების შესახებ შეთანხმების“ პრინციპს, იტოვებდნენ რა ამა თუ იმ პოლიტიკური მიმართულების არჩევის შესაძლებლობას. თუკი აშშ–სთვის ზემოაღნიშნული ფორმულა ხაზს უსვამდა ნატოს ლიდერის როლს, ხოლო კონსულტაციის პრინციპი ნიშნავდა იმას, რომ ევროპელი მოკავშირეები ავტონომიური მოქმედებების მიმართ შეძლებდნენ გადაწყვეტილებების მიღებას მხოლოდ ამერიკის მხრიდან თანხმობის არსებობის შემთხვევაში, ევროპისათვის ვაშინგტონის კომუნიკე ნიშნავდა „მწვანე შუქს“ მეტი ხარისხის დამოუკიდებლობის განვითარების გზაზე.

ევროპელების პასუხმა არ დააყოვნა. უკვე 1999 წლის კიოლის ივნისის სამიტზე და ნახევარი წლის შემდეგ ჰელსინკში ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა

მიიღეს რიგი პრინციპული გადაწყვეტილებებისა, რომლებმაც განსაზღვრა არა მხოლოდ უსაფრთხოებისა და თავდაცვის ევროპული პოლიტიკის შემდგომი განვითარების ძირითადი მიმართულებები ინსტიტუციონალური და ოპერაციონალური კუთხით, არამედ დაისახა კონკრეტული ვადები მიღებული დღის წესრიგის რეალიზაციის მიზნებისთვის. ასე მაგალითად, 1999 წლის კიოლის 4 ივნისის სამიტზე დამტკიცებულ იქნა უსაფრთხოებისა და თავდაცვის საერთო ევროპული პოლიტიკის სფეროსთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებისათვის აუცილებელი საშუალებებისა და შესაძლებლობების ევროპისთვის მინიჭების შესახებ ევროკავშირის წევრი ქვეყნების განზრახვა. ამასთან, ნავარაუდები იყო, რომ დასავლეთ ევროპული კავშირი „დაასრულებს თავის მისიას“, ხოლო მის ნაცვლად შექმნილი იქნება ახალი ევროპული სამხედრო სტრუქტურები, რომელთა როლსაც პეტერსბერგის ამოცანების შესასრულებლად საკუთარ თავზე ვალდებულებების აღების მიზნით განსაზღვრავს თვით ევროკავშირი.

ჰელსინკის 1999 წლის 10–11 სექტემბრის სამიტის გადაწყვეტილებები აკონკრეტებდა კიოლში ევროკავშირის ქვეყნების ვალდებულებებს. დადგენილი იყო ე.წ. „მთავარი მიზანი“ (Headline Goal). 2003 წლისთვის იგეგმებოდა სწრაფი რეაგირების ძალების შექმნა, რომელთა გაშლა კრიზისული რეაგირების ოპერაციების საწარმოებლად შესაძლებელი იქნებოდა 60 დღიან პერიოდში ერთი წლის ვადით. რეაგირების ძალების კონტინგენტს უნდა ჰქონოდა საკუთარი სარდლობა, კონტროლის, დაზვერვის, მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის საშუალებები, საკუთარი საზღვაო კონტინგენტი და ავიაციით.

ასევე, საუბარი იყო კრიზისების მართვის ახალი სამხედრო და პოლიტიკური სტრუქტურების შექმნის შესახებ: პოლიტიკისა და უსაფრთხოების კომიტეტის, სამხედრო კომიტეტისა და გენერალური შტაბის, რომლებსაც ნიცის 2000 წლის დეკემბრის სამიტზე მიენიჭა ევროკავშირის მუდმივი სტრუქტურების სტატუსი. პორტოში, 2000 წლის მაისსა და მარსელში, 2000 წლის ნოემბერში გამართული თავდაცვის მინისტრებისა და საგარეო საქმეთა მინისტრების, ასევე,

ნიცაში ევროკავშირის სამიტების გადაწყვეტილებამ გამოიწვია 2001 წლის ბოლოსათვის ევროკავშირისათვის დასავლეთ ევროპული კავშირის ფუნქციებისა და სტრუქტურების გადაცემა. ევროკავშირში, ოფიციალური ორგანოების სახით, ასევე, შევიდა დასავლეთ ევროპული კავშირის თანამგზავრული ცენტრი ტორეკონში (ესპანეთი) და უსაფრთხოების პრობლემების შემსწავლელი დასავლეთ ევროპული კავშირის ინსტიტუტი (ამჟამად, ევროკავშირის უსაფრთხოების პრობლემების შემსწავლელი ინსტიტუტი, პარიზი, საფრანგეთი). ევროკავშირის 2001 წლის დეკემბრის ლაეკენეს სამიტზე უსაფრთხოებისა და თავდაცვის ევროპული პოლიტიკა გამოცხადდა, როგორც ოპერაციონალური.

1.2. ევროპული უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ინსტიტუციონალური სტრუქტურის მახასიათებლები

თავდაპირველი სახით შექმნილი ევროკავშირის ინსტიტუციონალური მექანიზმები სამხედრო ოპერაციების დაგეგმვისა და ჩატარების მხრივ აპრიორი იყო დამოკიდებული ნატოზე. ალიანსის ორგანოებისგან განსხვავებით, ევროკავშირის სისტემაში არ ყოფილა ჩადებული ოპერაციების დაგეგმვის ფუნქციები, არსებობდა მხოლოდ სტრატეგიული დაგეგმვა. ევროპულ კავშირს, ასევე, არ გააჩნდა ინტეგრირებული სამეთაურო სისტემა. ანუ, ევროკავშირი დამოუკიდებლად უძღური იყო კრიზისული რეაგირების კონკრეტული ოპერაციის დაგეგმვასა და ჩატარებაში და დახმარებისთვის უნდა მიემართა ნატოსთვის.

ევროკავშირის ინსტიტუციონალური სტრუქტურის შეზღუდულობის მთელი სიცხადით დემონსტრირება მოახდინა მაკედონიაში, 2002–2003 წლების ევროკავშირის კრიზისული რეაგირების პირველი სამხედრო ოპერაციისადმი მზადებამ – „კონკორდიამ“, რომელმაც სტარტი 2003 წლის 31 მარტს აიღო. იმ მომენტისათვის დაგეგმვის ყველა ძირითადი ელემენტი ხორციელდებოდა

ნატოში, მხოლოდ ამის შემდეგ შეთანხმებისათვის ისინი გადაეცემოდა ევროკავშირის სამხედრო კომიტეტს და პოლიტიკისა და უსაფრთხოების კომიტეტს, ხოლო მოგვიანებით, საბოლოო დამტკიცების მიზნით – ევროკავშირის საბჭოს. თავის მხრივ საფრანგეთს, რომელიც არ შედიოდა ალიანსის სამხედრო სტრუქტურებში, თუმცა გამოდიოდა, როგორც ოპერაციის ერთ-ერთი ძირითადი მონაწილე, ჩამოერთვა დაგეგმვის პროცესზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა. სწორედ ამიტომ, პარიზმა კიდევ უფრო აქტიურად დაიწყო ევროკავშირის ავტონომიური სამხედრო სტრუქტურების განვითარების გეგმის დაცვა და გამოვიდა ე.წ. „ოთხიანის ინიციატივისა“ და 2003 წლის 23 აპრილს, ბრიუსელის შემოგარენში – ტერვიურენში საფრანგეთის, გერმანიის, ბელგიისა და ლუქსემბურგის წარმომადგენელთა შეხვედრის, როგორც ერთ-ერთი ინიციატორი.

საუბარი შეეხებოდა ევროპული სამხედრო შტაბის, იმ მომენტისათვის ევროკავშირის ყველა მრავალეროვნულ სამხედრო გაერთიანებათა ინტეგრირებული სამეთაურო სტრუქტურის, შეიარაღების სისტემების სტანდარტიზებასა და ოპერატიული თავსებადობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სპეციალური სააგენტოს შექმნისა და უსაფრთხოებისა და თავდაცვის ევროპული პოლიტიკის პოლიტიკური შემადგენლის გაძლიერების წინადადებას, პეტერსბერგის ამოცანათა წრის ახლებურად გადააზრების შემდეგ. ნავარაუდევია იყო, დაწვრილებით გაწერილიყო სამოქალაქო კრიზისული რეაგირების ამოცანები და შემატებულიყო „საერთო სოლიდარობის“, ანუ „ყველა შესაძლო რისკისათვის“ ევროკავშირის ქვეყნების გარანტირებული ურთიერთდახმარების ვალდებულება.

ფაქტიურად, ეს მიანიშნებდა ევროკავშირის კრიზისული რეაგირების ველში უფრო მკაცრი ვალდებულებების ჩართვას, რომლებიც ჩაანაცვლებდა დასავლეთ ევროპული კავშირის ბრიუსელის კოლექტიური თავდაცვის ხელშეკრულების ვალდებულებას, მასზე პირდაპირი მითითების გარეშე. პრინციპში, ეს ვარაუდობდა ევროპული სამხედრო ინტეგრაციის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის კომპრომისის მიღწევასა და ასევე, ნეიტრალი-

ქვეყნებისთვის სახის შენარჩუნების შესაძლებლობას.

ამასთან, ნატოს დამხმარე საშუალებათა მეშვეობით ოპერაციების განსახორციელებლად ნავარაუდები იყო, რომ ალიანსის საერთაშორისო შტაბ-ბინაში იქნებოდა ორ ორგანიზაციას შორის კავშირის უზრუნველყოფელი ევროკავშირის ოფიცრების ჯგუფი. მსგავსი გეგმით, ჯერ კიდევ 2002 წლის 22 ივლისს საფრანგეთის პრეზიდენტის ჟ. შირაქისა და ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ტ. ბლერისადმი გაგზავნილ წერილებში მიმართა ბელგიის პრემიერ-მინისტრმა გი ვერხოფსტატმა. შემდეგ, წინადადებები წარდგენილ იქნა მოლაპარაკებებზე ევროპული კონსტიტუციის შექმნის შესახებ, უკვე 2002 წლის 22 ნოემბრის ერთობლივ, ფრანგულ – გერმანულ დოკუმენტში. 2003 წლის მარტში სამი ქვეყნის ჯგუფს შეუერთდა ლუქსემბურგი, რომლის ხელმძღვანელობამ მხარი დაუჭირა აპრილის მიწურულს შეხვედრის ჩატარების იდეას უმაღლეს დონეზე.

თუმცა, ამ წინადადებებმა, რომლებითაც ოთხი ქვეყნის ხელმძღვანელობამ მიმართა პარტნიორებს ევროკავშირიდან, გამოიწვია აშშ-ს მხრიდან უკიდურესად წინააღმდეგობრივი რეაქცია და მკვეთრი კრიტიკა. იმ მომენტისათვის ერაყში სამხედრო ოპერაციის ჩატარებით სრულად შეპყრობილი ვაშინგტონი უკიდურესი ეჭვით მიეპყრო იმ ევროპელი მოკავშირეების ნაბიჯებს, რომლებმაც მხარი არ დაუჭირეს მის ქმედებებს ერაყულ კამპანიაში. ნატოსთან აშშ-ის მაშინდელმა მუდმივმა წარმომადგენელმა, ელჩმა ნიკოლას ბერნსმა ავტონომიური ევროპული შტაბის შექმნის იდეას უწოდა „ერთ-ერთი ყველაზე დიდი საფრთხე ტრანსატლანტიკური ურთიერთობებისათვის“³.

პრობლემის პოლიტიკური შემადგენლის გარდა, სახელმწიფო დეპარტამენტში უკიდურესად იყვნენ აღელვებულნი, არა ალიანსის განვითარებაზე, არამედ საკუთარ საჭიროებებზე მიმართული, ევროპელი მოკავშირეების მიერ რესურსების შესაძლო ახალი ხარჯებითაც. ერთი ამერიკელი დიპლომატის სიტყვებით: „მაშინ, როცა ევროკავშირს გააჩნია ესოდენ

³ Divisions over European Defence. - The Economist. - 23.10. 2003. P.3.

<https://www.economist.com/leaders/2003/10/23/in-defence-of-europe> (ბოლო ნახვა-15.05.2020)

თვალნათელი პრობლემები სამხედრო ტექნიკით მომარაგების სფეროში და სტრატეგიული ავიატრანსპორტის აუცილებლობის მხრივ, – ევროკავშირის მოთხოვნებიდან ყველაზე უკანასკნელია, რესურსების ხარჯვა უკვე არსებულის მადუბლირებელი და ნატოს ფარგლებში უკვე გამოყენებადი მექანიზმების შექმნაზე⁴.

იმავდროულად, ბრიტანულ პრესაში, ფორინ ოფისის ერთ-ერთი დიპლომატის გამონათქვამზე დაყრდნობით, ტერვიურენის შეხვედრა მოინათლა „შოკოლადის სამიტად“ ხოლო დიდი ბრიტანეთი, რომელიც მონაწილეობას არ ღებულობდა შეხვედრაში, დადგა ამერიკელი მოკავშირეების მხარეს, დაგმო რა ევროკავშირის შტაბის შექმნის შესახებ „ოთხი ქვეყნის ინიციატივა“, როგორც ნატოს ერთიანობისათვის საფრთხის შემცველი. ამის მიუხედავად, 1998 წლიდან უსაფრთხოებისა და თავდაცვის ევროპული პოლიტიკის შექმნის ლიდერებში გასულმა დიდმა ბრიტანეთმა, რომელსაც გააზრებული ჰქონდა, რომ ევროპულ საქმეებში, აშშ-ის უპირობო მხარდაჭერისა და ერაყში ომის ფონზე, ინიციატივის უფლების ხელიდან გაშვება მეტისმეტად დიდი რისკი იქნებოდა, საბოლოოდ დაიკავა საკმაოდ მოქნილი პოზიცია.

პრაქტიკულად, მაშინვე ბრიტანეთის დიპლომატიამ დაიწყო მუშაობა შესაძლო კომპრომისების მოძიებაზე. 2003 წლის 23 აგვისტოს ევროკავშირის თავდაცვის მინისტრების არაფორმალურ შეხვედრაზე ლონდონი გამოვიდა ინიციატივით, რომელიც ვარაუდობდა ნატოს შტაბ-ბინაში ევროკავშირის ყველა ოპერაციის დაგეგმვის შტაბის მუშაობას. ამას გარდა, ევროკავშირის ოპერაციების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით შტაბის სახით, წევრი ქვეყნების თანხმობით, შეიძლება გამოსულიყო ეროვნული გენერალური შტაბები, რომლებშიც მივლინებულნი იქნებოდნენ ოპერაციის მონაწილე სხვა ქვეყნების წარმომადგენლები. კომპრომისის სახით დიდი ბრიტანეთი გამოვიდა პეტერსბერგის ამოცანების წრის გაფართოებისა და „საერთო სოლიდარობის“ ვალდებულებით, თუმცა ამ უკანასკნელის – გარანტირებული

⁴ NATO versus the European Union. - The Economist. - 10.04. 2003.P.7.

<https://www.economist.com/europe/2003/04/10/europe-and-america> (ბოლო ნახვა-15.05.2020)

ურთიერთდახმარება ტერორისტული თავდასხმის შემთხვევაში – გაცილებით ვიწრო მნიშვნელობით.

უკვე 2003 წლის ნოემბერში დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და გერმანიამ, ოპერაციების დაგეგმვის დროს ნატოსა და ევროკავშირის დიალოგის მექანიზმების ორივე ორგანიზაციაში არსებობის შესახებ დასკვნის შემდეგ შეიმუშავეს ერთობლივი დოკუმენტი. ამ მიზნით ნავარაუდები იყო ნატოს შტაბ–ბინასთან ევროკავშირის მცირე შტაბისა და ევროკავშირის სამხედრო შტაბთან ალიანსის ოფიცერთა ჯგუფის შექმნა.⁵ მეტიც, ევროკავშირის სამხედრო შტაბის ფარგლებში შეთავაზებული იყო ოპერაციების დაგეგმვის სპეციალური ცენტრის, ასევე, ოპერაციის, ერთდროულად, სამხედრო და სამოქალაქო ასპექტებით დაკავებული, სიტუაციებისა და სტრატეგიული დაგეგმვის ცენტრის შექმნა.

ამასობაში, წინადადებაში ხაზგასმული იყო, რომ ევროკავშირის მიერ ოპერაციების ჩატარების მიზნით საშუალებათა შერჩევაში „მთავარ პრიორიტეტად“ კვლავ რჩებოდა წვერი ქვეყნების ეროვნული გენერალური შტაბები, რომლებიც მისიების მომზადებისა და განხორციელების პროცესში, შესაძლებელია, გადაქცეულიყვნენ „მრავალეროვნულად“. ოპერაციების ცენტრი და სამხედრო–სამოქალაქო დაგეგმვის ჯგუფი შეიძლება ჩართულიყვნენ მხოლოდ ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებით და იმ შემთხვევაში, თუკი ევროკავშირის ვერცერთი ქვეყანა ვერ შეძლებდა საკუთარი შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის შეთავაზებას. ხოლო, ევროკავშირის ინსტიტუტები ვერ განიხილებოდა გენერალური შტაბის ექვივალენტის სახით, არ იფუნქციონირებდა მუდმივ საფუძველზე და იმოქმედებდნენ მცირე მასშტაბის ოპერაციებისათვის. ანალოგის სახით მოყვანილ იქნა ევროკავშირის პირველი სამხედრო ოპერაცია „არტემისი“ კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, რომელიც გაიმართა 2003 წლის ივნისიდან სექტემბრის ჩათვლით და რომელშიც

⁵ Joint Paper by France, Germany and United Kingdom. European Defence: NATO/EU Consultation, Planning and Operations. Naples. 29.11.2003. In: From Copenhagen to Brussels. European Defence: Core Documents. Vol. IV. Chaillot Papers. N 67. P. 283.
<https://www.sipri.org/sites/default/files/files/books/SIPRI06BaHeSu/SIPRI06BaHeSu01.pdf> (ბოლო ნახვა-03.06.2020)

მონაწილეობა 1800-მა სამხედრო მილიონით.

მაგრამ, მსგავსი, სამხედრო ოპერაციების დაგეგმვის საკითხში ევროკავშირის დამოუკიდებლობის განულებამდე დამყვანი შეზღუდვების დროსაც კი, ეს წინადადებები აშშ-ის მხრიდან მკვეთრ კრიტიკასა და ნატოს ხელმძღვანელობის მხრიდან მიუღებლობას იწვევდა. ბრიუსელში, 2003 წლის 4 დეკემბრის ნატოს ქვეყნების თავდაცვის მინისტრების სხდომის წინა დღით, პენტაგონის მაშინდელმა შეფმა, დონალდ რამსფელდმა მკაფიოდ მიაჩინა, რომ ნატოსგან დამოუკიდებელი დაგეგმვის სტრუქტურების შექმნის ევროკავშირის გეგმა მიუღებელია, ხოლო ვაშინგტონის მიერ მოწონებული, ორი ორგანიზაციის ურთიერთობათა განვითარების ფორმულა არის ის, რომელიც გაწერილია „ბერლინ პლიუსის“ შეთანხმებებში. თავის მხრივ, ნატოს გენერალურმა მდივანმა, რობერტსონმა, ასევე, განაცხადა, რომ ევროკავშირისთვის არ ღირს ოპერაციების დამოუკიდებლად დაგეგმვის მიმართ შორსმიმავალი გეგმების შექმნა, „ბერლინ პლიუსის“ ფარგლებში ამ საკითხთან მიმართებაში უკვე მიღწეული ყველა შეთანხმების მიზეზით.

თუმცა, ამის მიუხედავად, პარიზი, ბერლინისა და ლონდონის, სამხრეთი ინიციატივის ყველა ძირითადი დებულება მიღებულ იქნა ევროკავშირის, ბრიუსელის 2003 წლის 12 დეკემბრის სამიტზე. ტექსტი დაფიქსირებულია სპეციალურ დოკუმენტში „ევროპული თავდაცვა: ნატო – ევროკავშირის ოპერაციების კონსულტაციები, დაგეგმვა და განხორციელება“. ევროკავშირის 2004 წლის ივნისის სამიტის შედეგებით მიღებულ იქნა ოპერაციების ცენტრის მიერ მუშაობის, არაუგვიანეს 2006 წლის 1 იანვრამდე დაწყების გადაწყვეტილება, ხოლო 2004 წლის დეკემბერში ოფიციალურად გამყარებულ იქნა ევროკავშირის სამხედრო შტაბის ფარგლებში სამხედრო-სამოქალაქო დაგეგმვის ჯგუფის შექმნის გადაწყვეტილება.

მაშინვე, ევროკავშირის ხუთმა წევრმა ქვეყანამ განაცხადა, რომ მათი ეროვნული გენერალური შტაბები აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ევროკავშირის ოპერაციებისათვის და ევროკავშირის სამხედრო შტაბებთან მიმართებაში გარდაიქმნებიან რა ამგვარად, ევროკავშირის

ტერმინოლოგიის თანახმად „მთავარ შტაბებად“. საფრანგეთი მონვალერიენში იძლეოდა ოპერაციების დაგეგმვისა და განხორციელების ცენტრს, დიდი ბრიტანეთი – შტაბს ნორტვუდში, გერმანია – სამეთაურო ცენტრს პოტსდამში, იტალია – შტაბს რომთან ახლოს და საბერძნეთი – შტაბს ლარისში ზღვაზე ოპერაციების ჩასატარებლად. ოპერაციების დაგეგმვისა და განხორციელების შემთხვევაში ამ შტაბებში მოხდებოდა მისიაში მონაწილე სხვა წევრი ქვეყნების ოფიცრების მივლინება და მამასადამე, ეროვნული შტაბები გარდაიქმნებოდა „მრავალეროვნულში“.

ამგვარად, ევროკავშირს უჩნდებოდა 2003 წლის „არტემის“ მისიის ანალოგიური მცირე მასშტაბის ავტონომიური ოპერაციების განხორციელების შესაძლებლობა. იმავდროულად, ნატო ინარჩუნებდა კონტროლს მასშტაბური ოპერაციების შემთხვევაში მაღალი ხარისხის სირთულის სამხედრო ამოცანების შესრულებით. მეტიც, პრაქტიკაში ხდებოდა შრომის განაწილების გამყარება ორგანიზაციებს შორის: ევროკავშირს შეეძლო განხორციელებინა ოპერაციები მცირე მასშტაბისა და ინტენსიურობის სამხედრო მოქმედებებით მაშინ, როცა უფრო დიდი ოპერაციები ექცეოდა ნატოს კომპეტენციაში. ამის მიუხედავად, პოლიტიკური თვალსაზრისით დამოუკიდებელი ოპერაციის ორგანიზებისა და განხორციელების ფორმალური შესაძლებლობის არსებობა ევროკავშირს აძლევდა დამოუკიდებელი ორგანიზაციის იმიჯის, ხოლო აუცილებელი პირობებისა და პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში კი პოლიტიკური ავტონომიის შენარჩუნებისა და ფაქტიური ავტონომიის მიღწევის შესაძლებლობას.

ამასთან, თუკი საუბარი შეეხებოდა სამხედრო თვალსაზრისით ნაკლებად რთული ამოცანების შესრულების აუცილებლობის მქონე მცირე მასშტაბის ოპერაციის ჩატარებას, მსგავსი სქემა აძლევდა ევროკავშირს მისიების დამოუკიდებლად ჩატარების შესაძლებლობას, მზადყოფნისა და წევრი ქვეყნების მხრიდან რესურსების არსებობიდან გამომდინარე. მიღებული მექანიზმი ინტეგრაციულ სტრუქტურებსა და ეროვნულ სახელმწიფოებს შორის ამყარებდა შრომის განაწილებას უსაფრთხოებისა და თავდაცვის ევროპული პოლიტიკის ფარგლებში და ოპერაციების განხორციელებაში ძირითადი როლი ეთმობოდა

სწორედ ეროვნულ სახელმწიფოებს და არა ინტეგრაციულ ინსტიტუტებს. ამ უკანასკნელის რესურსების შეზღუდულობის გათვალისწინებით ევროკავშირის ორიენტირებულობა მცირე ინტენსიურობისა და სირთულის ოპერაციებზე გამყარებულ იქნა თვით უსაფრთხოებისა და თავდაცვის ევროპულ პოლიტიკაში. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ შეთანხმებული სტრუქტურა ითვალისწინებდა პრინციპულად ახალი ინსტრუმენტის – კრიზისული რეაგირების ოპერაციების, როგორც სამხედრო, ასევე, სამოქალაქო ასპექტებით დაკავებული სპეციალური ჯგუფის არსებობას. სწორედ ეს ელემენტი პოტენციურად ხდიდა ევროკავშირს, სამოქალაქო კრიზისული რეაგირების ელემენტების ჩართვით, კომპლექსური ოპერაციების დაგეგმვის მექანიზმის მქონე უნიკალურ ორგანიზაციად.

კომპლექსური მიდგომის საჭიროების მქონე თანამედროვე საერთაშორისო კრიზისების რთული ხასიათის გათვალისწინებით, სამხედრო–სამოქალაქო დაგეგმვის ჯგუფი, შესაძლოა გახდეს ევროკავშირის უპირატესობა ნატოსთან შედარებით. მოცემულ მომენტში ალიანსი არ ფლობს ოპერაციების დაგეგმვის სისტემაში ჩაშენებულ სამოქალაქო კრიზისული რეაგირების მექანიზმს. საგანგებო სიტუაციებისა და სტიქიური უბედურებების შემთხვევისთვის (Civil emergency planning activities) მის სტრუქტურაში არსებული სამოქალაქო დაგეგმვის ელემენტი მუშაობს, როგორც არა დაგეგმვის სისტემის ორგანული ნაწილი, არამედ, როგორც დამხმარე ნაწილი სამხედრო ოპერაციების ჩატარებასა და წევრი–ქვეყნების მთავრობების მხარდაჭერაში. ამიტომ, ჯგუფის მუშაობის განვითარებითა და სრულყოფით ევროკავშირი, შესაძლოა, ამა თუ იმ კრიზისის დასარეგულირებლად აღმოჩნდეს უფრო ეფექტური ორგანიზაცია, მაღალი ხარისხის ინტენსიურობის სამხედრო ქმედებების არშემცველი ოპერაციების განხორციელების პირობით.

ევროპული პოტენციალის განვითარებისათვის 2005 წლის მაისში ევროკავშირის საბჭომ მიიღო თვით სამხედრო გენერალური შტაბის მუშაობის მათორგანიზებელი გადაწყვეტილებები, ამ უკანასკნელის უფრო დიდი ეფექტურობისა და მისი სწრაფი რეაგირების პოტენციალის გაზრდის მიზნით.

2007 წლის აპრილისთვის ევროკავშირის გენერალურ შტაბში მუდმივად

მუშაობდა 8 კაცისგან შემდგარი სამხედროების ჯგუფი. ევროკავშირის საბჭოს მიერ კრიზისული რეაგირების ავტონომიური დაგეგმვის დაწყების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში შტაბი ახდენს ოპერაციების ცენტრის ფორმირებას, რომელშიც მუშაობა შეუძლია 80-ზე მეტ სამხედროსა და სამოქალაქო ექსპერტს, აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებიდან უკვე მეხუთე დღეს. იგულისხმება, რომ ოპერაციის ჩატარება შესაძლებელი იქნება მისი დაგეგმიდან არაუგვიანეს 2 კვირის შემდეგ.

თუმცა, თავიდანვე ევროკავშირის სახელმწიფოები არსებით შეზღუდვებს ითვალისწინებდნენ სამხედრო შტაბის მუშაობაში. იგი არ მოქმედებდა მუდმივ ყაიდაზე და მუშაობის დაწყება შეეძლო ევროკავშირის საბჭოს მხოლოდ შესაბამისი გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაში, რაც აჭიანურებდა თვით მისი გააქტიურების მექანიზმს და როგორც შედეგი, ამა თუ იმ კრიზისზე ევროკავშირის რეაქციასაც.

მეტიც, ევროკავშირის ახალ სტრუქტურებში სამუშაოდ წამოიჭრებოდა საკითხი აუცილებელი რაოდენობის სამხედროებისა და დიპლომატების არსებობის შესახებ. ნეიტრალი - ქვეყნებისათვის, კერძოდ ავსტრიისა და შვედეთისათვის საუბარი იყო ბრიუსელში ახლა უკვე არა მხოლოდ დიპლომატების, არამედ ოფიცრების გაგზავნის, ხოლო ნატოს წევრი - ქვეყნებისათვის კი თავდაცვისა და საგარეო საქმეთა სამინისტროების რესურსების გადანაწილების შესახებ.

1.3. პოლიტიკური დიალოგი და ურთიერთქმედება ევროკავშირისა და ნატოს სამხედრო-პოლიტიკური ორგანოების დონეზე

შეთანხმება „ბერლინ პლიუსის“ „საბრძოლო მონათვლა“ შედგა CMX/CME 03 კრიზისული რეაგირების სფეროში ნატოსა და ევროკავშირის პირველი ერთობლივი სწავლებების დროს.

ისინი შედგა 2003 წლის 19–25 ნოემბერს ბრიუსელსა და ორივე ორგანიზაციის წევრი - ქვეყნების დედაქალაქებში. მათი მსვლელობის დროს ხდებოდა ოპერაციების დაგეგმვისა და კონსულტაციების მექანიზმის, ანუ უშუალოდ მათი ჩატარების წინამავალი ფაზის დამუშავება. თვით სწავლების მიმდინარეობამ მოახდინა პოლიტიკურ დონეზე შეთანხმებების მუშაობის კონკრეტული წესის ზოგადი გააზრების დემონსტრირება, თუმცა ასევე, გამოავლინა ევროკავშირის ქმედებებში არსებითი შეზღუდვები შესაძლო კრიზისული სიტუაციის დროს.

დასაწყისში, სწავლების ლეგენდის თანახმად, ნატომ მიანიშნა, რომ არ მიიღებს მონაწილეობას კრიზისის დარეგულირებაში – მაშასადამე, ირიბად დადასტურდა: შეთანხმებები გულისხმობს, რომ „პირველი გადაწყვეტილების უფლება“ ეკუთვნის ალიანსს. სწავლების დაგეგმვა დაიწყო ჯერ კიდევ 2003 წლის გაზაფხულზე და ხორციელდებოდა ორივე ორგანიზაციის წარმომადგენლების მიერ. თუმცა, როგორც მოგვიანებით აღიარეს ალიანსის ექსპერტებმა, სწავლებამ მოახდინა, სამხედრო ოპერაციების დაგეგმვის სფეროში არა მხოლოდ ევროკავშირის გამოუცდელობის (ნატოს სპეციალისტებს, საბოლოოდ მოუწია ასევე, შემდგომი სწავლებების დაგეგმვა), არამედ ევროკავშირის ინსტიტუციონალური სპეციფიკის მიზეზით თვით დაგეგმვის პროცესის გართულების ფაქტის დემონსტრირება. იმის გამო, რომ ევროკავშირის თავმჯდომარის პოსტის როტირება ხდება წევრ–ქვეყნებს შორის ყოველი 6 თვის განმავლობაში, ამ ვადაზე მეტი ხანგრძლივობის პროექტზე მუშაობა მეტად გართულებულია ექსპერტების შემადგენლობის ცვლილების მიზეზით. შედეგად, არსებითად ფერხდება გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი, ხოლო რეალური კრიზისის შემთხვევაში სწორედ ოპერატიულობა ხდება მოქმედებების წარმატებულობის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი.

ამის მიუხედავად, ორგანიზაციები აგრძელებდნენ ერთობლივ მუშაობას. 2003 წლის დეკემბერში დამტკიცებულ ევროპული უსაფრთხოების სტრატეგიაში ევროკავშირმა კვლავ დაადასტურა ნატოსთან პარტნიორობის მისწრაფება, მიიჩნევდა რა ალიანსს „ეფექტური მრავალფეროვნების“ სისტემის (effective multilateralism) მნიშვნელოვან ელემენტად, რომლის აგებასაც ცდილობდა

ევროკავშირი გარე სამყაროსთან თავის ურთიერთობებში. სტრატეგიაში, ასევე, ხაზგასმული იყო „სტრატეგიული პარტნიორობის“ ჩარჩოების უზრუნველყოფელი და კრიზისული რეაგირების სფეროში ევროკავშირის „ოპერატიული პოტენციალის“ გამაძლიერებელი „ბერლინ პლიუსის“ შეთანხმებების მნიშვნელობა. თავის მხრივ, ნატოს ოფიციალური პირები, ასევე ხაზს უსვამდნენ „ბერლინ პლიუსის“ შეთანხმების მნიშვნელობას, ამასთან, აქცენტი გადაჰქონდათ ალიანსის ევროპული სამხედრო პოტენციალის გაძლიერებისა და განვითარების აუცილებლობაზე.

თუმცა, CMX/CMEOS სწავლებიდან უკვე ნახევარი წლის შემდეგ ორგანიზაციების ერთგულება მათ მიერ მიღწეული შეთანხმებების მიმართ მოექცა სიმტკიცის სერიოზული ტესტის ქვეშ. 2004 წლის მაისში ევროკავშირის წევრები გახდნენ კვიპროსი და მალტა. ევროკავშირის 8 ახალი სხვა ქვეყნისგან განსხვავებით, რომლებიც იმ მომენტისათვის იყვნენ ნატოს წევრები, ამ სახელმწიფოებს არ ჰქონდათ წვდომა ალიანსის ინფორმაციულ პროტოკოლებთან. თურქეთის პოზიციის ჭრილში განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენდა კვიპროსი.

ეს, თითქოსდა ტექნიკური საკითხი, მაშინვე გახდა ნატო – ევროკავშირის დიალოგის განვითარებისთვის დაბრკოლება უკვე ინსტიტუციონალურ დონეზე. კვიპროსისთვის ნატოს ინფორმაციული პროტოკოლების ფორმალური მიუწვდომლობის, ხოლო თურქეთის მხრიდან კვიპროსისთვის ასეთი ნებართვის გაცემის მიმართ წინააღმდეგობის გაწევის მიზეზით, დისკუსიები პოლიტიკისა და უსაფრთხოების კომიტეტისა და ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ფორმატში დაბლოკილი აღმოჩნდა. მაგრამ, ვინაიდან 2004 წლის მაისში ეს იყო ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში ევროკავშირის მიერ იმ დროისათვის დასაგეგმავი ოპერაციის მომზადებაზე პასუხისმგებელი ძირითადი მექანიზმი, აუცილებელი იყო მუშაობის გაგრძელება.

თავის მხრივ, კვიპროსს, მაგალითისათვის, საკუთარი მოტივაციიდან გამომდინარე (კერძოდ, თურქეთთან ურთიერთობები) შეეძლო „ბერლინ პლიუსის“ დაბლოკვა უკვე ევროკავშირის მხრიდან. ამ სიტუაციამ მიიღო

„ორმაგი ვეტოს“ სახელწოდება.

საქმის მსგავს ვითარებას, რასაც ბრიუსელში უწოდებენ „მონაწილეობის პრობლემას“, გააჩნია შორსმიმავალი შედეგები და ასე თუ ისე აფერხებს ნატო – ევროკავშირის თანამშრომლობის განვითარების შესაძლებლობებს.

ამას გარდა, კრიზისი ინსტიტუციონალურ დონეზე ზოგი ქვეყნის მიერ გამოიყენება საკუთარი პოლიტიკური ინტერესებისა და პოზიციების დასაცავად. უპირველეს ყოვლისა ეს ეხება საფრანგეთს, რომელიც მიიჩნევს, რომ შეთანხმება „ბერლინ პლიუსი“ პრინციპში ზღუდავს ევროკავშირის, როგორც კრიზისების დარეგულირებაში დამოუკიდებლად მონაწილეობის შემძლე საერთაშორისო აქტორის მოქმედებებს. შედეგად, მაგალითად, როცა 2005 წლის დასაწყისში აშშ ცდილობდა ევროკავშირის პოლიტიკისა და უსაფრთხოების კომიტეტისა და ნატოს საბჭოს სხდომების დღის წესრიგში შეეტანა დასავლეთ სუდანში სიტუაციის საკითხი, საფრანგეთმა დაბლოკა ეს მცდელობა.

ზოგიერთი ნატოს დიპლომატის სიტყვებით ნატოსა და ევროკავშირის ურთიერთქმედება პოლიტიკისა და უსაფრთხოების კომიტეტისა და ნატოს საბჭოს ფორმატში ემსგავსება შეჯიბრებებს წევრ–ქვეყნებს შორის „ვინ უფრო სწრაფად დაბლოკავს საკითხს“ ბრიტანელი დიპლომატები შექმნილ სიტუაციას ახასიათებენ, როგორც „ნდობის კრიზისს“ ალიანსსა და ევროკავშირს შორის.

მათი აზრით, კრიზისი ვლინდება ორგანიზაციების ურთიერთობათა დაბალ დონეებზე. უკვე 2004 წლის ბოლოსათვის საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა სამხედრო პოტენციალის განვითარების კოორდინაციაზე პასუხისმგებელი ad hoc ოთხი ჯგუფის მუშაობა. ამ ჯგუფების შეხვედრები იმართება, სულ მცირე, წელიწადში ორჯერ, ევროკავშირში თავმჯდომარის შეცვლის მიხედვით.

გამონაკლისი გახდა ავღანეთში სიტუაციის განხილვა 2007 წლის მარტში, როცა საუბარი შეეხებოდა ავღანეთში ევროკავშირის საპოლიციო ოპერაციის მომზადებას. თუმცა, პრობლემების სრულად მოგვარება ჯერჯერობით შეუძლებელია.

რაც შეეხება, პოლიტიკურ დონეს, ურთიერთქმედება ხდება, უპირველეს ყოვლისა არაფორმალური შეხვედრების მსვლელობისას, ასე მაგალითად, როცა

ნატოს გენერალური მდივნის პოსტი ეკავა ჯორჯ რობერტსონს, სულ მცირე, თვეში ერთხელ ატარებდა „არაფორმალურ ლანჩს“ საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელ ხავიერ სოლანოსთან. მოგვიანებით, მსგავსი შეხვედრები ტარდებოდა უფრო იშვიათად. ასეთი ფორმატის მთავარი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ დღის ოფიციალური წესრიგის, სხდომების, პროტოკოლებისა და კომუნიკაციების არარსებობის პირობებში, ორივე ორგანიზაციის წევრებს ღიად შეუძლიათ ყველაზე საკამათო საკითხების განხილვა სხვადასხვა, მათ შორის ორგანიზაციების ხელმძღვანელების დონეზე. ამას გარდა, არაფორმალური შეხვედრები იმართება ნატოს საბჭოსა და ევროკავშირის პოლიტიკისა და უსაფრთხოების კომიტეტის, ორი ორგანიზაციის სამხედრო კომიტეტებისა და ნატოსა და ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების (ე.წ. „ტრანსატლანტიკური ვახშმები“) დონეზე.

თუმცა, მსგავსი შეხვედრების მნიშვნელობის მიუხედავად მხარეთა პოზიციების შეთანხმების პროცესში მსგავსი დიალოგების მთავარი შეზღუდვა მდგომარეობს არა მხოლოდ არაფორმალურ დონეზე ამა თუ იმ გადაწყვეტილებების მიღების შეუძლებლობა, ასევე, შეუძლებელია მოქმედებების მუდმივი კოორდინაციის განხორციელება განსხვავებულ საკითხებში და კონსულტაციების წარმოება. მეტიც, ვინაიდან ასეთი შეხვედრები არ მიეკუთვნება ოფიციალურს, ორგანიზაციის ზოგი წევრი—ქვეყანა, უპირველესად, საფრანგეთი, მიიჩნევს, რომ ორგანიზაციის ურთიერთქმედებების საკვანძო საკითხები არ შეიძლება განიხილებოდეს ამგვარად, ვინაიდან უბრალოდ არაფორმალური საუბრების თემებისგან განსხვავებით წარმოადგენს გაცილებით მეტ მნიშვნელობას. ამრიგად, არაფორმალურ დონეზეც კი ხდება ოფიციალური ფორმატისთვის დამახასიათებელი სირთულეების წარმოქმნა.

თუ ვისაუბრებთ ნატოსა და ევროკავშირის სამხედრო ინსტიტუტების ურთიერთქმედებაზე, უნდა აღინიშნოს, რომ აქ მუშაობა, უმთავრესად, მიმდინარეობს ევროკავშირის სამხედრო კომიტეტთან და ალიანსის შტაბ-ბინასთან არსებული საკონტაქტო ჯგუფების მეშვეობით (მათი შექმნის შესახებ

გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 2003 წლის კომპრომისის საფუძველზე). თუმცა, ერთი ორგანიზაციის მიერ სხვა მეორე ორგანიზაციის წევრებისათვის საიდუმლო ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებული, ევროკავშირის გაფართოების შემდეგ წარმოქმნილი სირთულეები სერიოზულ დაბრკოლებად იქცა ამ ჯგუფების მუშაობაში. ვინაიდან, ამჟამინდელ პრაქტიკაში ნებისმიერი დოკუმენტის გადაცემა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ექვემდებარება შეთანხმებას.

ერთ-ერთი გადაწყვეტილება კვლავ ეხება არაფორმალურ დონეს: ვინაიდან უმეტეს შემთხვევაში საუბარია ერთი და იმავე ქვეყნების წარმომადგენლებზე, დოკუმენტების გაცვლა ხდება მათ შორის. ანუ, ევროკავშირში არსებული წევრი ქვეყნის სამხედრო წარმომადგენლებს შეუძლიათ ნატოს დოკუმენტების მიღება, ნატოში იმავე ქვეყნის წარმომადგენლებისაგან.

ამგვარად, ნატოსა და ევროკავშირის ინსტიტუციონალური ურთიერთქმედების ანალიზის დროს, უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის ორ ორგანიზაციას შორის თანამშრომლობის მექანიზმები, თავისთავად, დამყარებულია, როგორც პოლიტიკურ, ასევე, სამხედრო დონეებზე. თუმცა, პრაქტიკაში კი ორ ორგანიზაციას შორის არსებობს პოლიტიკური და სტრუქტურული ხასიათის მცირე პრობლემები.

და მაინც, თანამშრომლობა ხორციელდება „ბერლინ პლიუსის“ შეთანხმების შესაბამისად. ნატომ და ევროკავშირმა შეძლეს მოემზადებინათ და ერთობლივი ოპერაცია განეხორციელებინათ მაკედონიაში 2003 წელს და 2004 წლიდან ატარებენ ოპერაციებს ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში.

ორგანიზაციებს შორის დამყარებულია არა მხოლოდ ფორმალური, არამედ გადაწყვეტილებების მიღების პროცესის განუყოფელ ნაწილად მოაზრებული, უკიდურესად საყურადღებო არაფორმალური დიალოგი.

თუმცა, თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ინსტიტუციონალური და პოლიტიკური სირთულეების მიზეზით არაფორმალური დიალოგი გაცილებით საგულისხმო როლს ასრულებს მხარეებს შორის ურთიერთობებში და ნაწილობრივ ემსახურება კრიზისების დარეგულირებას თვით ორგანიზაციებს

შორის ურთიერთობებში, ვიდრე წარმოადგენს ერთობლივი პროექტების შესასრულებლად გადაწყვეტილებათა შემუშავების მექანიზმს.

თავი მეორე. ნატო-ევროკავშირის სამხედრო თანამშრომლობის პრობლემები და მათი დაძლევის გზები

ნატოსა და ევროკავშირს შორის არსებული სამხედრო თანამშრომლობის პრობლემები წარმოიშვა იმ პერიოდიდან, როცა მათ ფაქტობრივად მსგავსი მიმართულებებით დაიწყეს ევროპის უსაფრთხოების სისტემაში თავიანთი მიზნების განხორციელება.

ამავდროულად განსხვავება აშკარა იყო, როგორც ფინანსირების კუთხით, ასევე ნატოს რეაგირების ძალების ურთიერთდამოკიდებულებით ევროკავშირის ოპერატიულ-ტაქტიკურ ჯგუფებთან. აგრეთვე, სახეზე იყო შეზღუდვები სტრატეგიული მიზნების რეალიზებაში.

თუმცა, ზოგიერთი საერთო ინტერესიდან გამომდინარე, რაც ევროპის უსაფრთხოებას და ორგანიზაციებში შემავალ სახელმწიფოთა ინტერესებს შეეხებოდა, მათ შეძლეს დაენახათ კონკურენციის მიღმა პრობლემების დაძლევის გზები.

2.1. ევროპული უსაფრთხოებისა და თავდაცვის სისტემის ფინანსური უზრუნველყოფის მახასიათებლების თანაფარდობა ნატოს ფინანსირების სისტემასთან

უსაფრთხოებისა და თავდაცვის ევროპული პოლიტიკის დაფინანსების

სისტემის ძირითადი თავისებურებანი დაკავშირებულია ევროკავშირის ბუნებასთან, როგორც ინტეგრაციულ გაერთიანებასთან. დაფინანსების პრინციპები, მეტწილად წარმოადგენს ევროკავშირის მართვის ორგანოების სტრუქტურებში სახელმწიფოთაშორისი და ზეეროვნული ინტეგრაციის მოდელის შეთავსების პრინციპის ლოგიკურ გაგრძელებას და თავის თავში მოიცავს ევროკავშირის წევრი-ქვეყნების მხრიდან კოლექტიური და ინდივიდუალური დაფინანსების ელემენტებს.

ასე მაგალითად, 2000 წლის ევროპული კავშირის ხელშეკრულების 28-ე მუხლის თანახმად უსაფრთხოებისა და თავდაცვის ევროპული პოლიტიკის ხარჯები, სამხედრო ოპერაციების გამოკლებით, მიეკუთვნება საერთო ევროპულ ბიუჯეტს.

ვინაიდან ევროკავშირის სამხედრო კრიზისული რეაგირების ყველა ოპერაცია ხორციელდება ევროკავშირის მეორე საყრდენის ფარგლებში, – ანუ ეფუძნება სახელმწიფოთაშორისი ურთიერთქმედებების პრინციპებს, – მათი დაფინანსება, ნატოს მსგავსად, ხდება „სამისამართო ხარჯების“ პრინციპით. ეს იმას ნიშნავს, რომ ოპერაციაში მონაწილეობის არმიმღები წევრი-ქვეყნები ვალდებულნი არ არიან გამოყოფნა მათზე საკუთარი სახსრები, თუმცა სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სწორედ, როგორც ფინანსების გამომყოფმა ქვეყნებმა.

ევროკავშირის სამხედრო ოპერაციების ხარჯებსა და ზოგადად, ევროკავშირის ქვეყნებში სამხედრო ხარჯების ორგანიზების შესახებ თუ ვისაუბრებთ, შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ დღეისთვის დამატებით სირთულეს წარმოადგენს მათი მართვის სისტემა. როგორც აშშ-ის თავდაცვის ყოფილი მინისტრი უ. კონი აღნიშნავდა „ნატოს ევროპული ქვეყნები თავდაცვაზე ხარჯავენ აშშ-ის წილი ხარჯების დაახლოებით 60 %-ს, თუმცა ამ სახსრებისგან ღებულობენ სამხედრო პოტენციალის მხოლოდ 10 %-ს“.⁶ თუმცა,

⁶ 'European Allies to Spend More on Weapons'. The New York Times. 22.09.1999.P.4. <https://www.nytimes.com/1999/09/22/world/european-allies-to-spend-more-on-weapons.html> (ბოლო ნახვა-29.05.2020)

ევროპელი ანალიტიკოსები ამას ეწინააღმდეგებიან, აღნიშნავენ რა იმას, რომ ზოგადად, ევროკავშირი საკუთარ თავზე იღებს მსოფლიო სამხედრო ხარჯების მეხუთედ ნაწილს. პარიზის სტრატეგიული კვლევების ცენტრის საპატიო დირექტორის, ფ. ეისბურის სიტყვებით, აშშ-ის ხარჯების წილის 60 % წარმოადგენს, საკმარის თანხას, რათა მოხდეს რეაგირება გაუთვალისწინებელ სიტუაციებზე თვით ევროპაში ან მის პერიფერიაზე.

მაგრამ, მართვის არსებული სისტემის პირობებში თავდაცვაზე ხარჯების ეფექტურობა საკმაოდ დაბალი რჩება. ევროკავშირის ქვეყნები ფლობენ მუდმივ სამხედრო კონტინგენტს 2.4 მილიონი ადამიანის რაოდენობით – ეს 1 მილიონი ადამიანით აღემატება აშშ-ის კონტინგენტს. თუმცა, ხარჯები შეიარაღებასა და ფორმის ტანსაცმელზე ევროპაში შეადგენს ერთ ჯარისკაცზე, წლიურად მხოლოდ 11 ათას დოლარს, აშშ-ის 36 ათასი დოლარისგან განსხვავებით. სხვადასხვა შეფასებით, ევროკავშირის ქვეყნებს რომ მოეხდინათ ფინანსური მართვის სისტემის რეფორმირება, მაშინ შეიარაღებისა და ფორმის ტანსაცმლის ხარჯები 34 მილიარდი ევროს ნაცვლად იქნებოდა დაახლოებით 48 მილიარდი ევრო თავდაცვაზე საერთო ხარჯების ზრდის გარეშე.

ეისბურის აზრის თანახმად, საჭირო რეფორმები უნდა ჩატარდეს, უპირველეს ყოვლისა, თვით ევროკავშირის დონეზე. როგორც თვითონ აღნიშნავს, რეფორმის მსვლელობა დამოკიდებული იქნება უშუალოდ იმ ზომებზე, რომლებსაც ახორციელებენ წევრი-ქვეყნები, თუმცა მიზნების განსაზღვრა, კრიტერიუმების შემუშავება და კოორდინაცია მოითხოვს მრავალმხრივ სტრუქტურიზებას. ევროპული თავდაცვის სტრუქტურული სისუსტეების გამოსწორების მიზნებისთვის საკმარისი პოლიტიკური წონის მქონე ერთადერთ სტრუქტურას კი წარმოადგენს ევროპული კავშირი.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის დონეზე რეფორმები ხორციელდება. ასე მაგალითად, 2004 წლის თებერვალში ევროკავშირის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ფინანსების მართვის სპეციალური მექანიზმის შექმნის შესახებ, რომელმაც მიიღო სახელწოდება „აფინა“. მისი მეშვეობით ფინანსდება ე.წ. „საერთო ხარჯები“ სამხედრო-სამოქალაქო და სამხედრო ოპერაციების

მომზადებისა და ჩატარების მიზნით. ამ უკანასკნელებს, ევროკავშირის საბჭოს მიერ დადგენილი განმარტების თანახმად, განეკუთვნება შტაბების, სამეთაურო და კონტროლის სისტემების, ინფრასტრუქტურის, მოწყობილობების მხარდაჭერისა და ტრანსპორტის ხარჯები. მექანიზმს გააჩნია მუდმივი სტრუქტურა და მმართველი ორგანო – სპეციალური კომიტეტი. თითოეული ოპერაციისთვის იგულისხმება იურიდიული პირის შექმნა, რომლის სახელით შესაძლებელია საბანკო ანგარიშების გახსნა, საკუთრების შექმნა, კონტრაქტების დადება და ადმინისტრირების წარმართვა. „აფინის“ ბიუჯეტი ეფუძნება წევრი-ქვეყნების შეთანხმებული შენატანების წილს მათი მთლიანი ეროვნული შემოსავლის მიხედვით და 2012 წელს მან შეადგინა დაახლოებით 45 მილიონი ევრო.

მოცემული სქემის ერთ-ერთი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ საერთო ხარჯების განმარტების არსებობის შემთხვევაშიც კი, პრაქტიკაში ევროკავშირის ყოველი ახალი ოპერაციის დაგეგმვის დროს, მათი შეთანხმება სხვადასხვანაირად ხდება. ასე მაგალითად, გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ როგორ ხდება სატრანსპორტო ხარჯების ფინანსირება და მისი კონტინგენტის პირადი შემადგენლობის განთავსების ხარჯების გამოყოფა, ევროკავშირის საბჭო ღებულობს თითოეული ახალი ოპერაციისთვის. მეტიც, ერთობლივი ხარჯების საერთო წილი ოპერაციების ბიუჯეტთან მიმართებაში მცირეა და როგორც წესი, მერყეობს 10 %-ის ფარგლებში.

ასევე, „აფინის“ მეშვეობით ორგანიზებულია ხელშეკრულება „ბერლინ პლიუსის“ შეთანხმებით განხორციელებული ევროკავშირის ოპერაციების საერთო ხარჯების გარკვეული წილის ფინანსირება. მექანიზმი გამოიყენება შეთანხმებების შესაბამისად ალიანსის მიერ ევროკავშირისათვის მიწოდებული ნატოს სახსრების დასაფარად. ანუ, ნატოსგან განსხვავებით, ევროკავშირი ფლობს არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ ფინანსური კუთხით კოლექტიური პასუხისმგებლობის განხორციელების ხელშემწყობ ინსტრუმენტს.

ამავდროულად, თვით უსაფრთხოებისა და თავდაცვის ევროპული პოლიტიკის რთული ბუნებისა და მასში კრიზისული რეაგირების სამხედრო-

სამოქალაქო ასპექტების შეხამების გათვალისწინებით, ევროკავშირის მისიებზე სახსრების ნაწილი გამოიყოფა საერთო ევროპული ბიუჯეტიდან. ეს ნაწილი განეკუთვნება მხოლოდ სამოქალაქო კრიზისული რეაგირების ოპერაციების უზრუნველყოფას, როგორცაა მაგალითად, მაკედონიაში ევროკავშირის საპოლიციო ოპერაცია „პროქსიმა“, ინდონეზიაში ევროკავშირის მონიტორინგის მისია, საპოლიციო ოპერაცია კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (პოლიტიკური და სოციალური მეცნიერების ევროპული სკოლა კინშასა) და იმართება ევროპული კომისიის მიერ (ევროპული გაერთიანების კომისია).

ევროკომისიას გააჩნია ადგილებზე პროექტების მართვის უდიდესი გამოცდილება. თუმცა, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და აქტორებთან, კერძოდ ნატოსთან ურთიერთქმედებებში შესვლის აუცილებლობის შემთხვევაში ჩნდება გარკვეული სირთულეები. თუმცა, ადგილებზე ალიანსის წარმომადგენლებსა და ევროკომისიის ჩინოვნიკებს ასე თუ ისე უხდებათ ურთიერთობა, როგორც მაგალითად, კავკასიაში, სადაც რეგიონის ქვეყნები შედის „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ნატოს პროგრამაში და მონაწილეობენ ევროპული გაერთიანების კომისიის სხვადასხვა პროგრამებში. ევროკავშირის წარმომადგენლებთან მუშაობის გამოცდილება პოზიტიური ბოსნიაშიც აღმოჩნდა, სადაც ევროკავშირსა და ალიანსს შორის ძირითადი დიალოგი მიმდინარეობდა ევროკავშირის სამხედრო კომისიის არხებით და ბოსნია-ჰერცეგოვინას ურთიერთობებში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის მეშვეობით.

და ბოლოს, ევროკავშირის ფარგლებში კიდევ ერთი სტრუქტურა, რომელიც 2004 წლის ივლისიდან ფუნქციონირებს, პერსპექტივაში კი უნდა მოახდინოს კიდევ უფრო მეტი ზეგავლენა სამხედრო ხარჯების მართვის სისტემებზე ევროკავშირის ქვეყნებში, არის ევროპული თავდაცვითი სააგენტო. მისი დაარსების მიზნებად სახელდებოდა: სამხედრო ხარჯების სისტემის რაციონალიზაცია, დაგეგმვის, შეიარაღების, წარმოებისა და შესყიდვის ეროვნული სისტემების ჰარმონიზაცია და შეიარაღების შესყიდვისა და გამოკვლევის დაფინანსების ერთობლივი პროექტების შექმნა.

ყველა ამ მიზანს ოფიციალურ დონეზე, ესწრაფვის ნატოც. ამ ველზე ახალი მოთამაშის გამოჩენა ალიანსისათვის ერთდროულად წარმოადგენს გამოწვევასაც და შესაძლებლობებსაც. ერთი მხრივ, ევროპული თავდაცვითი სააგენტოს ყველა პროექტი ეწყობა თანამშრომლობის გასაძლიერებლად ევროკავშირის ქვეყნებს შორის, ამასთან საფუძვლად მიიჩნევა ნატოს ფარგლებში არსებული პროექტები და მუშაობა ძირითადად მიმდინარეობს ალიანსის სტანდარტებით.

მეორე მხრივ, ნატოს ფარგლებში არსებული პროექტების მიხედვით, ან, უკიდურეს შემთხვევაში, მათ შესახებ ყველაზე დაწვრილებითი ინფორმაციის მიწოდების პირობით აშშ-თან თანამშრომლობის არარსებობის შემთხვევაში, შიდაევროპული კავშირების განვითარება პირდაპირ საფრთხეს წარმოადგენს ტრანსატლანტიკური სოლიდარობისათვის. ამ გზაზე ერთ-ერთ დამატებით სირთულეს წარმოადგენს სამხედრო დაგეგმვის ციკლების განსხვავებული სიგრძე, რომელთა ფარგლებშიც ხდება ნატოსა და ევროკავშირის ქვეყნების შეიარაღების განვითარების პროგრამის განსაზღვრა. ევროპული თავდაცვითი სააგენტო ეწევა სამხედრო დაგეგმვის ჰარმონიზაციის პროგრამას, მუშაობს რა, როგორც ეროვნული სახელმწიფოების, ასევე, უსაფრთხოებისა და თავდაცვის ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტების დონეზე, ევროკავშირის საბჭოს ჩათვლით.

ნატოს რიგი პროექტები, კერძოდ სტრატეგიული ავიაგადაზიდვების პოტენციალის შექმნის პროგრამა და ან-124 თვითმფრინავების იჯარის პროექტი SALIS, ფაქტიურად წარმოადგენს „ორმაგი დანიშნულების“ პროგრამებს. ვინაიდან იჯარის გადახდა ხდება ფრენის საათების რაოდენობის მიხედვით, ამ საათების გამოყენება მეიჯარე ქვეყნებს შეუძლია საკუთარი საჭიროებების შესაბამისად. ნავარაუდევია, რომ თვითმფრინავების გამოყენება შესაძლებელია, როგორც ეროვნული, ასევე, ნატოსა და ევროკავშირის ოპერაციების მიზნებისათვის და საჭიროების შემთხვევაში სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის გაეროს მოთხოვნილებებისათვის. თუმცა, ტრანსპორტის გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ეფუძნება კონსორციუმის მონაწილე

ქვეყნების ერთსულოვნების პრინციპს, ანუ, საბოლოო ჯამში გულისხმობს შეთანხმებას პოლიტიკურ დონეზე.

ამგვარად, სამხედრო ინსტიტუტებისა და ნატოსა და ევროკავშირის ოპერაციების ფინანსირების პრობლემები პოლიტიკური და სტრუქტურული ხასიათისაა. ამასთან, ყველაზე ნათლად ისინი ვლინდება ორივე ორგანიზაციის მიერ განხორციელებადი ოპერაციების დაფინანსებაში, ვინაიდან ოპერაციებში მონაწილე ქვეყნების მიერ სახსრების ლომის წილის გადახდა ხდება „სამისამართო ხარჯების“ სახით.

ევროკავშირის რთული ინტეგრაციული სტრუქტურა ფინანსური მართვის თვალსაზრისით ერთდროულად წარმოადგენს უპირატესობასაც და ნაკლოვანებასაც. ერთი მხრივ, იგი ანიჭებს ქვეყნებს ახალ შესაძლებლობებს და ახალ ინსტრუმენტებსაც, რომელთა მეშვეობით უფრო ადვილია ერთობლივი პროექტების კოლექტიური დაფინანსება.

ოპერაციებზე ევროკავშირის ხარჯების ჯერ მხოლოდ მცირე ნაწილი არის მოცული საერთო ბიუჯეტით. თუმცა, პერსპექტივაში ეს წილი შეიძლება გაიზარდოს. ამ თვალსაზრისით ინსტიტუციონალურ დონეზე ევროკავშირი ფლობს შედარებით უპირატესობას – მექანიზმი „აფინა“, უკვე იძლევა სახსრების ნაწილის ეკონომიის შესაძლებლობას და ნატოსგან განსხვავებით, თუნდაც ნაწილობრივ გადაანაწილებს ოპერაციების სიმძიმეს ყველა წევრ-ქვეყანას შორის, ამასთან, ქმნის რა არა მხოლოდ ხილვადობას, არამედ საქმეზე ახდენს ევროპული სოლიდარობის დემონსტრირებას. თუმცა, რა თქმა უნდა, წევრი-ქვეყნების წილობრივი მონაწილეობის პრინციპზე დაფუძნებული „აფინის“ მუშაობის წარმატება საბოლოო ჯამში ფერხდება პოლიტიკური ნების არარსებობის გამო.

მეორე მხრივ, თვით, განსხვავებულ პრინციპზე დაყრდნობით პროექტების დამაფინანსებელი, სხვადასხვა ევროპული ინსტიტუტის მუშაობის ფაქტი ხშირად იწვევს დამატებით სირთულეებს. ამ მხრივ, აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთი ვარიანტი შეიძლება ყოფილიყო ნატო – ევროკავშირის სტრუქტურული დიალოგის გაფართოება მასში ისეთი მოთამაშეების ჩართვით, როგორებიცაა ევროპული თავდაცვითი სააგენტო და ევროპული კომისია.

ამასთან, ევროპული გაერთიანების კომისიასთან ალიანსის ურთიერთქმედების ყველაზე მარტივი და ეფექტური ხერხი კონკრეტული პროექტების ფარგლებში შეიძლება ყოფილიყო ad hoc თანამშრომლობა, როგორც მაგალითად, კავკასიაში ევროკავშირის პროექტები და ნატოს თანამშრომლობა ამ რეგიონის ქვეყნებთან.

ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ფინანსების მართვის სისტემის ეფექტურობის ზრდის გზაზე საკვანძო გადაწყვეტილება იქნებოდა კოლექტიური დაფინანსების პროექტების რაოდენობის ზრდა და მაშასადამე, ოპერაციებში „სამისამართო ხარჯების“ პრინციპის შეცვლა. ექსპერტების მიერ კიდევ ერთი, უკვე შემოთავაზებული იდეა – მოკავშირეების პოტენციალის სპეციალიზაციის განვითარება, რაც გამოიწვევს ხარჯების ეკონომიასა და რაციონალიზაციას მათ შეიარაღებაზე – მკაფიოდ გამოხატული პოლიტიკური ხასიათისაა. ასეთი ზომების ეფექტურობა შესაძლებელია ნატო–ევროკავშირის დონეზე მისი შეთანხმებულობის პირობით, ვინაიდან საუბარია, ძირითადად ერთი და იმავე ქვეყნების პოტენციალზე, ეს კი, თავის მხრივ, კვლავ იწვევს ინსტიტუციონალურ დონეზე ორი ორგანიზაციის დიალოგის ბლოკირების მოხსნის აუცილებლობას. ნატოსა და ევროკავშირის ძალებში ჩართული შემადგენლობა, მეტწილად ერთმანეთს ემთხვევა.

ამასთან დაკავშირებით, წევრი–ქვეყნების რესურსებთან მიმართებაში წამოიჭრება საკითხი ნატოსა და ევროკავშირის შორის შესაძლო კონკურენციის შესახებ, როგორც ფუნქციონალურ, ასევე, შინაგან დონეზე. ორგანიზაციებს შორის კონფლიქტის შესაძლებლობის განსაზღვრის მიზნით აუცილებელია თითოეული მათგანის პოტენციალის ფორმირების თავისებურებების განხილვა, CP–სა და ევროკავშირის ჯგუფების სპეციფიკის დადგენა იმაში, რაც ეხება თითოეული ორგანიზაციის მოქმედებების შესაძლო ურთიერთგავლენასა და შეზღუდვას, ნატოსა და ევროკავშირის ძალისხმევის კოორდინაციის ხარისხის შეფასებას სამხედრო მშენებლობის საკითხებში.

2.2. ევროკავშირის სამხედრო პოტენციალი: შეზღუდვები სტრატეგიული მიზნების რეალიზებაში

ევროკავშირის ქვეყნების სამხედრო ურთიერთქმედების ანალიზის დროს საჭიროა სამხედრო თანამშრომლობის ორი დონის არსებობის გათვალისწინება. ჯერ ერთი, საუბარია საერთო ევროპული პოტენციალის ფორმირებაზე წევრი-ქვეყნების ეროვნული კონტინგენტების საფუძველზე, მეორე, – დასავლეთევროპული კავშირის მრავალეროვნული სამხედრო კონტინგენტის არსებობაზე, რომელიც დღეისათვის გადაცემულია ევროკავშირის კომპეტენციაში. ევროკავშირის სამხედრო სტრუქტურების განვითარება აქტიური ტემპებით დაიწყო 1999 წლის კიოლისა და ჰელსინკის სამიტების შემდეგ, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სწრაფი რეაგირების ძალების შექმნისა 60 ათასი ადამიანის რაოდენობით, რომელთა გაშლა შესაძლებელი იქნებოდა 30 დღის განმავლობაში და მათი საბრძოლო მზადყოფნის მხარდაჭერა ერთი წლის განმავლობაში. 2003 წლის ბოლოს უსაფრთხოების ევროპული სტრატეგიის მიღებით, ოპერაციების სია, რომელთა შესასრულებლად განკუთვნილი იყო ეს ძალები, გაფართოვდა. ჰუმანიტარულ და სამაშველო, სამშვიდობო (მათ შორის მშვიდობის დამყარება) ოპერაციებთან ერთად, რაც დასავლეთევროპული კავშირის მიერ აღინიშნა ჯერ კიდევ 1992 წლის პეტერსბერგის ამოცანებში, დამატებულ იქნა განიარაღების ერთობლივი ოპერაციები, მესამე ქვეყნების მხარდაჭერა ტერორიზმთან ბრძოლაში და უსაფრთხოების სექტორის რეფორმა.

თავდაპირველად ჰელსინკის სამიტის დეკლარაციაში დაფიქსირებულმა, უსაფრთხოებისა და თავდაცვის ევროპული პოლიტიკის განვითარების ძირითადმა ამოცანებმა შემდგომი წინსვლისათვის შემოხაზა საქმიანობის ფართო ველი. ტრანსპარენტულობა, შესრულებული სამუშაოების რეგულარული შეფასება, თითოეული სახელმწიფოს პასუხისმგებლობის აღიარება და ევროკავშირის გადაწყვეტილებათა სრული ავტონომიურობის შენარჩუნება

დასახული მიზნების რეალიზაციის კონტროლისა და შეფასების საკითხებთან მიმართებაში, ხელს უწყობდა წევრი-ქვეყნების თანამშრომლობის აქტივიზებას.

თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ საუბარი, უპირველეს ყოვლისა, ეხებოდა წევრი-ქვეყნების პოლიტიკური ნების გამოვლენასა და ევროკავშირის შესაძლო ოპერაციებისათვის ჯარის საკუთარი კონტინგენტის გამოყოფის მზაობის გამოხატვას. ნებისმიერ შემთხვევაში კონტინგენტის გაგზავნის შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიღებულიყო, უპირველეს ყოვლისა, ეროვნულ დონეზე და მხოლოდ შემდეგ, ევროკავშირის მეორე საყრდენის ფარგლებში – ანუ უნდა შეთანხმებულიყო საბჭოში. არცერთი ევროპული ინსტიტუტი არ ფლობდა და დღემდე არ ფლობს საკმარის უფლებამოსილებებს სამხედრო სფეროს მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტილების არეში.

ერთი მხრივ, მოცემული პირობები, თავიდანვე არსებითად ზღუდავს ევროკავშირის მისიების გაშლის შესაძლებლობებს. თუმცა, სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის პრინციპის, როგორც უსაფრთხოებისა და თავდაცვის ევროპული პოლიტიკის საფუძვლისა და თავდაცვის სფეროს პოლიტიკაში წევრი-ქვეყნების სუვერენიტეტის შენარჩუნებით, ეს ინსტიტუციონალური თავისებურებანი აძლევს ევროკავშირის ქვეყნებს საერთოევროპული სამხედრო პოტენციალის დინამიურად განვითარების შესაძლებლობებს.

ასე მაგალითად, ჰელსინკის გადაწყვეტილებებიდან უკვე ერთი წლის შემდეგ ბრიუსელში 2000 წლის 20 ნოემბერს ევროკავშირის ქვეყნების საბჭოს სხდომაზე შედგენილ იქნა „ევროპული ძალების კატალოგი“. მასში დაფიქსირებული იყო წევრი ქვეყნების მიერ შეთავაზებული ეროვნული კონტინგენტები, რომლებიც რაოდენობრივი კუთხით, მთლიანობაში, შეესაბამებოდა ჰელსინკში დასახული სწრაფი რეაგირების კორპუსის შექმნის მთავარ მიზანს.

თუმცა, რაოდენობრივ კრიტერიუმებთან ერთად არსებობდა ხარისხობრივიც, რომლებსაც აღნიშნული კონტინგენტები 2000 წელს არ შეესაბამებოდა. საჭირო შესაბამისობის მიღწევის შესახებ საკითხი განიხილებოდა

ევროპული სამხედრო ექსპერტების მიერ 2000 წლის ნოემბრის კონფერენციის დასაწყისში „ევროპული ძალების კატალოგის“ სპეციალურად ჩატარებულ აუდიტში. დოკუმენტში დაფიქსირებული იყო კრიზისული რეაგირების ოპერაციების ჩატარების დაახლოებით 50–მდე არსებითი ნაკლოვანება და დაისახა მათი დაძლევის ძირითადი გზები.

ერთი წლის შემდეგ, 2001 წლის 19 ნოემბერს, ბრიუსელში ჩატარებულ ახალ კონფერენციაზე სწრაფი რეაგირების ძალების შექმნასთან დაკავშირებით დაფიქსირდა გარკვეული პროგრესი. ორმოცდაათი ნაკლოვანებიდან 10 აღმოიფხვრა სრულად, კიდევ ათი კი თითქმის ლიკვიდირებულ იქნა. მიუხედავად ამისა, აღიარებულ იქნა ევროკავშირის ქვეყნების ძალისხმევის საერთო არასაკმარისობა, განსაკუთრებით კი სტრატეგიული ავიატრანსპორტის სფეროში, ასევე, სამხედრო თვითმფრინავებისა და ვერტმფრენების უკმარისობა და სადაზვერვო სამსახურების თანამშრომლობის შედარებით სუსტი დონე. სამხედრო პოტენციალის განვითარებაზე კონტროლისათვის 2001 წლის ნოემბერში შეიქმნა ე.წ. ევროპული სამხედრო პოტენციალის მოქმედების გეგმა – ევროკავშირის მიერ დადგენილი მოთხოვნებისადმი წევრი-ქვეყნების წვლილის შესაბამისობის ხარისხის განსაზღვრის ხელშემწყობი მექანიზმი. „კონფერენციები სამხედრო პოტენციალის გაზრდისთვის“ სახელწოდებული მსგავსი სახის კონფერენციები 2001 წლიდან იმართება თითქმის ყოველწლიურად.

უნდა აღინიშნოს, რომ „ევროპული ძალების კატალოგი“ და მოქმედების გეგმის მექანიზმიც შეიქმნა ნატოს სპეციალისტებთან მჭიდრო თანამშრომლობით. აღნიშნული საკითხები იმყოფებოდა ნატო – ევროკავშირის ერთ-ერთი სამუშაო ჯგუფის კომპეტენციაში, რომელმაც თავისი საქმიანობა ჯერ კიდევ 2000 წლის ივლისში დაიწყო და იმ მომენტიდან ალიანსის ექსპერტები ახდენდნენ კოლეგების კონსულტირებას ევროკავშირიდან მთავარი მიზნისთვის სამხედრო პოტენციალის მშენებლობის საკითხებში.

პარალელურად, ევროკავშირის კრიზისული რეაგირების ძალების განვითარება ხორციელდებოდა დასავლეთევროპული კავშირის სტრუქტურების მეშვეობით. 1999 წლიდან 2000 წლის დეკემბრის ჩათვლით მიმდინარე,

ევროკავშირში დასავლეთევროპული კავშირის ეტაპობრივი ინტეგრაციის შედეგად მისი ოპერატიული პოტენციალი გადაეცა ევროკავშირს. ევროკავშირის განკარგულებაში აღმოჩნდა ინფრასტრუქტურის ისეთი ელემენტები, როგორებიცაა კრიზისული რეაგირების ოპერაციების დაგეგმვის ცენტრი, თანამგზავრული ცენტრი ტორეხონში (ესპანეთი), სიტუაციური ცენტრი ბრიუსელში და შეიარაღების დასავლეთევროპული ჯგუფი, ასევე, პარიზის უსაფრთხოების პრობლემების ინსტიტუტი.

ამას გარდა, ევროკავშირს ეგიდის ქვეშ გადაეცა მრავალეროვნული თანამშრომლობის საფუძველზე 1990-ან წლებში ფორმირებული დასავლეთევროპული კავშირის სამხედრო პოტენციალი. დასავლეთევროპული კავშირის პირველი სამხედრო სტრუქტურა თავდაპირველად შეიქმნა საფრანგეთსა და გერმანიას შორის ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე. 1992 წლის ლა-როშელის სამიტზე ფ. მიტერანმა და გ. კოლმა განაცხადეს ფრანგულ-გერმანული კორპუსის შექმნის შესახებ, რომელმაც დროთა განმავლობაში მიიღო ევროკორპუსის სახელწოდება და 1993 წლიდან გახდა დასავლეთევროპული კავშირის სტრუქტურა. კორპუსი შედგებოდა 50 ათასი ადამიანისაგან და იმყოფებოდა სტრასბურგში განთავსებული საერთო მეთაურობის ქვეშ. მაგრამ თვით კონტინგენტები დისლოცირებული იყო საფრანგეთისა და გერმანიის ტერიტორიაზე, ხოლო დასავლეთევროპული კავშირის ოპერაციებში მონაწილეობის მიღების გადაწყვეტილება მიიღებოდა ეროვნულ დონეზე.

უკვე დასავლეთევროპული კავშირის ფარგლებში მრავალეროვნული გაერთიანებების ფორმირების დროს თანამშრომლობის მსგავსი სქემა გამოიყენებოდა შემდგომშიც. 1995 წლის მაისში საფრანგეთმა, იტალიამ, პორტუგალიამ და ესპანეთმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ევროკავშირის ძალებისა და ევროკავშირის ქვეყნების სამხედრო-საზღვაო ძალების სამხედრო კონტინგენტების შექმნის შესახებ. შემდეგ, 1996 – 1998 წლების განმავლობაში დასავლეთევროპულ კავშირთან მიერთებულ იქნა გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, ბელგიისა და ნიდერლანდების მრავალეროვნული დივიზიები, ინგლისურ-ჰოლანდიური საზღვაო ქვეითების შენაერთი, გერმანულ –

ჰოლანდიური სახმელეთო ჯარების კორპუსი, ესპანურ-იტალიური საზღვაო ქვეითების შენაერთი და იტალიურ-უნგრული სახმელეთო ჯარების ქვედანაყოფი. 1999 წლის მაისში ტულუზის ფრანგულ-გერმანულ სამიტზე მიღებულ იქნა წინადადება ევროკავშირის სწრაფი რეაგირების ძალების კორპუსში ევროკორპუსის ტრანსფორმირების შესახებ, ნატოს ოპერაციებისათვის კორპუსის პარალელურად გამოყენების შესაძლებლობით. მეტიც, ზემოაღნიშნული ყველა სამხედრო ფორმირება ევროკორპუსის მსგავსად წარმოადგენდა გარკვეული სახით „ორმაგი დანიშნულების“ ძალებს და შეიძლება გამოყენებულ ყოფილიყო ალიანსის ოპერაციებში შესაბამისი პოლიტიკური გადაწყვეტილების შემთხვევაში.

2001 წლის დეკემბერში, ლააკენში ევროკავშირის ქვეყნებმა განაცხადეს სწრაფი რეაგირების ძალების საბრძოლო მზადყოფნის შესახებ. თუმცა, მოგვიანებით, ზოგი წევრი-ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები, მათ შორის ავტონომიური ევროპული სამხედრო სტრუქტურების ისეთი აქტიური მიმდევრის, როგორც საფრანგეთია, აღიარებდნენ, რომ მიღებული გადაწყვეტილება, მეტწილად, გახდა რეაქცია 11 სექტემბრის ტრაგიკულ მოვლენებზე და არ შეესაბამებოდა საქმეების რეალურ ვითარებას. როგორც 2002 წლის დასაწყისში საფრანგეთის თავდაცვის მაშინდელმა მინისტრმა, ალან რიშარმა განაცხადა, ევროკავშირის მოქმედების უნარი არ პასუხობს ჰელსინკის სამიტზე დასახულ ამოცანებს და რომ ეს უნარი შეიძენს სრულყოფილებას მათი სამხედრო სტრუქტურების განვითარების კვალდაკვალ. ევროკავშირის ძალების მზადყოფნის მიმართ მეტ კრიტიკულ შეფასებას თავის გვიანდელ მემუარებში იძლევა ევროკავშირის ყოფილი კომისარი საგარეო პოლიტიკაში კრის პატენი. ის წერდა, რომ მათი პოტენციალის განვითარების მიზნით ისინი რეგულარულად ისახავდნენ მიზნებს, რომლებსაც შემდეგ, რეგულარულად ვერ აღწევდნენ.

თუმცა, ევროკავშირში არსებული შეფასების სისტემის პირობებში წევრი-ქვეყნების კონტინგენტების მზადყოფნის განსაზღვრა მეტად რთულია. პროგრესი „ძალების კატალოგის“ განვითარებაში განიხილება მოქმედების გეგმის ფარგლებში მოწონებული ე.წ. „სამხედრო პოტენციალის გაუმჯობესების

სქემიდან“ გამომდინარე და რომელშიც, უპირველეს ყოვლისა, მითითებულია რაოდენობრივი ნაკლოვანებები. ანუ, მოწოდებული პოტენციალების ხარისხის შეფასება გადადის მეორე პლანზე. მაგრამ, მთავარი თავისებურება მდგომარეობს წევრი-ქვეყნებისათვის „ძალების კატალოგის“ არასავალდებულო ხასიათში: ევროკავშირის თითოეული ქვეყანა დამოუკიდებლად წყვეტს, რა სახის სამხედრო ფორმირებები მიაწოდოს. პრაქტიკაში, რესურსების განსხვავებულობისა და ზოგადად, უსაფრთხოებისა და თავდაცვის ევროპულ პოლიტიკაში მონაწილეობისადმი სხვადასხვა მიდგომის მიზეზით, ზოგი სახელმწიფო, სხვებისგან განსხვავებით, გაცილებით მეტად მონაწილეობს საერთოევროპული სამხედრო პოტენციალის განვითარებაში. ამასთანავე, ცხადი ხდება, რომ 2000 წელს კონტინგენტების უმეტესი ნაწილის მიწოდების მზაობა ჰქონდა საფრანგეთს, დიდ ბრიტანეთსა და გერმანიას.

შედეგად, უკვე 2003 წლის დასაწყისიდან ლონდონმა და პარიზმა დაიწყეს მუშაობა სწრაფი რეაგირების ძალების რეორგანიზაციის ახალ ინიციატივაზე, რომელსაც ძალზე შეუერთდა გერმანიაც. 2004 წლის თებერვალში სამმა ქვეყანამ წამოაყენა წინადადება ე.წ. ოპერატიულ-ტაქტიკური ჯგუფების შექმნის შესახებ. თითოეული ამ ჯგუფთაგან, რომლებიც როტაციის სისტემით იქნებიან საბრძოლო მორიგეობაზე, უნდა მოიცავდეს დაახლოებით 1500 ადამიანს (ამასთან, კონტინგენტი ჯგუფისათვის შეიძლება მიწოდებულ იქნეს ერთდროულად რამდენიმე ქვეყნის მიერ). თითოეულს ექნება საკუთარი, შესაძლოა, მრავალეროვნული შტაბი ჯგუფის შემადგენლობის მიხედვით, აუცილებელი შეიარაღება, ასევე, კავშირგაბმულობის საშუალებები და ტრანსპორტი. ანუ, ჯგუფი ადგილზე უნდა იყოს განთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღის განმავლობაში, იმოქმედოს სრულიად დამოუკიდებლად და გააჩნდეს პეტერსბერგის მისიის მთელი სპექტრის შესრულების უნარი, საბრძოლო მოქმედებების ჩათვლით. მეტიც, ევროკავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი ჯგუფები, ასევე, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნატოს ოპერაციებისათვის.

2004 წლის ივნისში ოპერატიულ-ტაქტიკური ჯგუფების კონცეფცია

მიღებულ იქნა ევროკავშირის საბჭოს მიერ ერთი შესწორებით, რომ ჯგუფები განლაგებულნი უნდა იყვნენ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის განმავლობაში. ერთი მხრივ, ეს ნიშნავდა საერთოევროპულ პროექტში ყველა წევრ-ქვეყანას შორის ვალდებულებების სიმძიმის ამიერიდან მეტნაკლებად თანაბარ გადანაწილებას. იმავდროულად, სწრაფი რეაგირების ძალების კონცეფცია, რომელთა დაკომპლექტება საჭიროების შემთხვევაში მოხდებოდა ეროვნული კონტინგენტებიდან, ადგილს უთმობდა როტაციის სქემის შესაბამისად საბრძოლო მორიგეობაზე მყოფი ძალების კონცეფციას, რაც მეტწილად პასუხობდა ევროკავშირის პოტენციალის მობილურობისა და ოპერატიულობის ამოცანას. ჩარჩოები ჯგუფების მოსამზადებლად და მათი საბრძოლო მზადყოფნის გამოსაცხადებლად განისაზღვრებოდა 2007 წლით. და მართლაც, 2007 წლის დასაწყისიდან მოქმედება დაიწყო ოპერატიულ-ტაქტიკური ჯგუფების როტაციის სქემამ, რომელთაგან ორი იმყოფება მუდმივ საბრძოლო მორიგეობაზე.

მიუხედავად ამისა, თუკი შევადარებთ ოპერატიულ-ტაქტიკური ჯგუფების პროექტსა და სწრაფი რეაგირების ძალების განვითარების პროგრამას, აღმოჩნდება, რომ მათი ურთიერთკავშირი დეტალურად არ შემუშავებულა. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ოპერატიულ-ტაქტიკური ჯგუფებისთვის დასახული ამოცანიდან – „კრიზისული რეაგირების ოპერაციების პირველადი კონტინგენტის“ სახით გამოსვლისა და „სამხედრო თვალსაზრისით უფრო რთულ პირობებში“ მოქმედებიდან გამომდინარე, მათი მუშაობა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც სწრაფი რეაგირების ძალების მოქმედების მოსამზადებელი ეტაპი. თუ განვიხილავთ ჯგუფებს, როგორც ევროკავშირის დამოუკიდებელ პოტენციალს, მაშინ ექსპერტების შეფასებით ოპერატიულ-ტაქტიკური ჯგუფების მიერ შესრულებულ ამოცანათა რიცხვი შეზღუდულია. საუბარი შეიძლება ეხებოდეს სამაშველო ოპერაციებს და არაუმეტეს ერთთვიანი ხანგრძლივობის დაბალი და საშუალო ინტენსიურობის კრიზისული რეაგირების ოპერაციებს.

თუმცა, თვით ევროკავშირის მიზნებმა, ასევე, განიცადეს გარკვეული ცვლილებები. ჯერ კიდევ 2003 წლის ნოემბერში საგარეო და უსაფრთხოების

პოლიტიკის სფეროში უზენაესმა წარმომადგენელმა ხ. სოლანამ ევროკავშირის ქვეყნების გენერალური შტაბების მეთაურების წინაშე გამოსვლისას აღიარა, რომ სამხედრო პოტენციალის განვითარებისათვის აუცილებელია დადგენილი დროებრივი ჩარჩოების გადახედვა. ამასთანავე, მისი აზრით, ახალი გეგმები, უფრო დეტალურად უნდა ითვალისწინებდეს ევროპული უსაფრთხოების სტრატეგიის დებულებებს, განხორციელებული ევროკავშირის კრიზისული რეაგირების პირველი ოპერაციების გამოცდილებას და ასევე, სამხედრო და სამოქალაქო სამუალებათა უფრო აქტიურ კოორდინაციას.

2004 წლის 17 მაისს ევროკავშირის საბჭომ მოიწონა მოქმედების ახალი პროგრამა, საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე.

დოკუმენტი სინამდვილეში მოიცავს ევროპული უსაფრთხოების სტრატეგიის დებულებებს, თუმცა გააჩნია უფრო გამოყენებითი ხასიათი. მასში ხდება სტრატეგიაში აღნიშნული სამხედრო პოტენციალის განვითარების ძირითადი პრინციპების დეტალიზება: ოპერატიული თავსებადობა, განლაგების მზადყოფნა და განსხვავებული ტიპის ორი ოპერაციის, შესაძლო, ერთდროული განხორციელების მიზნით დამოუკიდებელი მოქმედების უნარი. ასევე, გათვალისწინებულია რიგი კონკრეტული პროგრამებისა (ე.წ. „milestones“), პრაქტიკაში ამ მიზნების რეალიზებისათვის. ამასთან, 2015 წლის მთავარ მიზანში კვლავ კეთდება აქცენტი, ევროპული კავშირის შესახებ ხელშეკრულებაში აღნიშნული კრიზისული რეაგირების ოპერაციების მთელი სპექტრის რეალიზებისათვის ევროკავშირის მიერ მომავალი პოტენციალის შექმნის აუცილებლობაზე.

2.3. ნატოს რეაგირების ძალების ურთიერთდამოკიდებულება ევროკავშირის ოპერატიულ–ტაქტიკურ ჯგუფებთან

ალიანსში ოფიციალურ დონეზე სამხედრო ტრანსფორმაცია გაცხადებულია, როგორც უსაფრთხოების თანამედროვე გარემოსთან ადაპტაციის

ერთ-ერთი მთავარი ამოცანა. დღეისათვის სამხედრო ტრანსფორმაციის წარმატებულ პროექტად, მის ერთგვარ „კატალიზატორად“ მიღებულია მიიჩნეოდეს ნატოს რეაგირების ძალები. დღევანდელი სახით მათი შექმნის იდეა ეკუთვნის აშშ-ის თავდაცვის ყოფილ მინისტრს დონალდ რამსფელდს. რეაგირების ძალების თავდაპირველი, 17 ათასიანი კონტინგენტი გამოცხადდა საბრძოლო მზადყოფნაში ჯერ კიდევ 2004 წლის შემოდგომაზე, ხოლო რიგის სამიტზე დადასტურდა უკვე იმ დროისათვის პრაქტიკული ოპერაციების გამოცდილების მქონე ყველა ძალების საბრძოლო სამზადისი. 2005 წელს რეაგირების ძალების ქვედანაყოფები მონაწილეობდნენ ქარიშხალი კატრინასა და ავღანეთში მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციაში, თუმცა მათი ამოცანების სავარაუდო სპექტრი გაცილებით ფართოა და მოიცავს არა მხოლოდ სამშვიდობო ოპერაციების, არამედ მაღალი ინტენსიურობის საბრძოლო მოქმედებების ოპერაციების შესაძლო განხორციელებას. დანერგილია და მოქმედებს წევრი-ქვეყნების სამხედრო კონტინგენტების როტაციის სისტემა, ხორციელდება ერთობლივი მომზადების პროგრამები საერთო სტანდარტებით.

მაგრამ, თუ მივაქცევთ ყურადღებას რეაგირების ძალების შემადგენლობას, აღმოჩნდება, რომ ატლანტიკის გავლით მოკავშირეების სამხედრო თანამშრომლობაზე საუბარი შესაძლებელია პირობითად. რეაგირების ძალების ძირითადი ნაწილია – ერთი წლის ვადით როტაციის საფუძველზე გამოყოფილი ნატოს ევროპული ქვეყნების კონტინგენტები. ძალების ოპერატიული სარდლობა, ასევე ხორციელდება ნატოს ევროპული სამეთაურო სტრუქტურების მიერ ექსტრემალი როტაციის საფუძველზე. 2005–2007 წლების პერიოდში რეაგირების ძალებში ჩართული იყო დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთის ქვედანაყოფები და გერმანულ–ჰოლანდიური ერთობლივი კორპუსი. ამერიკული მონაწილეობა ძირითადად შემოიფარგლება ტექნიკური მხარდაჭერით: სტრატეგიული ტრანსპორტი და სათვალთვალო საშუალებები.

ევროპული სამხედროები არაერთხელ აკრიტიკებდნენ ვაშინგტონს, ამტკიცებდნენ რა რომ აშშ-ის მსგავსი მონაწილეობის პირობებში ევროპული და ამერიკული კონტინგენტების ოპერატიული თავსებადობის განხორციელება

პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. მთლიანობაში, ევროპელი მოკავშირეებიდან მხოლოდ დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს გააჩნდა საექსპედიციო სამხედრო ოპერაციების ჩატარების შედარებით დიდი გამოცდილება.

ერაყში სამხედრო მოქმედებების გამოცდილება აჩვენებს, რომ ბრიტანული და ამერიკული ჯარები გარკვეულწილად მოქმედებენ განსხვავებულ ოპერატიულ დონეებზე. ხოლო „ქსელურცენტრული საბრძოლო მოქმედებების“ თანამედროვე ამერიკული მოდელი ცოტათი აფერხებს თანამშრომლობას დანარჩენ მოკავშირეებთან, რომლებიც იშვიათი გამონაკლისის გარდა, მოქმედებენ სამხედრო ოპერაციების ტრადიციული ჩატარების სქემებით. ამ თვალსაზრისით, უფრო მიზანშეწონილია რეაგირების ძალების მომზადება სამხედრო მოქმედებების ამერიკულ მოდელებზე ორიენტირების გარეშე. პრაქტიკაში ასეც ხდება: ევროპელი მოკავშირეების კონტინგენტების მონაწილეობით მიმდინარე რეაგირების ძალების სწავლებები ტარდება ალიანსის სტანდარტების შესაბამისად, რომლებშიც არ არის გათვალისწინებული პენტაგონის ინოვაციები. ალიანსის უმაღლესი სამხედრო სარდლობის წევრები ამბობენ რომ, ნატოს არ შეუძლია ბრმად მიჰყვეს ამერიკის შეიარაღებულ ძალებში მიღებული ტრანსფორმაციის კონცეფციებს.

ამავდროულად, ვაშინგტონი დაინტერესებულია რეაგირების ძალების განვითარებით.

ე.წ. „ანტიტერორისტული ოპერაციები“ (counterterrorism operations) პირველ რიგში მოითხოვს ჯარისკაცების დიდ რიცხვსა და პარალელურად ოპერაციების სტაბილიზაციური ფაზის ჩატარების შესაძლებლობას. ექსპერტების აზრით, სწორედ ამაში მდგომარეობს ევროპელი მოკავშირეების კონტინგენტების შედარებითი უპირატესობა.

ნატოს ქვეყნების თავდაცვის მინისტრების 2007 წლის ოქტომბრის შეხვედრაზე ნორდვიკში მიღებულ იქნა 25 ათასიანი კონტინგენტის შემცირების გადაწყვეტილება, რომელიც გეგმის მიხედვით უნდა ყოფილიყო მუდმივ საბრძოლო მორიგეობაზე. ამის მაგივრად, სამხედრო უწყებების მეთაურებმა შეათანხმეს ე.წ. „ეტაპობრივი მიდგომა“, რომელიც ითვალისწინებს მუდმივ

საბრძოლო მორიგეობაზე ძალების შედარებით ნაკლები რაოდენობის დარჩენას, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში მოხდება მისი სრულად დაკომპლექტება წევრი-ქვეყნების კონტინგენტებით.

ოპერაციაში ამა თუ იმ ქვეყნის მონაწილეობის ნებისმიერი გადაწყვეტილება, თუნდაც პოლიტიკური ნებისა და პოტენციალის არსებობის პირობებშიც, მოითხოვს მისი ხელმძღვანელობისაგან, სულ მცირე, დამატებით დროს, ხოლო რამდენიმე წევრი-ქვეყნის კონტინგენტების მეშვეობით ძალების სრული დაკომპლექტების გადაწყვეტილება კი ნიშნავს კიდევ დამატებით კოორდინაციას.

თუმცა, აშშ-ისა და რეაგირების ძალების უფრო აქტიური მონაწილეობა და საერთაშორისო კრიზისებზე სწრაფი რეაგირების მზადყოფნაც კი ჯერ ვერ პასუხობს მთავარ კითხვას : სად და როგორ მოხდება ამ ძალების გამოყენება. სირთულეები წარმოიქმნება არა იმდენად პრაქტიკულ და სამხედრო დონეებზე (2006 წლის კაბო ვერდეს ზაფხულის სწავლებებმა ოფიციალური მონაცემებით მოახდინა ძალების მაღალი საბრძოლო მზადყოფნის დემონსტრირება მათი დღევანდელი სახით), რამდენადაც პოლიტიკურზე. გადაწყვეტილებას რეაგირების ძალების გაშლის შესახებ ლებულობს ჩრდილოატლანტიკური საბჭო . ამასთანავე, 1999 წლის ნატოს სტრატეგიული კონცეფციის თანახმად, კავშირი გაეროსთან სრულიად მისაღებია.

შეუძლებელია იმის არ გათვალისწინებაც, რომ რთული საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად ძალების გაშლის შესახებ ნებისმიერი პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღწევა ძალისხმევით, ხოლო, ვინაიდან ნატოში გადაწყვეტილებები მიიღება ერთხმად, ეს პროცესი შეიძლება დროში ოდნავ გაიწელოს. როცა ბრიუსელში ხდება სამხედრო თვალსაზრისით უფრო მარტივი ამოცანების განხილვა, ნატოს საბჭო არ მოქმედებს ავტომატურად. ასე მაგალითად, 2005 წელს პაკისტანში მიწისძვრისა და აშშ-ში ქარიშხალი კატრინას შედეგების ლიკვიდაციის დროს რეაგირების ძალების კონტინგენტების ჩართვის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ოდნავი სირთულით. ალიანსის ზოგი წევრი, კერძოდ საფრანგეთი, აკრიტიკებდა მსგავს ინიციატივებს, ამტკიცებდა

რა, რომ ამგვარად ორგანიზაცია ხარჯავს თავის, ისედაც შეზღუდულ რესურსებს მისთვის უჩვეულო ამოცანების შესასრულებლად.

მნიშვნელოვანია, ასევე, აღინიშნოს, რომ წარმოადგენს რა შემადგენლობით, უპირატესად, ევროპულ ძალებს, ნატოს რეაგირების ძალები, ბევრის მიერ მსოფლიოში აღიქმება, როგორც ამერიკული საგარეო პოლიტიკის ელემენტი. ეს უკიდურესად ართულებს მათ გამოყენებას მშვიდობისმყოფელების კონტექსტში. მოცემულ შემთხვევაში ევროპელების პოზიცია შეიძლება გართულდეს იმითაც, რომ რეაგირების ძალებში მონაწილეობის კოორდინირება აუცილებელია ევროპული სამხედრო სტრუქტურების მშენებლობის განვითარების გეგმებთან. ფაქტიურად, საუბარია ეროვნული სამხედრო ძალების ერთი და იმავე კონტინგენტებზე, რომლებიც გამოყენებულ იქნება ნატოს რეაგირების ძალებშიც და ევროკავშირის ძალებშიც. აღნიშნული პრინციპი პირველად გაჟღერდა 2003 წლის დასაწყისში ლე ტუკის ფრანგულ – ბრიტანულ ერთობლივ სამიტზე. რეაგირების ძალების საერთო შემადგენლობაში ყველაზე დიდი წვლილის შემტანი დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი ამტკიცებენ, რომ „სწრაფი რეაგირების პოტენციალის განვითარება მისცემს ევროკავშირს საკუთარი მიზნების რეალიზებისა და ნატოს რეაგირების ძალების განვითარებაში ევროპული შენატანის გაძლიერების, ასევე, ნატოსა და ევროკავშირს შორის ოპერატიული პოტენციალების თავსებადობის განხორციელების შესაძლებლობას“. ერთი წლის შემდეგ პარიზმა, ლონდონმა და ბერლინმა, ერთობლივ დოკუმენტში „ევროკავშირის ოპერატიულ–ტაქტიკური ჯგუფების კონცეფცია“ გამოთქვეს ვარაუდი, რომ „[...] ჯგუფები, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს ნატოს რეაგირების ძალების კონტინგენტის სახით [...]. ასევე, შესაძლოა, რომ ნატოში სამორიგოდ განწესებული ევროკავშირის წევრი–ქვეყნების კონტინგენტები გამოყენებულ იქნეს ევროკავშირის ოპერაციების კონტექსტში“⁷.

თავის მხრივ, ევროკავშირის ხელმძღვანელობა და კერძოდ, საგარეო და

⁷ The Battlegroup Concept. UK, France, Germany Food for thought paper. Brussels. 10.02.2004. EU Security and Defense. Core Documents. - Vol. V. - P. 15.

<https://www.iss.europa.eu/sites/default/files/EUISSFiles/cp097.pdf> (ბოლო ნახვა-10.06.2020)

უსაფრთხოების პოლიტიკაში უმაღლესი წარმომადგენელი ხ. სოლანა, ასევე, მოუწოდებდა მათ, კრიზისული რეაგირების პოტენციალის შექმნის მიზნით ორი ორგანიზაციის ძალისხმევის ჰარმონიზაციისაკენ. მისი აზრით, ალიანსის მაღალი რანგის წარმომადგენლები კიდევ უფრო შორს მიდიან, ხაზს უსვამენ რა ევროკავშირისა და ნატოს მისიებში ჩართული კონტინგენტების ერთი და იმავე შემადგენლობის ფაქტის პრინციპულ მნიშვნელობას.

ამგვარად, ნატოსა და ევროკავშირში ევროპული ქვეყნების პოტენციალის საფუძველზე მსგავსი ამოცანების შესრულების მიზნით იქმნება კრიზისული რეაგირების ძალების ორი განსხვავებული ფორმატი.

ნატოს რეაგირების ძალებსა და ევროკავშირის ჯგუფებს შორის პრინციპულ განსხვავებებს შეადგენს:

- რიცხოვნობა: 2007 წლის შემოდგომაზე რეაგირების ძალების ძირითადი კონტინგენტის შეკვეცის შემდეგაც კი ისინი აღემატება ევროკავშირის ძალებს, სადაც მუდმივ საბრძოლო მორიგეობას ერთდროულად ეწევა დაახლოებით სამი ათასი ადამიანი
- მართვის სისტემა და პოლიტიკური ხელმძღვანელობა
- ამოცანების წრე: ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლის ვალდებულებების დაცვით, რეაგირების ძალები, მათ შორის, უნდა ასრულებდნენ კოლექტიური თავდაცვის ამოცანებს. ევროკავშირის ჯგუფები არ არის განკუთვნილი მსგავსი სახის საომარი მოქმედებებისთვის

ზოგი ევროპელი ექსპერტი აყენებდა საკითხს რეაგირების ძალებისა და ევროკავშირის ჯგუფების გაყრის მიზანშეწონილობის შესახებ და სთავაზობდნენ მათ გაერთიანებას რესურსების ერთიან საკითხებში. მაგრამ, ამ საკითხის პოლიტიკური შემადგენლისა და ევროკავშირის ჯგუფების, როგორც

ევროკავშირის ავტონომიური პოლიტიკის საშუალების, განვითარების გათვალისწინებით ცხადი ხდება, რომ მსგავსი წინადადებები ჯერ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

სხვა წინადადება, რომელსაც ახმოვანებდნენ არა მხოლოდ ექსპერტები, არამედ ნატოსა და ევროკავშირის ზოგი წარმომადგენელი, მდგომარეობდა ორ ორგანიზაციას შორის ვალდებულებების შესაძლო განაწილების აღიარებაში. რეაგირების ძალები თავის თავზე აიღებდა სამხედრო თვალსაზრისით უფრო რთული ამოცანების შესრულებას მაშინ, როცა, ევროკავშირის ძალები მოახდენდნენ კონცენტრირებას ნაკლები რისკების მქონე ოპერაციებზე. მაგრამ, ამ შემთხვევაშიც არ შეიძლება პოლიტიკური შედეგების უგულვებელყოფა. შრომის მსგავსი განაწილება იქნებოდა მინიმუმ ევროკავშირის მხრიდან არა მხოლოდ საკუთარი პოტენციალის, არამედ პოლიტიკური მიზნების შეზღუდულობის ოფიციალური აღიარებისა. ამას გარდა, ორ ორგანიზაციას შორის ურთიერთქმედებებში საკვანძო მომენტი ხდება ინფორმაციის გაცვლა და წევრი-ქვეყნების კონტინგენტების ოპერატიული თავსებადობის მომზადება, ორგანიზება და განხორციელება. თუმცა, სწორედ აქ წარმოიქმნება ახალი, როგორც სამხედრო, ასევე, სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის სირთულეები.

პრაქტიკაში, ორი ორგანიზაციის ფარგლებში ერთი და იმავე კონტინგენტების გამოყენება, უპირველეს ყოვლისა ნიშნავს ევროპელი მოკავშირეების მიერ როტაციისა და მომზადების ისეთი სისტემის უზრუნველყოფას, რომლის დროსაც ადგილი არ ექნება დამთხვევებს და ერთი და იმავე კონტინგენტი არ მოხვდება ერთდროულად მორიგეობაზე ნატოსა და ევროკავშირში. ზოგი ბრიტანელი დიპლომატის სიტყვებით, ამის განხორციელება რთული როდია, მათი აზრით, ეს, წევრი-ქვეყნების, მეტწილად, თვითორგანიზების საკითხია. მათ ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, რომ მორიგეობა ნატოსა და ევროკავშირში ერთმანეთს არ დაემთხვეს.

დღეისათვის, აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში ნატოსა და ევროკავშირის ოპერაციებში ევროპული ქვეყნების კონტინგენტების ჩართულობის გათვალისწინებით, უმეტესობა მოკავშირის ძალებისა გამოიყენება პრაქტიკულად

სრულად. ექსპერტების შეფასებებით, ევროკავშირის ქვეყნებს დღეის მდგომარეობით დამატებით შეუძლიათ არაუმეტეს 10 ათასი სამხედრო მოწოდება. ამ თვალსაზრისით, ევროპისათვის აშშ-ის მონაწილეობა რეაგირების ძალებში, არ არის მხოლოდ პოლიტიკური მხარდაჭერისა და ოპერატიული თავსებადობის საკითხი.

ასევე, ავღანეთსა და ერაყში ოპერაციების სირთულეების გათვალისწინებით, უკანასკნელ დროს აშშ-ის დამოკიდებულება თვითონ ევროპული სამხედრო სტრუქტურების განვითარების მიმართ იცვლება გაცილებით პოზიტიური მხარისკენ. თუკი ადრე, ნატოში მუდმივი წარმომადგენლის თანამდებობის მქონე ნიკოლას ბერნსი აღნიშნავდა ალიანსის ერთობისათვის პირდაპირი საფრთხის არსებობას, ახლა, 2008 წლის თებერვალში პარიზში ვიზიტის დროს მისმა კოლეგამ, დღეისათვის, ასევე, ნატოში აშშ-ის უკვე ყოფილმა მუდმივმა წარმომადგენელმა ელჩმა ვიქტორია ნულანდმა განაცხადა, რომ არა მხოლოდ ევროპა, არამედ აშშ და ნატო განიცდიან უფრო ძლიერი, უფრო ეფექტური ევროპული სამხედრო პოტენციალის შექმნის აუცილებელობას.

წევრი-ქვეყნების კონტინგენტების დამატებითი პრობლემები ორგანიზებაში წარმოიქმნება მომზადების განსხვავებულ სისტემებთან და რეაგირების ძალებისა და ოპერატიულ-ტაქტიკური ჯგუფებისათვის სწავლებების სხვადასხვა პერიოდულობასთან დაკავშირებით. წევრი-ქვეყნები საკუთარ კონტინგენტებს აწვდიან ერთწლიანი ვადით და პირველი ნახევარი წლის განმავლობაში მიმდინარეობს მომზადება, შემდეგ კი საბრძოლო მორიგეობა. თუკი საბრძოლო მორიგეობაზე დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად აღმოჩნდა სხვადასხვა ქვეყნის კონტინგენტები, ისინი მომზადებას ერთად გადიან. ამასთან, პასუხისმგებლობა სწავლების მომზადების, ჩატარებისა და შეფასების საკითხებში ეკისრება ევროპაში ნატოს გაერთიანებული სამხედრო ძალების უმაღლეს მთავარსარდალს, ანუ სწავლების მთელი პროცესის გენერირება ხდება ერთი სამეთაურო ცენტრიდან.

2003 წლის დასასრულს ევროკავშირმა მიიღო სწავლების საკუთარი კონცეფცია უსაფრთხოებისა და თავდაცვის ევროპული პოლიტიკის ჩარჩოში,

რომელშიც წევრი-ქვეყნებსა და ევროკავშირის ინსტიტუტებს შორის მოქმედების კოორდინირების გაუმჯობესების მიზნით გაწერილია საკუთარი მიზნები, ამოცანები, ღონისძიებები და პროცედურები. 2004 წლის სექტემბერში მოხდა ამ კონცეფციის გადახედვა და დამატება, ნატოსთან თანამშრომლობა კი ნახსენებია განყოფილებაში „დაგეგმვა სტრატეგიულ დონეზე“ და შემდეგ კონტექსტში, რომ სწავლებები უსაფრთხოებისა და თავდაცვის ევროპული პოლიტიკის ფარგლებში უნდა მოიცავდეს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა ნატოსა და ევროკავშირის ურთიერთობები.

განყოფილებაში „დაგეგმვა ოპერატიულ დონეზე“ მითითებულია ის, რომ მოთხოვნები დამოკიდებულია კრიზისული რეაგირების კონკრეტულ ოპერაციაზე— ანუ, არავითარი ვალდებულება ნატოსთან ძალისხმევის კოორდინაციის მიმართ არ იგულისხმება, ზოგადი განცხადების გარდა იმის თაობაზე, რომ: „უსაფრთხოებისა და თავდაცვის ევროპული პოლიტიკის მომზადების პროგრამის კოორდინირება მოხდება ყველა შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად“.⁸

მაშინვე, ევროკავშირის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ევროპული თავდაცვითი კოლეჯის შექმნის შესახებ, სადაც მომზადებას გადიან უსაფრთხოებისა და თავდაცვის ევროპული პოლიტიკის სფეროში მომუშავე ევროკავშირის ქვეყნების დიპლომატები და სამხედროები, თუმცა კოლეჯის პროგრამების შეთანხმება არ ხდება ალიანსის ანალოგიურ პროგრამებთან და ეხება, უპირველეს ყოვლისა, წევრი-ქვეყნების ხელმძღვანელობას. ნატოსგან განსხვავებით, ოპერატიულ-ტაქტიკურ ჯგუფებში სამხედრო კონტინგენტების მომზადება მორიგეობისთვის მიმდინარეობს ეროვნული სახელმწიფოების დონეზე. ანუ, ფაქტიურად ნატოსა და ევროკავშირში პარალელურად არსებობს პირადი შემადგენლობის სწავლებისა და კადრების მომზადების ორი განსხვავებული სისტემა.

⁸ General Affairs and External Relations Council. Brussels. 13.09.2004. Conclusions. EU Training Concept in ESDP. Para 21.: EU Security and Beyond. Core Documents 2004. - Vol. V. - P. 221. <https://www.consilium.europa.eu/media/20825/78364.pdf> (ბოლო ნახვა-10.06.2020)

და ბოლოს, ნატოსა და ევროკავშირის შორის სამხედრო თანამშრომლობის სფეროში პოტენციური წინააღმდეგობების წყაროდ გადაქცევის კიდევ ერთი ფაქტორი არის ორ ორგანიზაციაში დამტკიცებული სტანდარტების სხვადასხვა სისტემები და მუდმივად მოქმედი ინსტრუქციების კრებული (Standard Operating Procedures). თუმცა, ალიანსის დიპლომატები და ევროჩინოვნიკები ერთხმად ამტკიცებენ სტანდარტის სისტემების მეტწილად დამთხვევას. ჯერ კიდევ ნიცის სამიტზე ევროკავშირის საბჭომ დაადგინა, რომ უსაფრთხოებისა და თავდაცვის ევროპული პოლიტიკის პრაქტიკაში გათვალისწინებული იქნება ნატოს სტანდარტები. ასე მაგალითად, ევროკავშირის სამხედრო შტაბის ფუნქციაში შედიოდა ნატოში დადგენილი მოქმედების წესებისა და ევროკავშირში მოქმედების წესების შეთავსების უზრუნველყოფა. ასევე, ნავარაუდები იყო, რომ ევროკავშირის პოტენციალის განვითარების შეფასების ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმს შეიძლება შეადგენდეს ალიანსის პოტენციალთან მისი შესაბამისობის უზრუნველყოფის აუცილებლობა.

მიუხედავად ამისა, როგორც ამბობს ერთი ბრიტანელი დიპლომატი, უსაფრთხოებისა და თავდაცვის ევროპული პოლიტიკის კომპლექსური ბუნებისა და მასში კრიზისული რეგულირების სამოქალაქო კომპონენტების ნაწილის ინტეგრირების გათვალისწინებით, ევროკავშირის სტანდარტები ნაწილობრივ განსხვავდება ნატოსაგან. ამასთან, 2003 წელს ევროკავშირი ოფიციალურ დონეზე აღიარებდა მომავალში, სტანდარტების თავსებადობის უზრუნველყოფის მიზნით ორი ორგანიზაციის ძალისხმევის კოორდინირების უფრო აქტიურ აუცილებლობას. ხოლო ნატოს წარმომადგენლებისგან მაშინვე ღიად ისმოდა ალიანსის სტანდარტების მხარდაჭერის საჭიროებები. ევროპაში ნატოს გაერთიანებული ძალების ყოფილი უმაღლესი მთავარსარდალი, გენერალი ჯ. ჯონე ამტკიცებდა, რომ ისინი ვალდებულნი იყვნენ მხარი დაეჭირათ ნატოში დადგენილი სტანდარტებისთვის, ტერმინოლოგიებისთვის და როტაციების სქემებისთვის.

ოფიციალური თვალსაზრისით, ამ სირთულეების გადასაჭრელად უნდა მუშაობდეს ნატოსა და ევროკავშირის სამუშაო ჯგუფების ექსპერტები და კერძოდ,

ნატო-ევროკავშირის პოტენციალის ჯგუფები, რომლის პირველი სხდომა შედგა 2003 წლის მაისში. ჯგუფი სპეციალურად იყო შექმნილი 2002 წლის ნატოს პრადის სამიტზე მიღებულ პოტენციალთან მიმართებაში ვალდებულებების პროგრამებისა და ევროპული სამხედრო პოტენციალის სამოქმედო გეგმის კოორდინირებისათვის. 2004 წლის ნოემბერში ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებების შესაბამისად, ნატომ და ევროკავშირმა დაიწყეს მუშაობა რეაგირების ძალებისა და ევროკავშირის ჯგუფების განვითარების შეთანხმებაზე, ისეთი ზომების ჩართვით, როგორცაა სტანდარტებისა და პროცედურების თავსებადობა.

ჯგუფის სხდომები, საშუალოდ, ტარდება წელიწადში ექვსჯერ, მაგრამ ზოგი დიპლომატის თქმით, მათ გააჩნიათ ფორმალური ხასიათი.

ამრიგად, უნდა ვთქვათ, რომ სამხედრო პოტენციალის ტრანსფორმაციის თითოეული პროექტი – ნატოს რეაგირების ძალები და ევროკავშირის ოპერატიულ-ტაქტიკური ჯგუფები – ფუნქციონალური და პოლიტიკური კუთხით თავისთავად შეიცავს მთელ რიგ სტრუქტურულ სირთულეებს. თუმცა, საბოლოო ჯამში მათი განვითარება ფერხდება ევროპელი მოკავშირეების შეზღუდული სამხედრო შესაძლებლობების გამო და იწვევს ორი ორგანიზაციის ფაქტიურ კონკურენციას მათი რესურსების გამო. ევროკავშირის შემთხვევაში სიტუაცია ნაწილობრივ მარტივდება იმით, რომ 2003–2004 წლებში მოხდა კრიზისული რეაგირების პოტენციალის განვითარების კონცეფციის ცვლილება და სწრაფი რეაგირების ძალების კორპუსის ნაცვლად პრიორიტეტი მიენიჭა უფრო ნაკლები ზომის, მაგრამ უფრო მობილური და ავტონომიური ფორმირებების, მათ შორის წევრი-ქვეყნების გაერთიანებების შექმნას მრავალეროვნულ საფუძველზე. ამრიგად, ნატოსა და ევროკავშირს შორის პოტენციურად შეიძლება დადგინდეს განაწილება კრიზისული რეაგირების ოპერაციების ჩატარებასთან მიმართებაში. მომზადების არსებული სისტემის პირობებში რეაგირების ძალები, შემცირებული სახითაც კი მზად არიან სამხედრო თვალსაზრისით გაცილებით რთული ოპერაციების ჩატარებისთვის. ევროკავშირის ოპერატიულ-ტაქტიკური ჯგუფებისათვის შესაძლო ოპერაციების რიცხვი უფრო შეზღუდულია.

მოქმედებებისთვის ჯგუფების რეალური სამზადისი უკვე გაცილებით მაღალ დონეზეა, როგორც ნატოს ძალების შემთხვევაში.

თუმცა, სწორედ პოლიტიკურ დონეზე წარმოიქმნება სირთულეები ნატოსა და ევროკავშირის სამხედრო პოტენციალის მშენებლობაში. მეტწილად, ორგანიზაციების ურთიერთობებში ინსტიტუციონალური კრიზისის გამო, მათი სამხედრო მექანიზმების განვითარების კოორდინაცია მუხრუჭდება. პრაქტიკაში ეს იწვევს წევრი-ქვეყნების ძალისხმევის დუბლირებას და ზრდის დატვირთვას როგორც ნატოში, ასევე ევროკავშირში.

თავი მესამე. ევროკავშირსა და ნატოს შორის პრაქტიკული თანამშრომლობის ზოგიერთი ასპექტი

ცივი ომის შემდეგ, ნატო და ევროკავშირი მრავალი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდნენ.

ევროკავშირმა ფიქრი თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკაზე დაიწყო.

კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა ორგანიზაციებს შორის არსებული ურთიერთობა და მათი ერთობლივი ოპერაციების გონივრულობის საკითხი. სწორედ მაშინ დაიწყო ძირეული ცვლილებები აღნიშნულ ორგანიზაციებში, რომელიც დღემდე გრძელდება.

3.1. ევროკავშირისა და ნატოს ურთიერთქმედება ჰუმანიტარული კრიზისის დასაძლევად დასავლეთ სუდანის პროვინცია დარფურში

დასავლეთ სუდანის პროვინცია დარფურში ჰუმანიტარული კრიზისი მიიჩნევა XXI საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთ ყველაზე სისხლისმღვრელ კონფლიქტად. სხვადასხვა მონაცემებით 2003 წელს, მისი დაწყების მომენტიდან დღემდე დაიღუპა 400 ათასი ადამიანი და 2006 წლის ზაფხულში, ხელისუფლებასა და ამბოხებულებს შორის ხელმოწერილი შეთანხმებების მიუხედავად, შეტაკებები გრძელდება და მსხვერპლის რიცხვი მუდმივად იზრდება. 2004 წლის ოქტომბრიდან უსაფრთხოების რეგიონალური ორგანიზაცია, აფრიკული კავშირი, გაეროს მანდატის თანახმად ატარებს დარფურში სამშვიდობო ოპერაციას, ხოლო 2005 წლის აპრილში მან ხელშეწყობის თხოვნით მიმართა ნატოსა და ევროკავშირს.

ნაშრომის მოცემული ნაწილი მიემდგნება ორ ორგანიზაციას შორის ურთიერთობების განვითარებას სიტუაციაში, როცა ერთდროულად ორივე მათგანს გაუკეთდა მასშტაბური კონფლიქტის დარეგულირების შეთავაზება. ნატოსა და ევროკავშირის ურთიერთქმედების მსგავსი მაგალითის შერჩევა აიხსნება, ჯერ-ერთი, ბერლინ-პლიუსი შეთანხმების მიღმა პირობებში ორგანიზაციებს შორის ურთიერთობების ჩამოყალიბებისთვის თვალყურის მიდევნების შესაძლებლობით: რა მექანიზმები ხდება ჩართული ინსტიტუციონალურ და ოპერატიულ დონეებზე, რა ფორმებს ღებულობს ნატო – ევროკავშირის თანამშრომლობა, რამდენად ოპერატიულად მოქმედებს თითოეული ორგანიზაცია და რამდენად შეთანხმებულია მათი ქმედებები.

მეორე, დარფურის კრიზისი შეიძლება განიხილებოდეს, როგორც სერთაშორისო კრიზისული რეაგირების სფეროში აქტიური მოთამაშეების სახით ორივე ორგანიზაციის მხრიდან შეთანხმებული მოქმედების მზადყოფნის ერთგვარი ტესტი და ასევე, ავლენს, დეკლარაციულად გაცხადებული ნატო – ევროკავშირის „სტრატეგიული პარტნიორობის“ რეალიზების ხასიათს.

სუდანი ტერიტორიის მიხედვით ყველაზე დიდი ქვეყანაა აფრიკულ

კონტინენტზე, 40 მილიონზე მეტი მოსახლეობით, რომელიც ერთდროულად წარმოადგენს ყველაზე არასტაბილურ ქვეყანას. 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ამ ქვეყნის სამხრეთში მიმდინარეობდა სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომი სახელისუფლებო არმიასა და ამბოხებულებს – სუდანის ეროვნულ განმათავისუფლებელ არმიას შორის, რომელმაც სხვადასხვა მონაცემებით იმსხვერპლა ორი მილიონი ადამიანის სიცოცხლე. ოთხ მილიონზე მეტი იძულებული გახდა დაეტოვებინა საკუთარი სახლი. 2005 წლის იანვარში, კენის დედაქალაქ ნაირობიში მთავრობამ და მეამბოხეებმა ხელი მოაწერეს ე.წ. ყოვლისმომცველ სამშვიდობო შეთანხმებას. 2005 წლის მარტის ბოლოს მიღებული გაეროს უსაფრთხოების საბჭოს № 1950 რეზოლუციის შესაბამისად, ქვეყნის სამხრეთში გაშლილ იქნა გაეროს მისია UNMIS, რომლის მუშაობა გრძელდება დღემდე.

თუმცა, სამოქალაქო ომი ქვეყნის სამხრეთში მალევე შეიცვალა ახალი, არანაკლებ სასტიკი კონფლიქტით ქვეყნის დასავლეთ ნაწილში. 2003 წლის დასაწყისში პროვინცია დარფურში დაიწყო ანტისამთავრობო ამბოხი ორი მეამბოხე დაჯგუფების – „მოძრაობა სამართლიანობისა და თანასწორობისა“ და „სუდანის განთავისუფლების არმიის“ მიერ. მათი ძირითადი მიზანი იყო ხარტუმში მთავრობის დამხობა, რომელსაც ბრალად ედებოდა ეთნიკური არაბების ინტერესების დაცვა მაშინ, როცა შავკანიანი მოსახლეობა ექვემდებარება დისკრიმინაციას და პრაქტიკულად ჩამორთმეული აქვს რაიმე სახის უფლებები. ამის პასუხად, ადგილობრივმა შეიარაღებულმა ფორმირებებმა, ე.წ. ჯანჯავიდებმა, მთავრობის ხელშეწყობით დაიწყეს სამხედრო მოქმედებები ამბოხებულთა წინააღმდეგ, რომლებსაც ახლავდა მასიური რეიდები და ძალადობის აქტები პროვინცია დარფურის სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ. კონფლიქტის განმავლობაში მსხვერპლის ზუსტი რაოდენობის დადგენა შეუძლებელია: მთავრობა მალავდა ნებისმიერ ინფორმაციას შეიარაღებული ფორმირებების მოქმედებების შესახებ. ოფიციალური შეფასებებით ამ დროის განმავლობაში დაიღუპა 9 ათასი ადამიანი მაშინ, როცა არასამთავრობო ორგანიზაციების მონაცემებით ეს რიცხვი შეადგენს 200–დან 400 ათასამდე

ადამიანს. დაახლოებით ორი მილიონი ადამიანი დარჩა უსახლკაროდ.

2003 წელს ერაყის კამპანიის დაწყებასთან დაკავშირებით სუდანის პრობლემები გადავიდა მეორე პლანზე. ოფიციალური რეაქცია აშშ-ისა და ევროკავშირის მხრიდან დარფურში კონფლიქტზე გამოჩნდა 2004 წლის შუაში.

2004 წლის ივლისში ამერიკის კონგრესმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც დასტურდებოდა, რომ სუდანის მთავრობა ახორციელებდა საკუთარი მოსახლეობის „გენოციდს“. 2004 წლის სექტემბერში მსგავსი რეზოლუცია მიიღო ევროპარლამენტმა. ორივე დოკუმენტი შეიცავდა მასიური მკვლელობების აღკვეთის მიზნით მოქმედებების გადაუდებლად დაწყების მოწოდებებს აშშ-სა და ევროკავშირის ქვეყნებისადმი.

იმავდროულად გაერო ახორციელებდა ჰუმანიტარულ დახმარებას ჰუმანიტარული პროგრამების საკოორდინაციო ბიუროს მეშვეობით და ცდილობდა შესაძლო დონორი ქვეყნებიდან დამატებითი რესურსების მოზიდვას. ზოგმა ქვეყანამ დაიწყო სახსრებისა და ჰუმანიტარული დახმარების გამოყოფა გაცილებით უფრო ადრე, 2003 წლის სექტემბრიდან. ასე მაგალითად, 2003–2005 წლების პერიოდში აშშ-მა გამოყო 630 მილიონ დოლარზე მეტი. დიდმა ბრიტანეთმა 2003–დან 2006 წლამდე გამოყო დაახლოებით 126 მილიონი ფუნტი სტერლინგი. მაგრამ ფინანსური მხარდაჭერა და ჰუმანიტარული დახმარების პროგრამა ვერ მოაგვარებდა კრიზისს. უკვე 2004 წლისათვის ცხადი გახდა, რომ შემდგომი ძალადობის შესაჩერებლად აუცილებელია ესა თუ ის პოლიტიკური გადაწყვეტილება და შესაძლოა, სამხედრო ჩარევა კონფლიქტში. სომალიში წარუმატებელი ოპერაციების გამოცდილების მქონე აშშ ამჯობინებდა მოენახა სამხედრო ჩარევის ალტერნატიული გადაწყვეტილებები.

ამერიკული ჯარები იმ მომენტისათვის უკვე ჩართული იყო ერაყის, ავღანეთისა და ბალკანეთის ოპერაციებში და ამ სიტუაციაში პენტაგონის დამატებითი დატვირთვა მიუღებელი იყო. ამას გარდა, ვაშინგტონის ნებისმიერი მოქმედებები სუდანთან მიმართებაში ღებულობდა დამატებით პოლიტიკურ რეზონანსს იმ მიზეზით, რომ ჯერ კიდევ 1993 წელს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა შეიყვანა ეს აფრიკული სახელმწიფო ე.წ. „ტერორიზმის სპონსორი

ქვეყნების“ სიაში. სუდანის ამ სიას მიაკუთვნეს ოსამა ბინ ლადენის მხარდაჭერისათვის, რომელიც მთავრობის მდუმარე თანხმობით 1992–1996 წლებში ხარტუმიდან მართავდა მოჯახედების ერთ-ერთ ბაზას და მჭიდროდ თანამშრომლობდა ორგანიზაცია ეგვიპტის ისლამურ ჯიხადთან, რომლის წევრებმა 1995 წელს მოაწყვეს თავდასხმის ორგანიზება ეგვიპტის პრეზიდენტ ხოსნი მუბარაკზე. სიტუაციაში, როცა ერაყის კამპანია გადაიზარდებოდა გაჭიანურებულ სამოქალაქო ომში, ხოლო ანტიამერიკანიზმი არაბულ ქვეყნებში არსებითად გაიზარდა, აშშ-ის საომარი მოქმედებები სუდანში, თუნდაც კრიზისული რეაგირების ოპერაციის ფარგლებში, კიდევ უფრო მეტად გაამლიერებდა ამ ტენდენციას.

ამიტომ, ზოგადად, ვაშინგტონის პოლიტიკა დარფურში ჰუმანიტარული კრიზისის მიმართ აიგო სომალიში ოპერაციის ჩაშლის შემდეგ პირველად გაჟღერებული შემდეგი ფორმულის მიხედვით – „აფრიკული გადაწყვეტილებები აფრიკული პრობლემებისათვის“ ეს ნიშნავდა იმას, რომ კონტინენტის ქვეყნები დამოუკიდებლად უნდა უზრუნველყოფდნენ საკუთარი მოქალაქეების სტაბილურობასა და უსაფრთხოებას, ხოლო პრაქტიკაში – სამხედრო ჩარევაზე უარის გაცხადებას.

მიუხედავად ამისა, აშშ-ში გაჩაღებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიური კამპანია, პრესაში მუდმივი პუბლიკაციები და საზოგადოებრივი მოღვაწეებისა და ცნობილი ადამიანების, კერძოდ, მსახიობისა და რეჟისორის ჯორჯ კლუნის, მუსიკოსი ბონოსა და სხვა ვარსკვლავების ბრწყინვალე სატელევიზიო გამოსვლები, – ყოველივე ამან მოახდინა ძლიერი ზეგავლენა რესპუბლიკურ ადმინისტრაციაზე. ამერიკული ხელმძღვანელობა აცნობიერებდა, რომ სრულიად უყურადღებოდ ამ საკითხის დატოვება შეუძლებელი იყო.

ამ სიტუაციაში ბუშის ადმინისტრაციამ დასავლეთ სუდანის კრიზისზე რეაგირების საკითხში ნატოს აქტიურ ჩარევას დაუჭირა მხარი. ალიანსის ფორმატი ითვალისწინებდა არა მხოლოდ მონაწილეების უფრო ფართო წრის შექმნას, არამედ ამერიკული საზოგადოებისათვის მოკავშირეებთან

ერთობლივად მოქმედების სურვილის დემონსტრირების შესაძლებლობის მიცემას და ამ გზით საკუთარი მოქმედებების საგარეო ლეგიტიმაციას.

ასე მაგალითად, უკვე 2004 წლის სექტემბერში მაღალი რანგის ამერიკელი დიპლომატები აცხადებდნენ სუდანის კრიზისის დარეგულირებაში ალიანსის შესაძლო მონაწილეობის შესახებ. დაახლოებით ამავე დროს ვაშინგტონში განიხილებოდა აფრიკული მისიის მხარდასაჭერად გაეროს დამატებითი მისიის გაგზავნის შესაძლებლობა. 2005 წლის თებერვალში აშშ გამოვიდა ახალი მისიის შექმნის ოფიციალური ინიციატივით, რომლის შემადგენლობაში შევიდოდა 10 ათასი სამშვიდობო და 715–ზე მეტი პოლიციელი.

ევროკავშირმა, თავის მხრივ, ასევე, გაამახვილა ყურადღება ფინანსური დახმარებისა და დევნილების ხელშეწყობის პროგრამებზე. თუმცა, აფრიკული კავშირის მისიის მხარდასაჭერი, ორგანიზაციისა და დონორი ქვეყნების პირველი საერთაშორისო კონფერენციის გამართვა შესაძლებელი გახდა მხოლოდ 2005 წლის მაისში, ადის–აბეზაში. მორიგი კონფერენცია ჩატარდა ერთი წლის შემდეგ, 2006 წლის ივნისში, ბრიუსელში. ამ დროისათვის ევროკავშირის ქვეყნებმა აფრიკული კავშირის მისიისათვის გამოყვეს დაახლოებით 570 მილიონი ევრო. ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერის პროექტებთან ერთად ევროკავშირის ქვეყნები განიხილავდნენ კონფლიქტში სამხედრო ჩარევის შესაძლებლობას, თუმცა დასაწყისში საუბარი იყო უსაფრთხოებისა და თავდაცვის ევროპული პოლიტიკის ფარგლებში არა კრიზისული რეაგირების ოპერაციის შესახებ, არამედ წევრი–ქვეყნების ეროვნული სამხედრო კონტინგენტების გაგზავნაზე.

თუმცა, ასეთ შესაძლებლობას განიხილავდნენ ევროკავშირის მხოლოდ ის სახელმწიფოები, რომლებსაც სუდანთან აერთიანებდა საერთო ისტორიული წარსული, პირველ რიგში დიდი ბრიტანეთი. მისი ძალისხმევით წყალობით 1916 წელს დარფური შემოერთებულ იქნა დიდი ბრიტანეთის მმართველობის ქვეშ მყოფი ეგვიპტის შემადგენლობაში შემავალი სუდანისთვის. მაგრამ, 1956 წელს სუდანის მიერ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, ხელისუფლება ხარტუმში აღმოჩნდა ეთნიკური არაბების კონტროლის ქვეშ და დასავლეთი პროვინცია, რომლის ძირითად მოსახლეობას ადგილობრივი აფრიკული ტომები შეადგენენ,

პრაქტიკულად უმაღლვე გადაიქცა კონფლიქტის ზონად. ლონდონის კისერზე არსებული ისტორიული პასუხისმგებლობის გარკვეული წილი კარნახობდა ბრიტანელ პოლიტიკოსებს დღევანდელ ჰუმანიტარულ კრიზისზე უფრო აქტიური რეაგირების აუცილებლობას. დარფურში 5 ათასი ჯარისკაცის გაგზავნის იდეა პირველად გაჟღერდა 2004 წლის ზაფხულში ერთ-ერთი ბრიტანელი უმაღლესი რანგის სამხედროს მიერ. თუმცა სუდანის ხელისუფლების მხრიდან წამოსულმა მყისიერმა რეაქციამ, რომელიც დაიმუქრა საყოველთაო მობილიზაციით და ამავდროულად „ჯვაროსნების არმიის“ წინააღმდეგ ჯიჰადის პროპაგანდის წამომწყებმა ისლამური დაჯგუფებების აქტიურობამ ლონდონი აიძულა დროებით უარი ეთქვა თავის გეგმაზე.

3.2. ევროკავშირისა და ნატოს ანტიკრიზისული მოქმედებები

2005 წლის აპრილში აფრიკულმა კავშირმა ოფიციალური განცხადებით მიმართა ევროკავშირს დახმარების აღმოჩენის შესახებ. ამან გამოიწვია კიდევ უფრო მძაფრი დებატები ევროკავშირში სუდანში ჰუმანიტარულ კატასტროფაზე რეაგირების სახის თაობაზე.

2005 წლის 25 აპრილს ევროკავშირის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების ლუქსემბურგის შეხვედრაზე ერთ-ერთი მათგანი ვარაუდობდა, რომ სუდანში გაეროსა და აღნიშნული ქვეყნის მთავრობის ნებართვით შეიძლებოდა განთავსებულიყო ფრანგული და გერმანული სამხედრო კონტინგენტები. საბოლოო ჯამში, გაიმარჯვა მოსაზრებამ იმის შესახებ, რომ ევროკავშირი შემოიფარგლება აფრიკული კავშირის მიმართ ფინანსური და ტექნიკური დახმარებით, პირველ რიგში, სამხედროებისა და ტექნიკის გადასასროლი ავიატრანსპორტით, კომუნიკაციის სისტემებითა და ოფიცრებისა და პოლიციელების მომზადებით.

თავისი ზომებით მთელი საფრანგეთის ზომის ტერიტორიასა და ზღვისგან რამდენიმე ათეული ათასი კილომეტრის დამორებაზე მყოფ რთულად მისასვლელ რეგიონში სამხედრო ოპერაციის ორგანიზება და ჩატარება ტექნიკურად უკიდურესად რთული ამოცანა იქნებოდა. ამას გარდა, იმის გათვალისწინებით, რომ ადგილობრივი მოსახლეობის უმეტესობა ისლამის მიმდევარია და შეიარაღებულიც, სამხედროების ყოფნა ევროპის ქვეყნებიდან დეზულობდა მკაფიოდ გამოხატულ პოლიტიკურ ელფერს: „თეთრ კოლონიზატორებსა“ და „ჯვაროსნებს“ შეეძლოთ სიტუაციის კიდევ უფრო დესტაბილიზება. წარმოქმნილი სირთულეების გამო აფრიკული კავშირისათვის დახმარების საბოლოო გეგმა შეთანხმებულ იქნა მხოლოდ 2005 წლის ივნისში.

სწორედ ევროკავშირში დებატების მომენტში იმის თაობაზე, თუ რა სახით მომხდარიყო დარფურის კრიზისის დარეგულირებაში მონაწილეობა, აფრიკულმა კავშირმა პარალელურად მიმართა ნატოს. აფრიკული კავშირის ოფიციალური განაცხადი პირველად განიხილეს დისკუსიაში ალიანსის საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე, ვილნიუსის 2005 წლის 21 აპრილის არაფორმალურ შეხვედრაზე. მაშინვე ცხადი გახდა, რომ დებატები რთული იქნებოდა, უპირველეს ყოვლისა საფრანგეთის ხისტი პოზიციის გამო, რომელიც ჩადთან მოსაზღვრე სუდანს განიხილავდა განსაკუთრებული ინტერესების ზონად. პარიზმა მკაფიოდ მიანიშნა, რომ დარფურის კრიზისის დარეგულირებაში მთავარ როლს ანიჭებს ევროკავშირს და ვერ ხედავს ჰუმანიტარული კრიზისის დარეგულირებაში, მისი თვალთახედვით სამხედრო კავშირის როლის მტვირთავი ორგანიზაცია – ნატოს ჩარევის აუცილებლობას. ლიეტუვას დედაქალაქში გამართული შეხვედრის შემდეგ მოწყობილ პრესკონფერენციაზე საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, მიშელ ბარნიემ წარმოთქვა, მოგვიანებით ქრესტომათიულად ქცეული ფრაზა, რომ ნატო არ ესწრაფვის მსოფლიო ჟანდარმის როლის შესრულებას. ფრანგული დიპლომატიის მეთაურის სიტყვებით დარფურში ძირითად მოთამაშედ უნდა ქცეულიყო ევროკავშირი.

თვენახევრის შემდეგ 2005 წლის ივნისში ალიანსის ქვეყნების თავდაცვის

მინისტრების შეხვედრაზე შეთანხმებულ იქნა მხარდაჭერის ძირითადი ფორმები, რომელსაც ნატო აპირებდა აღმოეჩინა აფრიკული კავშირისათვის. ევროკავშირის მსგავსად, ალიანსი განიზრახავდა ტექნიკური დახმარების განხორციელებას ნატოს წევრი-ქვეყნების მიერ ავიატრანსპორტის მიწოდების კოორდინირებით, მეთაურობის, კონტროლის, კომუნიკაციისა და სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვების საკითხებში AMISOM-ის ოფიცრების მომზადების უზრუნველყოფით. ნატოს წევრი-ქვეყნები რეგიონში საკუთარი სამხედრო კონტინგენტების განთავსებასა და ცალკე მისიის ჩატარებას არ გეგმავდა.

ნატო – ევროკავშირის დიალოგში, დისკუსიები მიმდინარეობდა ორი ორგანიზაციის სამხედრო კომიტეტების დონეზე: სწორედ სამხედროებს შეეძლოთ შეეთავაზებინათ თანამშრომლობისა და ძალისხმევის კოორდინაციის კონკრეტული ფორმები, რომელთა განხორციელებაც შემდგომში მათ მოუწევდათ. თუმცა, პოლიტიკური ხასიათის მოსაზრებებიდან და თითოეული ორგანიზაციის მხრიდან დამოუკიდებლად მოქმედების მისწრაფებიდან გამომდინარე წინადადებები ნატოსა და ევროკავშირის ძალისხმევის გაერთიანების შესახებ უარყოფილ იქნა.

დახმარების რეალიზება ხორციელდებოდა ნატოსა და ევროკავშირის თითოეული წევრი-ქვეყნების ინდივიდუალური არჩევანის საფუძველზე და ყოველი ქვეყანა დამოუკიდებლად წყვეტდა რა სახითა და რომელი ორგანიზაციის ფარგლებში განეხორციელებინა აფრიკული კავშირისთვის მხარდაჭერის პროგრამა. რიგი ქვეყნებისა, კერძოდ, დიდი ბრიტანეთი, ნიდერლანდები და იტალია აღმოჩნდნენ უკიდურესად რთულ მდგომარეობაში მაშინ, როცა მათ ხელმძღვანელობას მოუწია, არსობრივად, არჩევანის გაკეთება ნატოსა და ევროკავშირს შორის. ამ სამმა ქვეყანამ საბოლოოდ შეაჩერა საკუთარი არჩევანი ჩრდილოატლანტიკურ ალიანსზე მაშინ, როცა საფრანგეთმა, გერმანიამ და საბერძნეთმა ამჯობინა მოქმედება ევროკავშირის სახელით, რაც გახდა შიდა უთანხმოებების დამატებითი საბაზი ევროკავშირში და საბოლოო ჯამში იწვევდა უსაფრთხოებისა და თავდაცვის ევროპული პოლიტიკის დასუსტებას.

წევრი-ქვეყნების მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ AMISOM-ის

მხარდასაჭერად საკუთარ მოქმედებებთან მიმართებაში, სიტუაცია შედარებით გაართულდა. თითოეული ორგანიზაცია პრეტენზიას აცხადებდა ლიდერობაზე ავიაგადაზიდვების განხორციელებაში მაშინ, როცა საფრანგეთი გამოდიოდა მონსეში ალიანსის სამხედრო შტაბ-ბინის რესურსების გამოყენების წინააღმდეგ. ალიანსის ფარგლებში ავიაგადაზიდვების კოორდინაცია დაიწყო 2005 წლის 1 ივლისს, რისი წყალობითაც აფრიკულმა კავშირმა მიიღო დახმარება ნიგერიიდან, რუანდიდან, გამბიიდან და სენეგალიდან 4800 მშვიდობისმყოფელი ჯარისკაცისა და 50 პოლიციელის სახით. 2005 წლის აგვისტოში აფრიკული კავშირის პირველმა 100-მა ოფიცერმა დაასრულა ნატოს ოფიცრების მიერ ორგანიზებული და ჩატარებული მომზადების პროგრამა.

ნატოსა და ევროკავშირის მოქმედების გეგმები 2005 წელს დარფურში აფრიკული კავშირისთვის დახმარების გაწევის კუთხით :

ნატო	ევროკავშირი
<ul style="list-style-type: none"> - ავიაგადაზიდვების კოორდინაცია - სამხედრო დამკვირვებლები - ოფიცრების მომზადება (საზენიტო კომპლექსი და დაზვერვა) - ტექნიკური მხარდაჭერა 	<ul style="list-style-type: none"> - ავიაგადაზიდვების კოორდინაცია - სამხედრო დამკვირვებლები - ოფიცრების მომზადება - პოლიციელების მომზადება - ტექნიკური მხარდაჭერა - ფინანსური და ჰუმანიტარული დახმარება

ზემოაღნიშნული მონაცემებიდან პირველ რიგში, გამომდინარეობს, რომ კრიზისის მასშტაბებთან შედარებით ორივე ორგანიზაციამ შემოხაზა მოქმედებების შეზღუდული წრე . მოცემული ვითარება აიხსნება, დარფურში ტექნიკური თვალსაზრისით მსგავსი ოპერაციების ჩატარების სირთულით.

მეორე, ამ მაგალითზე ჩანს თითოეული ორგანიზაციის კრიზისული რეაგირების ინსტრუმენტების სპეციფიკა: ფუნქციებისა და ამოცანების გადანაწილებების დროს ხდება შრომის პრაქტიკული განაწილების პოტენციალის ჩადება. ნატოს ჰიპოტეტურად შეუძლია უპირატესად სამხედრო და ტექნიკური ხასიათის ამოცანების შესრულების თავის თავზე აღება მაშინ, როცა ევროკავშირი მიიღტვის კომპლექსური მიდგომის რეალიზებისაკენ და სთავაზობს სამხედრო-სამოქალაქო რეაგირების უფრო ფართო სპექტრს.

პოლიტიკური თვალსაზრისით, ძალისხმევის განაწილების მოცემული სქემა გახდა, პირობითად ევროცენტრისტებს მიკუთვნებულ და ევროატლანტიკისტების რიცხვში შემავალ სახელმწიფოთა შორის კონფლიქტის შედეგი. ევროკავშირის დიდი როლის შესრულების მომხრე სახელმწიფოები აფერხებდნენ ნატოს მუშაობას, ხოლო ალიანსის ჩართვის მომხრე ევროკავშირის სახელმწიფოები, სულ მცირე, არ იყვნენ ევროკავშირის ფარგლებში აქტიური

მონაწილეობის მომხრეები.

პოლიტიკური ხასიათის სირთულეები, ისევე, როგორც პრაქტიკული ხასიათის სირთულეები მოგვიანებით ოფიციალურად იქნა აღიარებული ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ. 2006 წლის თებერვალში მიუნხენის უშიშროების კონფერენციაზე გამოსვლის დროს იაკ დე ჰოოპ სხეფერმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ალიანსსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობების გაუმჯობესების აუცილებლობაზე. მისი სიტყვებით ორგანიზაციები მუშაობენ ერთმანეთის გვერდის ავლით, ახდენენ ძალისხმევას დუბლირებას და ფუჭად ხარჯავენ გადასახადების გადამხდელების ფულს. დარფურის კრიზისის დარეგულირებაში მონაწილე სამხედროები და დიპლომატები აღიარებდნენ, რომ ნატოსა და ევროკავშირს შორის ორგანიზაციის მოქმედებები არაეფექტური აღმოჩნდა, ხოლო სიტუაცია თვით დარფურში აგრძელებდა გაუარესებას. 2006 წლის დასაწყისში ძალადობის შემთხვევები გახშირდა იმ დონემდე, რომ რეგიონებში მომუშავე ჰუმანიტარული ორგანიზაციები იძულებულნი გახდნენ მოეხდინათ პერსონალის ევაკუაცია.

მიუხედავად ამისა, 2006 წლის დასაწყისში პრაქტიკული თანამშრომლობის დონეზე გამოიკვეთა გარკვეული ძვრები ნატოსა და ევროკავშირის ურთიერთქმედებებში. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხებოდა თვით დარფურში სამხედროების დიალოგსა და მოქმედებების კოორდინაციას. 2005 წლის შემოდგომიდან მეზობელი ეთიოპიის დედაქალაქ ადის-აბებაში, მუშაობდა ნატოსა და ევროკავშირის ერთობლივი შტაბი, სადაც სამხედროებმა შეძლეს მჭიდრო თანამშრომლობა. ნაწილობრივ ამის წყალობით ნატოსა და ევროკავშირშიც გააცნობიერეს, თუ რა ნაბიჯების გადადგმაა საჭირო კრიზისის დარეგულირებისათვის შემდგომში თითოეული ორგანიზაციის მიერ, როგორც დამოუკიდებლად, ასევე, ურთიერთქმედებით. ევროკავშირშიც და ნატოშიც მიღწეულ იქნა თანხმობა იმაში, რომ საჭიროა, ჯერ-ერთი, AMISOM მისიის გაფართოების მიღწევის მცდელობები :

ახალი მისია, ძირითადად უნდა შედგებოდეს აფრიკელი მშვიდობისმყოფელებისაგან, მაგრამ უფრო ფართო უფლებამოსილებებითა და

საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერით.

მეორე, უკვე დაწყებული სამუშაოს აქტიური მხარდაჭერა აფრიკული კავშირის პოტენციალის გაძლიერების მიზნით.

მესამე, ყველაფრის კეთება სუდანისა და მეზობელი ჩადის საზღვარზე შეტაკებების აღმოსაფხვრელად, საითაც მიემართა ლტოლვილების ძირითადი მასა დარფურიდან.

და ბოლოს, პოლიტიკური ზეწოლის მოხდენა კონფლიქტის მონაწილეებზე, მეამბოხე დაჯგუფებებისა და ხარტუმში მთავრობის ჩათვლით.

2006 წლის 5 მაისს სუდანის მთავრობამ და სუდანის განთავისუფლების არმიამ ხელი მოაწერეს ე.წ. დარფურის სამშვიდობო ხელშეკრულებას, რომელსაც მალევე შეუერთდა კიდევ ერთი დაჯგუფება – მოძრაობა სამართლიანობისა და თანასწორობისათვის. ნავარაუდევია იყო, რომ ამას მოყვებოდა, როგორც ამბოხებულთა დაჯგუფების, ასევე, ჯანჯავიდების შეიარაღებული ფორმირებების განიარაღება. ეს უკანასკნელი უნდა ყოფილიყო დაშლილი, ხოლო ამბოხებულთა ძალების ნაწილი შესულიყო ახლად შექმნილ ადგილობრივ ხელისუფლებასა და დარფურის უსაფრთხოების ძალებში. თუმცა, ვინაიდან ხელშეკრულება ხელმოწერილ იქნა ამბოხებულთა ოთხი ძირითადი ჯგუფიდან მხოლოდ ორი მხარის მიერ, სიტუაციის ნორმალიზება მიუღწეველი აღმოჩნდა.

აფრიკული კავშირი მცდელობას არ აკლებდა უფრო ფართო შეთანხმების მისაღწევად ამბოხებულთა ყველა მონაწილე მხარის ჩართვით და რეგიონში გაფართოებული მისიის გასაგზავნად გაეროს მხარდაჭერით. მაგრამ სუდანის მთავრობა ღიად ეწინააღმდეგებოდა ამას, ახდენდა რა გაეროს გაფართოებული წარდგენის ნებისმიერი მინიშნების ბლოკირებას და არ აძლევდა ორგანიზაციის ოფიციალურ წარმომადგენლებს კონფლიქტის ზონაში შემოსვლის უფლებასაც კი. ხელისუფლება ხარტუმში უფრთხოდა ბრალდებებს გენოციდსა და კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულში, რაც გამოიწვევდა გაეროს საერთაშორისო ტრიბუნალის მხრიდან შესაძლო პასუხისგებაში მიცემას.

მიუხედავად ამისა, აშშ-სა და ევროკავშირის მხრიდან ზეწოლით გამყარებულმა აფრიკული კავშირის დიპლომატების ძალისხმევამ გამოიწვია

ხარტუმის თანხმობა დარფურში გაეროს–UNAMID–ის მხარდაჭერით აფრიკული კავშირის გაფართოებული მისიის განლაგებაზე. ფორმალურად მისი მუშაობა დაიწყო 2008 წლის თებერვლიდან, მას შემდეგ, რაც მთავრობა ხარტუმში დათანხმდა მშვიდობისმყოფელების მუშაობაში არსებული რიგი შეზღუდვების მოხსნას, თუმცა თავის მუშაობაში მისიის თანამშრომლები აწყდებიან სერიოზულ შეფერხებებს ადგილებზე.

დღეისათვის ეს არის მსოფლიოში გაეროს ერთ-ერთი უმსხვილესი ოპერაცია, რომლის შემადგენლობაში შედის დაახლოებით 20 ათასი სამხედრო და 6 ათასი პოლიციელი, უმეტესწილად აფრიკულ სახელმწიფოთა წარმომადგენლები. დასავლეთის ქვეყნები არიან ოპერაციის მთავარი ფინანსური დონორები, რომლის ბიუჯეტი 2007 წლის ივლისიდან 2008 წლის მაისის ჩათვლით შეადგენდა 1,2 მილიარდ დოლარს. თუმცა 2006 წლიდან კონფლიქტის მსხვერპლი გახდა კიდევ 300 ათასი ადამიანი. ამასთან, მხოლოდ 2008 წლის დასაწყისიდან ლტოლვილების რიცხვი დარფურიდან გაიზარდა დამატებით 100 ათასი ადამიანით.

თავის მხრივ, ნატომ და ევროკავშირმა 2007 წლის დასასრულს დაამთავრეს დახმარების აღმოჩენა AMISOM–თვის მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა AMISOM–ის მისიის UNAMID–ით ჩანაცვლების გადაწყვეტილება. ალიანსის 2007 წლის 6–7 დეკემბრის თავდაცვის მინისტრების შეხვედრაზე მიღებულ იქნა ახალი მისიის მხრიდან ნებისმიერი სახის დახმარების განაცხადის განხილვის გადაწყვეტილება, ასეთის არსებობის შემთხვევაში. იმავდროულად, ევროკავშირმა, ასევე გამოთქვა გაეროს ახალი მისიის მხარდაჭერის მზადყოფნა და 2008 წლის მარტში პარალელურად დაიწყო EUFOR Tchad/RCA სამხედრო ოპერაციის ჩატარება მეზობელ ჩადსა და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკებში, საითკენაც გაემართა დევნილების ძირითადი ნაკადი სუდანიდან.

ამგვარად, დარფურის კრიზისის დარეგულირებაში ევროპული კავშირისა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მონაწილეობამ მოახდინა ნატოსა და ევროკავშირის მიერ გაცხადებულ „სტრატეგიული პარტნიორობის“ რეალიზაციაში არსებითი პრაქტიკული შეზღუდვების დემონსტრირება. ნატოსა

და ევროკავშირის თანამშრომლობის შემზღვეველ ძირითად ფაქტორად გადაიქცა წევრი-ქვეყნების პოლიტიკის განსხვავებული პრიორიტეტები და თითოეული ორგანიზაციის ამოცანისა და როლის შესახებ სხვადასხვა ხედვა.

შედეგად, კრიზისული რეაგირების ამოცანების სახით ევროპული კავშირისა და ასევე, ნატოს მიერ დეკლარირებული ოპერატიულობისა და სწრაფი რეაგირების ნაცვლად ორივე ორგანიზაციის წევრი-ქვეყნები ეწეოდნენ პაექრობას, ხოლო გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი ჭიანჭურდებოდა. მონაწილეობის შერჩეული ფორმები შეიძლება ითქვას, არ შეესაბამებოდა დარფურში თვით კუმანიტარული კრიზისის მასშტაბებს ზოგადად და არც, კერძოდ, აფრიკული კავშირის მიერ ჩატარებული ოპერაციების საჭიროებებს.

დასკვნა

ცივი ომის დამთავრების დროიდან ევროპულმა კავშირმა და ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა განვლეს გრძელი გზა, როგორც საერთაშორისო უსაფრთხოების სფეროში ახალი რეალობის მიმართ საკუთარი ადაპტაციისა, ასევე, ურთიერთობების ჩამოყალიბების კუთხით. ორივე ეს პროცესი პრაქტიკაში აღმოჩნდა ურთიერთდაკავშირებული და ერთიმეორის განმაპირობებელი. ასე მაგალითად, ევროკავშირი აგებდა უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკუთარ პოლიტიკას მეტწილად ალიანსისაგან, როგორც ინსტიტუციონალურ სტრუქტურებთან დაკავშირებული საკითხების, ასევე, სამხედრო პოტენციალის ფორმირების საკითხების გადმოღებით. თავის მხრივ ნატო, კრიზისული რეაგირების პოტენციალის განვითარების პროცესში, მრავალი თვალსაზრისით ახდენდა ორიენტაციას ევროპელი მოკავშირეების როლის აქტივიზებაზე, რამაც საბოლოოდ გამოიწვია ევროკავშირთან ურთიერთობების ფორმალიზება.

ამის მიუხედავად, უკვე არსებულ რეალობაში, საერთო, ერთობლივი წინააღმდეგობებიდან გამომდინარე, ორგანიზაციებმა შეძლეს საერთო ინტერესების გამონახვა და ბრძოლა ერთობლივი ძალებით.

ნატო მკაფიოდ ჩამოყალიბდა როგორც, სამხედრო - პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც ორიენტირებულია უსაფრთხოებაზე, ხოლო, ევროკავშირი, როგორც ეკონომიკურ-პოლიტიკური ორგანიზაცია, ორიენტირებული ეკონომიკურ საკითხებზე.

აუცილებლად ხაზი უნდა გავუსვათ დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის საკითხს, რომლის შემდეგაც საფრანგეთი გაერთიანების მთავარი სამხედრო ძალა გახდა. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება საუბარი ევროპის უფრო ღრმა სამხედრო ინტეგრაციაზე.

შეიძლება ითქვას, ევროპა გზაჯვარედინზე აღმოჩნდა. ქვეყნები ბრიუსელის კიდევ მეტ ჩართულობას ითხოვენ.

ევროკავშირი, სამხედრო თვალსაზრისით გაძლიერების კუთხით გეგმავს

ცენტრალური სარდლობის შექმნას. ეს კი ევროპული უსაფრთხოების გაძლიერებისთვის კიდევ უფრო წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება.

როგორც, ევროკავშირის წარმომადგენელი საგარეო საქმეთა საკითხებში, ფედერიკა მოგერინი, აცხადებს, ისინი არ აპირებენ ნატოსთან შეჯიბრს ან მის ჩანაცვლებას.

ხოლო თუ გერმანიის შეარაღებული ძალების უნივერსიტეტიდან, მაიკლ ვოლფსონს დავუჯერებთ, ევროკავშირი ცდილობს ნატოს ჩანაცვლებას, თუმცა მისი თავდაცვითი ნაბიჯები ვერ მოახერხებს ამას.

ზემოაღნიშნული ფაქტებიდან გამომდინარე, დასტურდება ჰიპოთეზა, რომ ორგანიზაციებს შორის დღეს არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, არც ნატო და არც ევროკავშირი სრულად არ იყენებს უწყებათაშორისი თანამშრომლობის პოტენციალს, რაც არ უწყობს ხელს ერთიანი ევროპული უსაფრთხოების სისტემის გაძლიერებას. პირიქით, ის ემსახურება მის ფრაგმენტაციას და ხდება წინააღმდეგობათა წარმოქმნის დამატებითი ფაქტორი.

თუმცა საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, რაც წევრი ქვეყნების უსაფრთხოების გარანტს ეხება, უნდა ვივარაუდოთ ჩრდილოატლანტიკური ალიანსისა და ევროკავშირის ურთიერთობების გაუმჯობესების ტენდენცია.

როგორია ნატოსა და ევროკავშირის თავსებადობა ევროპული უსაფრთხოების სისტემაში?

21-ე საუკუნეში ევროპული უსაფრთხოების სისტემის საკითხი კიდევ უფრო მეტად კომპლექსური და მრავალგანშტოებიანი გახადა. თუ ადრე საუბარი იყო ნატოსა და ევროკავშირის ურთიერთდამოკიდებულების ასიმეტრიულობის შესახებ, დღეს, ორივე ორგანიზაცია ესწრაფვის ძალისხმევის კოორდინირებას კონკურენციის თავიდან აცილების მიზნით. პოლიტიკურ დონეზე ტარდება წევრი-ქვეყნებისა და თვით უსაფრთხოების ინსტიტუტების ხელმძღვანელების არაფორმალური შეხვედრები. ექსპერტულ დონეზე ადგილი აქვს სტანდარტების,

ასევე, როტაციების ციკლისა და წევრი-ქვეყნების დონეზე მომზადების პროგრამების ერთმანეთთან შედარების მცდელობებს.

2016 წლის 28 ივნისს, ევროკავშირმა მიიღო საგარეო პოლიტიკის დოკუმენტი „ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გლობალური სტრატეგია“, რაც ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი იყო მის მიერ კიდევ ერთი ნაბიჯის გადადგმისა ევროპულ უსაფრთხოებაში ჩართულობის კუთხით.

წინამდებარე დოკუმენტი საერთაშორისო პოლიტიკაში ევროკავშირის მოქმედების სტრატეგიულ მიმართულებებს განსაზღვრავს. ამასთანავე, მასში ყურადღება გამახვილებულია ევროკავშირის ინტერესებზე, მიზნებსა და ამოცანებზე.

ამავდროულად, 2010 წელს ნატომ მოამზადა სტრატეგიული კონცეფცია, სადაც ყურადღება გამახვილდა ნატოს ქვეყნებისა და ხალხების დაცვაზე, ევროკავშირისა და ნატოს სტრუქტურების ჰარმონიზებაზე, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

გამომდინარე მათი ერთობლივი ძალისხმევით, რომელიც უკვე ასახულია ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ დოკუმენტებში, ევროკავშირისა და ნატოს თავსებადობის საკითხი ევროპული უსაფრთხოების სისტემაში მომავალში კიდევ უფრო მეტ იმედს იძლევა.

რამდენად იქნება შესაძლებელი მათ შორის მოვალეობების განაწილება თუ მათი მუდმივი კონკურენცია კიდევ უფრო მწვავე ფორმებს მიიღებს?

ნატოსა და ევროკავშირს შორის მოვალეობების გადანაწილების პროცესი ჯერ კიდევ ადრეული პერიოდიდან იწყება. ცივი ომის შემდგომ, ურთიერთობები ევროკავშირისა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს შორის უკიდურესად წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა. ერთი მხრივ, ეს იყო თანამშრომლობა, ხოლო მეორე მხრივ – თითოეული ორგანიზაცია თავისი ფუნქციებისა და ამოცანებისადმი წევრი-ქვეყნების შეხედულებების შეუთავსებლობისა და რიგ

სფეროებში ინსტიტუციონალურად ჩადებული დუბლირების მიზეზით გაძლიერებადი პოლიტიკური კონკურენცია.

განსხვავება ნატოსა და ევროკავშირის კრიზისული რეაგირების პოტენციალის განვითარების დონეზე, გარკვეულწილად იძლევა ორგანიზაციების ურთიერთდამოკიდებულების ასიმეტრიულობის შესახებ საუბრის საბაზს. პრაქტიკულ ურთიერთქმედებებსა და კრიზისული რეაგირების ოპერაციების განხორციელებაში, ევროკავშირი ინარჩუნებს ალიანსზე დამოკიდებულებას, რაც გამყარებულია, როგორც ევროკავშირის შესახებ ნიცის ხელშეკრულებაში, ასევე, ნატოსა და ევროკავშირის შორის 2002–2003 წლების შეთანხმებებში. პირველ რიგში, ეს ეხება ოპერაციული დაგეგმვის სისტემის განვითარებას და შეზღუდვებს აწესებს სამხედრო კრიზისული რეაგირების ოპერაციების ჩატარებაზე. თავის მხრივ, ალიანსი არის დამოკიდებული ევროკავშირის მოქმედებებზე უშუალოდ კრიზისული რეაგირების მისიების ჩატარების დროს, იქნება ეს, ერთობლივი ოპერაციები „ბერლინი პლიუსის“ შეთანხმების ფარგლებში, თუ პარალელური მოქმედებები კრიზისული რეაგირების სფეროში.

ამის მიუხედავად, ორი ორგანიზაციის ურთიერთობების განვითარების დინამიკამ შედეგად გამოიღო ის, რომ თუ დასაწყისიდან ნატოსა და ევროკავშირის ურთიერთობები ხასიათდებოდა ალიანსზე ევროკავშირის მოქმედებების დამოკიდებულებით, დღეისათვის მოხდა ტრანსფორმირება ურთიერთდამოკიდებულებაში. ეს უკანასკნელი, უპირველეს ყოვლისა, ვლინდება პრაქტიკული თანამშრომლობის დონეზე, კრიზისული რეაგირების მისიის ფარგლებში და მასტაბილიზებელ ოპერაციებში. მთლიანობაში, დღევანდელი მომენტისათვის ნატოსა და ევროკავშირის მოქმედებების ეფექტურობა კრიზისული რეაგირების ოპერაციების მიმდინარეობისას განისაზღვრება არა მხოლოდ არსებული ამოცანებისადმი თითოეული ორგანიზაციის მოქმედებების ადეკვატურობით, არამედ მათი ურთიერთქმედებების ეფექტურობითაც.

რა განსხვავებაა ევროპულ და ევროატლანტიკურ უსაფრთხოების სისტემებს შორის ; ნატოსა და ევროკავშირის ურთიერთობები რა გავლენას ახდენს მათ იდენტიფიკაციაზე

გამომდინარე იქიდან, რომ ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებული ქვეყნების უმეტესობა საერთოა, პირველ რიგში, მათი ინტერესები პირველ პლანზე დგას.

ნატომ მიიღო გადაწყვეტილება ყოფილიყო უსაფრთხოებაზე ორიენტირებული, სამხედრო-პოლიტიკური კუთხით, ხოლო ევროკავშირმა შეინარჩუნა მისი მოქმედების არეალი ეკონომიკურ საკითხებში.

მათ ინდივიდუალურად ჩამოაყალიბეს ორგანიზაციების სამოქმედო გეგმა, რომლებშიც ერთ-ერთ მთავარ საკითხად მიჩნეულია სწორედ ნატოსა და ევროკავშირის ურთიერთობების გაღრმავება.

დასაბამიდან, მათ იდენტიფიკაციაზე მოქმედებდა მრავალი ფაქტორი.

ნატოსა და ევროკავშირის პრაქტიკული ურთიერთქმედების ფორმის ანალიზი, მათი პასუხი კრიზისზე დასავლეთ სუდანსა და ბოსნია – ჰერცეგოვინაში იძლევა თითოეული ორგანიზაციის კრიზისული რეაგირების თავისებურებების გამოყოფის საშუალებას – თუკი ალიანსმა, საკუთარ თავზე აიღო, მეტწილად, სამხედრო ამოცანები, ევროკავშირი ცდილობდა უფრო ფართო სპექტრის ამოცანების რეალიზებას, უმთავრესად, სამოქალაქო კრიზისული რეაგირების ჩათვლით. თუმცა, ევროკავშირის მიდგომის სწორედ კომპლექსურობა აყენებდა მას ორგვარ მდგომარეობაში. ერთი მხრივ, ევროკავშირის მიდგომას სამოქალაქო კომპონენტების ხარჯზე, უეჭველად მოჰქონდა ე.წ. „დამატებითი ღირებულება“. მეორე მხრივ, კი, სამხედრო კრიზისული რეაგირების უფლების დაცვამ და შესაბამისი ამოცანების რეალიზებამ ხელი შეუწყო ნატოსთან ორგანიზაციის კონკურენციას.

ამ თვალსაზრისით დასავლეთ სუდანის პროვინცია დარფურში ალიანსისა და ევროკავშირის ოპერაციების გამოცდილება წარმოადგენს გაცხადებული

„სტრატეგიული პარტნიორობის“ პრაქტიკული შეზღუდვების თვალსაჩინო მაგალითს. ინტეგრაციული იმპერატივის არარსებობის შემთხვევაში, როგორც ეს იყო ბოსნია-ჰერცეგოვინაში, ორგანიზაციები ფაქტიურად ახდენდნენ ძალისხმევას დუბლირებას მსგავსი ამოცანების გადაჭრისას და კონკურენციას უწევდნენ ერთმანეთს პოლიტიკურ დონეზე. ამასთან, მათი თანამშრომლობის პოტენციალის შემაფერხებელი ძირითადი ფაქტორი გახდა წევრი-ქვეყნების პოლიტიკის განსხვავებული პრიორიტეტები და თითოეული ორგანიზაციის როლისა და ამოცანების შესახებ სხვადასხვა ხედვები. ოპერატიულობისა და სწრაფი რეაგირების ნაცვლად, რომელთა დეკლარირება კრიზისული რეაგირების ამოცანების სახით მოხდა, როგორც ევროკავშირის, ასევე, ნატოს მიერ, ორივე ორგანიზაციის წევრი-ქვეყნები აწარმოებდნენ კამათს, ხოლო გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი ჭიანჭურდებოდა.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ თითოეული მათი ურთიერთობის ფორმა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ევროპული და ევროატლანტიკური უსაფრთხოების სისტემებზე და მათი განვითარების მიხედვით ძლიერდება, ან პირიქით, სუსტდება ეს უკანასკნელი.

როგორია ნატო-ევროკავშირის სამომავლო პერსპექტივები არსებული რეალობიდან გამომდინარე?

2016 წლის 6 დეკემბერს გაიმართა ნატო-სა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა. აღნიშნულ სხდომაზე დაისახა გეგმები ორ ორგანიზაციას შორის ურთიერთობების გაღრმავების კუთხით და შემუშავდა ერთობლივი დეკლარაციები საერთო უსაფრთხოების თავდაცვის თვალსაზრისით.

საგულისხმოა ისიც, რომ აღნიშნულ განცხადებაში, ხაზგასმულია გეგმები აღმოსავლეთ პარტნიორობთან მიმართებაში, ქვეყნების თავდაცვისუნარიანობისა და სტაბილურობის გაძლიერების თვალსაზრისით.

საგარეო უწყების ხელმძღვანელების განცხადებით, წინამდებარე შეხვედრის ფორმატში კიდევ ერთხელ დადასტურდა ნატოსა და ევროკავშირის მზაობა ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებების დაცვას, ევროპული უსაფრთხოების მდგრადობასა და ერთობლივი ძალებით ორგანიზაციებში გაწევრიანებული სახელმწიფოების გაძლიერებას, როგორც ეკონომიკური, ასევე სამხედრო კუთხით.

უმაღლესმა წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს მათი თანამშრომლობის განვითარებას როგორც თავდაცვის, ასევე უსაფრთხოების სფეროში.

რაც შეეხება, სხვა, მასთან გათანაბრებულ საკითხებს, ყურადღების მიღმა არ უნდა დავტოვოთ ევროკავშირის საერთო თავდაცვის საკითხი, რომელიც ჯერ კიდევ დისკუსიის საგანია.

ბრიტანეთის ევროკავშირის დატოვებასთან ერთად, საუბარი ევროპის სამხედრო ინტეგრაციაზე კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა. გაერთიანების ახალ სამხედრო ძალად ახლა უკვე საფრანგეთი გვევლინება. საერთო თავდაცვაზე საუბარი ევროკავშირმა დიდი ხნის წინ დაიწყო, თუმცაღა წევრი სახელმწიფოები თავს იკავებდნენ ბრიუსელისთვის უფლებები მიენიჭებინათ აღნიშნული კუთხით, ასევე შეიძლება ითქვას, ეწინააღმდეგებოდნენ გაერთიანებისთვის სუვერენიტეტის ნაწილის დათმობას, ერთ-ერთი მთავარი მოწინააღმდეგე ამ კუთხით კი ბრიტანეთი იყო, დღეს კი მეზობელი და გაერთიანების მიჯნაზე მყოფი სახელმწიფოები ბრიუსელის მეტ ჩართულობას ითხოვენ.

სამხედრო თვალსაზრისით გაძლიერების კუთხით, ევროკავშირი ცენტრალური სარდლობის შექმნას გეგმავს, რაც, მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს შემდგომში საერთო ევროპული უსაფრთხოების შექმნის თვალსაზრისით.

ბრიტანეთი ერთ-ერთი ქვეყანა იყო, რომელიც ევროკავშირის ამ გეგმას ეწინააღმდეგებოდა. თუმცა მოლაპარაკებების დაწყებასთან ერთად, მსოფლიომ

შესაძლოა ევროპის ქვეყნების უფრო ახლო სამხედრო ინტეგრაცია იხილოს, რომელსაც სავარაუდოდ ხელშესახები ცვლილებები მოჰყვება⁹.

გამოყენებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, ძალთა ბალანსის თეორია-მიმოხილულია ნატოსა და ევროკავშირის ურთიერთობების მაგალითზე, რომელთა ინტერესებია, წარმოაჩინონ საკუთარი პოზიციები საერთაშორისო ასპარეზზე და გააფართონ მათი მოქმედების არეალი ორგანიზაციების ინტერესებიდან გამომდინარე.

ბიპოლარული ბალანსის თეორია-გამოყენებულია იმის დასამტკიცებლად, რომ თუ შეიცვლება ძალთა ბალანსი, მაშინ შეიცვლება სისტემაც. კ.უოლცის აზრით, ბიპოლარული სისტემა არის უფრო სტაბილური, მშვიდობიანი და უსაფრთხო.

ურთიერთდამოკიდებულების თეორია-აღნიშნული თეორია დამეხმარა, მკაფიოდ წარმომეჩინა ნატოსა და ევროკავშირის როლი მსოფლიო პოლიტიკაში და მათი განსაკუთრებული წვლილი მასში შემავალი სახელმწიფოების განვითარების კუთხით, როგორც ეკონომიკური, ასევე სამხედრო თვალსაზრისით.

თანამშრომლობითი უსაფრთხოების თეორია-გამოყენებულია საერთაშორისო პოლიტიკაში მიმდინარე სიტუაციების შეფასებისათვის, რომლის საფუძველზეც გამოიკვეთა თანამშრომლობითი უსაფრთხოების თეორიის მართებულება კონკრეტულად ორგანიზაციებს შორის ურთიერთობების კუთხით.

⁹ „ევროპის საერთო თავდაცვა?“ გვ.1.

<https://www.amerikiskhma.com/a/european-common-defense-prospect/3910322.html> (ბოლო ნახვა-15.06.2020)

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დიანა გიგლემიანი, “ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობები 21-ე საუკუნის სტრატეგიული სტაბილურობის პირობებში“, (სამაგისტრო ნაშრომი), კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბ.2018 წელი
2. მისაია ვახტანგ, „შავი ზღვის აუზის გეოსტრატეგიული ბალანსის პოლიტიკური ასპექტები“, ქართულ-ევროპული ინსტიტუტი (პარიზი) კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი (თბილისი)- პარიზი 2003 წ.
3. მისაია ვ. მადრაძე გ. - 21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რეალობა რეგიონალური და გლობალური ასპექტები. გამომც. „უნივერსალი“ 2017წ.
4. მაჩურიშვილი ნინო, „ევროკავშირის შესაძლებლობების შეფასება კონფლიქტების გადაწყვეტის სფეროში“, (სამაგისტრო ნაშრომი), ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ. 2009 წელი
5. ჩიტაძე ნ. „ნატო ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიო მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი“ - მარშალის ცენტრის კურსდამთავრებულთა კავშირი, საქართველო-საერთაშორისო და უსაფრთხოების საკითხების კვლევის ცენტრი, თბილისი 2008
6. Adler E.. Barnett M. eds., Security Communities. - Cambridge: Cambridge University Press. – 1998
<https://fas.org/sgp/crs/row/RL32342.pdf> (ბოლო ნახვა-03.05.2020)
7. Bailes A. EU and US Strategic Concepts. Partnership and Difference? //International Spectator. - 2004. - № I
<https://www.consilium.europa.eu/media/30823/qc7809568enc.pdf> (ბოლო ნახვა-03.05.2020)
8. Boyer Y. The Battle groups: Catalyst for a European Defence Policy. - European Parliament Briefing Paper.- 2007

- [https://www.europarl.europa.eu/thinktank/en/document.html?reference=EXPO-SEDE_ET\(2007\)381401](https://www.europarl.europa.eu/thinktank/en/document.html?reference=EXPO-SEDE_ET(2007)381401) (ბოლო ნახვა-04.05.2020)
9. Boyer Y., Lindley-French J. Euro-interoperability: the Effective Military Interoperability of European Armed Force. - European Parliament Study.- 2007
- [https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/etudes/join/2007/385523/EXPO-SEDE_ET\(2007\)385523_EN.pdf](https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/etudes/join/2007/385523/EXPO-SEDE_ET(2007)385523_EN.pdf) (ბოლო ნახვა-15.05.2020)
10. Bosnia: litmus test for the NATO-EU strategic partnership? - ISIS Europe. - NATO Notes. - 2004- Vol. 6
- http://aei.pitt.edu/32601/1/40.Evaluating_EU_Crisis_Missions_in_the_Balkans.pdf (ბოლო ნახვა-15.05.2020)
11. Brenner M. Ed. NATO and Collective Security. - Basingstoke: Macmillan. – 1998
- <https://www.nato.int/acad/fellow/00-02/Lucarelli%27s.pdf> (ბოლო ნახვა-15.05.2020)
12. Cooper R. The Breaking of Nations. Order and Chaos in the 21st Century.- Atlantic. – 2004
- <https://www.e-ir.info/2013/05/27/review-the-breaking-of-nations/> (ბოლო ნახვა-17.05.2020)
13. Cornish P., Edwards G. Beyond the EU and NATO Dichotomy: the beginnings of a European Strategic Culture.// International Affairs. - 2001. - №3
- <https://researchportal.bath.ac.uk/en/publications/beyond-the-eunato-dichotomy-the-beginnings-of-a-european-strategi> (ბოლო ნახვა-20.05.2020)
14. Croft S. NATO's Triple Challenge. //International Affairs.- Vol.76. - 2000.- № 3
- <https://core.ac.uk/download/pdf/48515.pdf> (ბოლო ნახვა-25.05.2020)
15. Deutsch K.W. Political Community and the North Atlantic area. - Princeton: Princeton University Press. – 1957

- <https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/13523260.2011.590355> (ბოლო ნახვა-20.05.2020)
16. K. Donfried. Report to Congress. European Security: The Debate in NATO and the European Union. 25.04 2000
- <https://www.iss.europa.eu/sites/default/files/EUISSFiles/EU%20and%20NATO.pdf>
(ბოლო ნახვა- 25.05.2020)
17. Hagman H.-Ch. European Crisis Management and Defence: The Search for Capabilities.// Adelphi Paper No 353. - Oxford University Press: IISS. – 2002
- <http://abroad.study-research.pt/readnow/european-crisis-management-and-defence-hagman-hans-christian.pdf> (ბოლო ნახვა-25.05.2020)
18. Heisbourg F. American Hegemony? Perceptions of the US Abroad. // Survival. — Vol.41. - 1999- 2000. - № 4
- <https://iiss.tandfonline.com/doi/abs/10.1080/713660132#.Xud7wdQzZdg> (ბოლო ნახვა-25.05.2020)
19. Jones B., Willetts P. Interdependence on Trial. - London: Pinter. – 1984
- <https://journals.sagepub.com/doi/abs/10.1177/03058298840130010201> (ბოლო ნახვა-26.05.2020)
20. Kissinger H.A., Summers L.H. Renewing the Atlantic Partnership. Report of an Independent Task Force Sponsored by Council on Foreign Relations. - Council on Foreign Relations. – 2004
- <https://www.foreignaffairs.com/articles/cuba/1963-01-01/strains-alliance> (ბოლო ნახვა-27.05.2020)
21. Kissinger H.A. Does America Need a Foreign Policy? - New-York: Simon and Schuster. - 2002

<https://archive.nytimes.com/www.nytimes.com/books/first/k/kissinger-01policy.html>

(ბოლო ნახვა-01.06.2020)

22. Locher J., Donley M. Military matters. Reforming Bosnia and Herzegovina's defence institutions.//NATO Review. - Winter 2004

<https://www.nato.int/docu/review/2004/Historic-Changes-Balkans/Bosnia-defence-institutions/EN/index.htm> (ბოლო ნახვა-01.06.2020)

23. Lundestad G. The United States and Western Europe since 1945. - Oxford: Oxford University Press. – 2003

<https://global.oup.com/academic/product/the-united-states-and-western-europe-since-1945-9780199283972?cc=ge&lang=en&> (ბოლო ნახვა-03.06.2020)

24. Masseret J.-P. Europe de la defense : quo vadis ? // Defense Nationale et securite collective. -2008. - №2

<https://www.cambridge.org/core/journals/european-political-science-review/article/disarmed-principals-institutional-resilience-and-the-nonenforcement-of-delegation/7A8B940BA3371099E18A5D4E949778BE> (ბოლო ნახვა-03.06.2020)

25. Mearsheimer. J.J. The Tragedy of Great Power Politics. - New-York: W.W. Norton. – 2001

<https://samuelbhfauredotcom.files.wordpress.com/2015/10/s2-mearsheimer-2001.pdf>
(ბოლო ნახვა-05.06.2020)

26. NATO and European Union: Improving Practical Cooperation. - Institute for National Strategic Studies. -National Defence University. - Washington DC. - 20-21.03.2006

https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters-homepage/28286/eu-nato-cooperation-factsheet_en (ბოლო ნახვა-08.06.2020)

27. Ojanen H. The EU and NATO: Two Competing Models for a Common Defence Policy. // Journal of Common Market Studies. -Vol. 44. - 2006. - № 1

https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=885423 (ბოლო ნახვა-10.06.2020)

28. Risse-Kappen Th. Cooperation Among Democracies: the European Influence on US Foreign Policy. - Princeton NJ: University Press. – 1995
- <https://www.files.ethz.ch/isn/19158/wp35II.pdf> (ბოლო ნახვა-10.06.2020)
29. Snyder G. H. Mearsheimer's World - Offensive Realism and the Struggle for Security.// International Security.- Vol. 27 – 2002
- <http://ir.rochelleterman.com/sites/default/files/glaser%20review%20of%20measheimer.pdf> (ბოლო ნახვა-11.06.2020)
30. Taft W. H. European Security: Lessons Learned from the Gulf War.// NATO Review 39. – 1993
- <https://www.nato.int/docu/review/1991/9103-2.htm> (ბოლო ნახვა-12.06.2020)
31. Wallander C.A. Institutional Assets and Adaptability.// International Organization.- Vol. 54.- 2000. - № 4
- https://ideas.repec.org/a/cup/intorg/v54y2000i04p705-735_44.html (ბოლო ნახვა-12.06.2020)
32. Wallace W. Europe, the Necessary Partner. // Foreign Affairs. - Vol. 80. 2001
- <https://www.foreignaffairs.com/articles/europe/2001-05-01/europe-necessary-partner> (ბოლო ნახვა-15.06.2020)
33. Waltz K. Theory of International Politics. - London: Addison-Wesley. – 1979
- <https://www.worldcat.org/title/theory-of-international-politics/oclc/4667316> (ბოლო ნახვა-15.06.2020)
34. Waltz K. Man, State and War: a Theoretical Analysis. - New-York: Columbia University Press. – 2001
- https://www.fd.unl.pt/docentes_docs/ma/FPG_MA_27259.pdf (ბოლო ნახვა-15.06.2020)
35. Waterman H., Zagorcheva D. Correspondence: NATO and Democracy. // International Security.- Vol. 26. - 2001. - № 3

<https://valdaiclub.com/files/20891/> (ბოლო ნახვა-16.06.2020)

36. Webber M., Croft S., Howorth J., Terriff T., Krahnemann E. The Governance of European Security. // Review of International Studies.- Vol. 30. – 2004

<https://journals.openedition.org/osb/1728> (ბოლო ნახვა-16.06.2020)

37. Wliitman R. NATO, EU and ESDP: An Emerging Division of Labor?// Contemporary Security Policy. - Vol. 25. - 2004. - № 3

<https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/1352326042000330592> (ბოლო ნახვა-16.06.2020)

38. Witte de P., Partnership or Rivalry? A View from Practice. - Kiel Conference Report. - 2004.

https://ec.europa.eu/regional_policy/sources/information/pdf/brochures/interreg_25years_en.pdf (ბოლო ნახვა-17.06.2020)

39. Zaborowski M. (ed.) Friends again? EU-US relations after the crisis. Transatlantic book 2006. - Paris: EU ISS. – 2006

<https://www.iss.europa.eu/sites/default/files/EUISSFiles/transat06.pdf> (ბოლო ნახვა-17.06.2020)

40. „ევროპის საერთო თავდაცვა?“

<https://www.amerikiskhma.com/a/european-common-defense-prospect/3910322.html>

(ბოლო ნახვა - 15.06.2020)

41. Croft S. The EU, NATO and Europeanization: The Return of the Architectural Debate.//European Security.- Vol. 9. - 2000.- № 3.

https://www.ucg.ac.me/skladiste/blog_2119/objava_12713/fajlovi/NATO,%20EU.pdf

(ბოლო ნახვა- 15.06.2020)

42. Davis D.F., DeGrasse B.C. What Follows the Current NATO Involvement in Bosnia?Options for a Policy Debate.// International Peacekeeping.- 1998.

https://www.nato.int/cps/en/natolive/topics_52122.htm (ბოლო ნახვა- 15.06.2020)